

სამხრეთ კავკასია და ანატოლია

4



ზურაბ ბატიაშვილი

**ქართვლები. ოსმალური
პერიოდის ტრაპიზონში**

თბილისი 2008

ISSN 1512-4479

ISBN 978 99940-55-14-2 (ზურაბ ბატიაშვილი, ქართველები ოსმალური პერიოდის
ტრაპიზონში)

© ზურაბ ბატიაშვილი, 2008.

სარჩევი

შესავალი.....	7
ტრაპიზონი 1461 წლის შემდეგ.....	9
ტრაპიზონის ქართველი ვალები (გუბერნატორები).....	34
სოლომონ მეფე ტრაპიზონში.....	39
სოფიო გურიელი ოსმალეთში.....	53
ტრაპიზონის საქართველოს ისტორიული არქივი.....	58
ქართული ლეგიონი ტრაპიზონში.....	65
ტრაპიზონის ქართველი ებრაელები.....	85
რუსული ოკუპაცია და ქართველები.....	87
იაძე, ტრაპეზუნთი და ჩამოსული ქართველი მუშები.....	90
ი. არველაძე, მგზავრის შთაბეჭდილებანი.....	93
გ. ბარელი, ტრაპიზონი და მისი მიდამოები პირველი შთაბეჭდილებანი.....	95
ტრაპიზონის საზავო კონფერენცია.....	101
დასკვნის მაგიერ.....	105
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....	106
რეზიუმე (თურქულ ენაზე).....	108
საძიებლები.....	110
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	123

შესავალი

ჩვენთვის თურქეთი ათწლეულების განმავლობაში ჩაკეტილი ქვეყანა იყო. ამიტომ საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ბევრი საკითხი დღემდე უცნობი და შეუსწავლელია. საზღვრების გახსნის შემდეგ საქართველო-თურქეთს შორის სამაგალითოდ კარგი ურთიერთობა დამყარდა, განვითარდა თანამშრომლობა ეკონომიკის, პოლიტიკის, სამხედრო, კულტურის, განათლების და სხვა სფეროებში. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ნაშრომი თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობის კვლევის საქმეში.

ოსმალეთს საუკუნეთა განმავლობაში მრავალი უცხოელი (მათ შორის ქართველიც) აფარებდა თავს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2006 წელს მოაწყო გამოფენა „ისინი მიენდვნენ თურქეთს“ (მოგვიანებით ამავე დასახელების ნიგნიც გამოსცა), სადაც ღირსეული ადგილი დაეთმო ოსმალეთს შეფარებულ ქართველ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს.¹

საქართველოსთვის ტრაპიზონი ყოველთვის იყო ანატოლიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპასთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი პუნქტი (ამ ფუნქციას იგი დღესაც ასრულებს). ამიტომ აქ თითქმის ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველები განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებისა. აქ პოულობდნენ თავშესაფარს საქართველოდან გადახვენილი ებრაელები, კათოლიკეები, მუჰაჯირები... აქ დაიკრძალა საქართველოს უკანასკნელი მეფე სოლომონ II და სოფიო გურიელი. ერთი ვერსიით ტრაპიზონში არსებობდა ქართული კათოლიკური ეკლესია და უძვირფასესი საქართველოს საისტორიო არქივი. ტრაპიზონის ბევრი ვალი (გუბერნატორი) ქართველი იყო. აქ დაიდო ბინა ქართველი პატრიოტების მიერ ჩამოყალიბებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა და ქართულმა ლეგიონმა...

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ტრაპიზონში ყველაფერი საქართველოსთანაა დაკავშირებული. მაგრამ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ქართველებთან დაკავშირებულ მოვლენებზე, რადგანაც ეს

¹ Türkiye'ye Güvendiler, Sergi, 5-30 Eylül 2006. T. C. Dışişleri Bakanlığı, 2006.

ნიგნი, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მკითხველისთვისაა განკუთვნილი.

საზღვრების გახსნის შემდეგ ათასობით ქართველი მიაწყდა ამ მხარეს. საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთის ტერიტორიაზე გადაადგილება და მოღვაწეობა. განსაკუთრებით ვაჭრობამ და ეკონომიკამ დააახლოვა ორი ქვეყნისა და მათი მოქალაქეების ინტერესები. თუმცა საქართველო-თურქეთის ურთიერთობა მხოლოდ კომერციული ინტერესებით არ შემოიფარგლება. ჩვენ მდიდარი კულტურული კავშირების ტრადიციაც გაგვაჩნია.

ამ და ტრაპიზონთან დაკავშირებულ სხვა საკითხების შესახებ წინამდებარე ნაშრომში გვექნება საუბარი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ აქ მიმოვიხილავთ მხოლოდ ოსმალურ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს. მიგვაჩნია, რომ უფრო ძველი პერიოდი ცალკე კვლევის საგანია.

ტრაპიზონი 1461 წლის შემდეგ

1461 წელს ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ II-მ („დამპყრობელმა“) ბოლო მოუღო ტრაპიზონის იმპერიას. მისი ალებით ოსმალეთი უშუალოდ მოადგა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებს და უფრო აქტიურად დაიწყო ბრძოლა კავკასიაში გაბატონებისათვის. ამ პერიოდებიდან იწყება შეტევები საქართველოს მიმართულებით. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „დაიპყრა ხონთქარმან ტრაპიზონ... ეკირთებოდნცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთს“.¹

ქალაქ ტრაპიზონის ალების შემდეგ წინააღმდეგობა ამ მხარეში კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა. მაგალითად, პლატანაში (დღევანდელი აქჩააბადი) მდებარე ციხე აქჩაკალე ოსმალებმა ექვსი წლის განმავლობაში ვერ აიღეს. მისი დაპყრობა ტრაპიზონის ვალიმ (გუბერნატორმა) ზალნოს ფაშამ (სახელის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი ოსმალთა სამსახურში შესვლამდე ქრისტიანი იყო) დიდი დანაკარგების ფასად მოახერხა. ზალნოს ფაშა ერთი პერიოდი ყოფილი ტრაპიზონის იმპერატორის ქალიშვილ ანა კომნენეზეც იყო დანიშნული. შემდეგ კი მას დაშორდა და სულთნის და – ფატიმა მოიყვანა ცოლად.

სხვა დაუმორჩილებლების შესახებ საინტერესო ცნობას გვანდის ოსმალთა მემატიანე იბნ-ქემალი: ტრაპიზონის მახლობლად ნადირობის დროს, უფლისწულ ბაიაზიდს შეხვედრიან თურქი ვაჭრები, რომლებმაც მას შესჩივლეს: თორულის/ადრასას ციხის (მდებარეობს ტრაპიზონის სამხრეთით, გუმუშჰანეს

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, შედგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 705.

მხარეში. თორულს ადრე დორილა ერქვა. ზოგიერთი მეცნიერი ამ სახელს ძველ ტომს დრილებს უკავშირებს – ზ. ბ.) მცხოვრებმა ქართველებმა გაგვძარცვესო. ეს ამბავი ბაიაზიდმა მამამისს, სულთან მეჰმედ II-ს (1451-1481) აცნობა და სთხოვა ნებართვა, ქართველების დასჯის მიზნით, ამ მხარეში ლაშქრობა მოეწყო. სტამბოლიდან ამაზე სულთნის ნებართვა მიიღო. 1479 წელს (უკვე მთელი 18 წელი იყო გასული ტრაპიზონის ალებიდან) ოსმალთა მოლაშქრენი „ნიაღვარივით ქვეყანას მოედნენ. თორულის ციხესთან შეჩერდნენ და შიგნით მყოფ ურჯულოებს ალყა შემოარტყეს, ... და იერიში მიიტანეს... შიგნით ვინც იყვნენ, ყველანი დახოცეს... ძლიერი დარტყმით ციხე აიღეს. იმ ქვეყანაში კიდევ ორი ციხე იყო. მათკენაც გაემართნენ. ერთს ჯეზრეს ეძახდნენ, მეორეს – ჯანეჰაჰს (ჭანისა, შემდგომში გუმუშხანედ წოდებული – ზ. ბ.). ეს ციხეებიც ნებსით თუ უნებლიეთ... აიღეს. მეამბოხე მოსახლეობის ციხეები, საცხოვრებლები გაძარცვეს და დიდი ზარალი მიაყენეს. ეს ადგილები დაანგრის, იმ ციხე-სიმაგრეთა კოშკები ფერფლის მტვრად აქციეს.“¹

მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ, მართალია, ეს მხარე დაიპყრეს ოსმალებმა, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ დაიმორჩილეს, რადგან ქართველები არ იხდიდნენ გადასახადებს და ჯანყდებოდნენ. ამ ლაშქრობის შემდეგ კი „მათი გამგებლები ნაბიჯ-ნაბიჯ დაადგნენ მორჩილების გზას.“²

ოსმალეთში მთელი მიწები ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად (არაზ-ი მირი). მათ სამართავად კი შემოიღეს თიმარული სისტემა. თიმარები, როგორც წესი, ეძლეოდათ გამორჩეულ მუსლიმ მეომრებს. თიმარიოტს უფლება ჰქონდა მისთვის ბოძებული მიწის ნაკვეთიდან (თიმარიდან) აეკრიფა გადასახადების გარკვეული რაოდენობა თავისი პირადი საჭიროებისა და სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად, რათა მოთხოვნისთანავე

¹ Tevârihi Al-Osman, VII Defter, Hazırlayan Dr. Şerafettin Turan, Ankara, 1957, s. 464-468; ჯაველიძე ნ., იბნ-ქემალის ერთი ცნობა XV ს-ის საქართველოს შესახებ, „მაცნე“, საქართველოს ისტორიის სერია, № 2, 1990, გვ. 115-122.

² იქვე.

დაუყოვნებლივ მონანიღობა მიელო ლაშქრობაში როგორც მეომარ მხედარს (ცხენოსანს).¹ ოსმალებმა თიმარული სისტემა ტრაპიზონის მხარეშიც შემოიღეს. თუმცა აქ ეს სისტემა კლასიკური ფორმით არ არსებულა. მაგალითად, ცნობილია, რომ XVI საუკუნის დასაწყისში 21 ქართველი ქრისტიანი თავადი თორულიდან აქ მოსულა და თიმარიოტი გამხდარა.² აი, რას წერს აღნიშნულის შესახებ ისტორიკოსი მიხეილ სვანიძე: „... ოსმალეთის მთავრობა ადგილობრივი გაბატონებული კლასის / ფეოდალების / მიმართ კომპრომისზე წავიდა და გამონაკლისის სახით, ქრისტიანობით უბოძა თიმარები. ამით ოსმალეთის მთავრობას სურდა, თავის სამსახურში ჩაეყენებინა ადგილობრივი ფეოდალების ნაწილი, რათა მათი დახმარებით გაეტეხათ მოსახლეობის წინააღმდეგობა და მორჩილებაში მოეყვანათ იგი. მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც ოსმალეთის მთავრობა ფეხს იკიდებდა დაპყრობილ მხარეში, ქრისტიანი თიმარიოტები მაჰმადიანდებოდნენ. ანალოგიურ პროცესს ადგილი ჰქონდა ბალკანეთის ქვეყნებშიც ოსმალთა დაპყრობის დროს.“³

იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ მუსლიმი ქართველი თიმარიოტებიც – „მუსტაფა გურჯუ“ და „ჰამზა ლაზი“ – იომრას ნაჰიეში, საქართველოდან მოსული „ქათიფ ნიზამედინი“ – მაჭკას ნაჰიეში.⁴

ამ მხარეებში ქართველების ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის XVIII საუკუნის ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი:

„მივიწინით ქალდეას (ან უხმობენ გუმბუხანას), სადა ენამნენ წმიდანი ევგენი, კანდიდოს, ვალერიანე.

¹ სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.), თბილისი, 1999, გვ. 20-21.

² Karagöz İ., Tarihsel Süreçte Trabzon Halkı, Trabzon, 1998, s. 105.

³ სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, „ქართული დიპლომატია“, წელინდეული, 8, თბილისი, 2001, გვ. 209-210.

⁴ Karagöz İ., Tarihsel Süreçte Trabzon Halkı, Trabzon, 1998, s. 96-97.

და მიერთვან განვიხილენით ეკლესიანი და იყო აღშენებული ქართველთაგან. და ვიკითხავდი რა, იგინი მეტყოდენ, ვითარმედ:

– გუმბიშხანა საქართველოსა მეფეთი არისო, რამეთუ ვერცხლი გამოსავალი აქაური საქართველოთი ყოფილაო. ჭოროხის წყლის სათავე – ეს არისო სამძღვარი საქართველო¹.

ამ ქალაქის დაარსებასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებს გვანვდის ევლია ჩელები: „ამ ქალაქში დიდი ალექსანდრეს ერთმა მმართველმა ფილიკუს იუნანიმ ვერცხლის მადანი აღმოაჩინა, ალექსანდრემ ქალაქი ააშენებინა. შემდეგ ქართველების ხელში გადავიდა“².

ამას გარდა, ცნობილია, რომ 1830-იანი წლების დასაწყისში, ადრიანოპოლის ხელშეკრულების შესაბამისად, ქვემო ქართლში შემოიყვანეს და დაასახლეს გუმბიშხანელ ქრისტიანთა ერთი ჯგუფი. ესენი იყვნენ თურქულენოვანი ქრისტიანები, რომელთაც ოფიციალურ საბუთებში „ბერძნები“ ანუ „ურუმები“ ერქვათ. გუმბიშხანედან გადმოსახლებულ „ბერძენთა“ შორის არსებობდა გადმოცემა მათი ქართული (ლაზური) წარმოშობის შესახებ³. საგულისხმოა, რომ ისინი ბერძნულად მოლაპარაკე ქრისტიან პონტოელებს მეტსახელად ლაზებს უწოდებენ. იმასაც მიუთითებენ, რომ ეს ე. წ. „ლაზები“ მეტად პრინციპული არიან და ხასიათით განსხვავდებიან ჩვენგანო. ე. წ. „ლაზები“ ცხოვრობენ ნალკის რაიონის სოფლებში – სანთა, ხარაბა, ქუმბეთი (გუმბათი) და თეთრინწყაროს რაიონის სოფლებში – ირაგა, ხუნძურეთი (ივანოვკა), სოგუთლი⁴.

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, „ქართული მწერლობა“, ტ. 8, თბილისი, 1990, გვ. 190.

² ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკ. I, ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 318.

³ ბატიაშვილი ზ., კაპადოკია, თბილისი, 2004, გვ. 39.

⁴ თანდილავა ზ., თევზის დასაფლავების ჩვეულება თრიალეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 1977, გვ. 70-71.

ეს და სხვა წყაროები ნათლად გვიჩვენებს, რომ ძველად ტრაპიზონის სამხრეთში – გუმუშჰანეს შემოგარენში ქართული მოსახლეობა არსებობდა და ამ საკითხს სერიოზული კვლევა სჭირდება.

ოსმალური პერიოდის დასაწყისში ტრაპიზონი ჯერ ეიალეთის, შემდეგ კი სანჯაყის ცენტრი იყო. იგი რიგითი დასახლებული პუნქტი ვერ იქნებოდა, რადგან ეს საპორტო ქალაქი მრავალი გზის თავშესაყარს წარმოადგენდა. მალე ოსმალებმა ტრაპიზონი ერთგვარ „საუფლისწულო ქალაქად“ აქციეს. ჯერ კიდევ მეჰმედ II ფათიჰმა (1451-1481) ტრაპიზონის გამგებლად დანიშნა უფლისწული ბაიეზიდი (1481-1512)¹, ხოლო შემდეგ სულთან სულეიმან II-მ 1489 წელს უფლისწული სელიმი (შემდგომში „იავუზ სულთან სელიმად“ წოდებული) აქ სანჯაყბეგად დანიშნა (ტრაპიზონშივეა სელიმის დედის – გულბაჰარ ხათუნის მავზოლეუმი). 1495 წელს ტრაპიზონში დაიბადა სელიმის შვილი უფლისწული სულეიმანი (შემდეგში „ქანუნი სულთან სულეიმანად“ წოდებული). მანამდე კი მამამისმა სელიმმა 1509 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ III დაამარცხა და რიზეს მხარე (ბათუმამდე) დაიპყრო. 1510 წელს კი ქუთაისიც აიღო. სახელი „იავუზიც“ („მრისხანე“, „სასტიკი“) საქართველოში ლაშქრობის შემდეგ დაერქვა.²

XV საუკუნეში დაიწყო ისლამიზაციისა და გათურქების პროცესი. ამის მიუხედავად 1520 წელს ქალაქში ქრისტიანი უფრო მეტი იყო, ვიდრე მუსლიმი (შეფარდება 77,8%/22,2%). ტრაპიზონი სულ ოცდასამი უბნისგან შედგებოდა. აქედან თორმეტი მართლმადიდებლების, ცხრა მუსლიმების და თითო სომხების და კათოლიკეების („ეფრენჯიან“) უბანი იყო.³ ტრაპიზონის მოსახ-

¹ სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბილისი, 1971, გვ. 40.

² Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 36-37.

³ Bostan M. H., XV. ve XVI. Yüzyıllarda Trabzon Şehrinde Nüfus Hareketleri ve Yerleşim Yerleri, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997. s. 146, 166.

ლეობის გამუსლიმების პროცესი XVI საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ დაჩქარდა.¹

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფარულქრისტიანობის საკითხი. სხვადასხვა წყაროში ამ ეთნოკონფესიურ ჯგუფს კრომლებად, სტავრიოტებად, კრიპტოქრისტიანებად, კარამანლიებად ან უბრალოდ ლაზებად მოიხსენიებენ.² ეს ადამიანები დღისით, სახალხოდ მეჩეთში დადიოდნენ, სალამოს კი წირვას ესწრებოდნენ. ზოგი მოლა ამავე დროს მღვდელიც იყო. ასეთი მდგომარეობის გამო ტრაგიკომიკური სიტუაციებიც იქმნებოდა. მაგალითად, თემებს შორის ხშირად იყო დავა და აურზაური იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი რელიგიის წესით უნდა დაეკრძალათ მიცვალებული.

საინტერესოა, რომ ძველი ტრადიციები ტრაპიზონის მხარეში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო. მაგალითად, ინტერნეტ-გვერდი www.karahana.com იუწყება, რომ ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში ოჯახში ტრადიციად იყო ძროხის დაკვლა. შემდეგ ეს ადათი შეიცვალა და „ცოდვათა გამოსყიდვის“ მიზნით დაიწყეს ძროხის ღირებულების შესაბამისი თანხის დარიგება. ამას გარდა ცნობილია, რომ XX საუკუნის 70-იან წლებამდე მიცვალებულს კუბოთი მარხავდნენ, რაც, თურმე, მუსლიმური წესის დარღვევაა (თითო-ოროლა ასეთ შემთხვევას დღესაც შეიძლება შეხვდეთ).³

ცალკე აღნიშვნის ღირსია „კალანდას“ ტრადიცია, როდესაც ახალი წლის ღამეებში ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად კარდაკარ დადიან და სხვადასხვა საგნებს აგროვებენ.⁴

შავიზღვისპირეთში მიმდინარე ეთნოკონფესიურ პროცესებზე საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ზაქარია ჭიჭინაძე:

¹ Lowry H. W. Trabzon Şehrinin İslamlaşması ve Türkleşmesi, 1461-1583, İstanbul, Bogaziçi Ü. Y., 1981.

² ბანაში ნ., ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბილისი, 1988, გვ. 25.

³ www.karahana.com, 14. 05. 2004.

⁴ Karagöz İ., Tarihsel Süreçte Trabzon Halkı, Trabzon, 1998, s. 84.

„XVII საუკუნის გასვლამდის ტრაპიზონში მოისპო ქართველთა ყოვლისფერი ძალოვნება, მოისპო ქართველთ შორის სჯული, მას მიჰყვა ქართული ენის დაკარგვა, მოისპო ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა რიცხვი, ხელოვნების და თვით მოხელეების. ამეების მოსპობას მოჰყვა მოსპობა სამღვდელოებისაც და მოკლე დროის განმავლობაში ტრაპიზონში მოისპო ქართული საყდრები და ქართველი სამღვდელოება და თვით ქართლის სულის მქონე ეპისკოპოსის კათედრაც. ქართველების ყოველივე გაქრა ტრაპიზონში.

ქართველთა გვერდით ბერძენთა სურვილი მაინცა და მაინც ისე არ ისპობოდა, როგორც ქართველთა, თუმცა ბერძნებიც დიდს დევნაში იყვნენ ჩავარდნილი. ტრაპიზონში, ქართველი ეპისკოპოსის კათედრაზე ბერძნებმა დასვეს ბერძნის ეპისკოპოსი და სახელად მას უწოდეს „ეპისკოპოსი ხალთისა“, ე. ი. „ეპისკოპოსი ქართლისა“, სიტყვა ქართლი ბერძნულად ასე გამოითქმისო, ასე მიაბნეს ტრაპიზონელ ბერძნებმა.

ტრაპიზონის ვილაიეთში და თვით ამ ქალაქშიაც სცხოვრობენ მრავლად ისეთი ქართველნიც, რომელთაც ჟამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაუკარგავთ და იგინი დღეს ბერძნულად ლაპარაკობენ, თუმცა ლაპარაკის დროს კი, იგინი თავს ქართველად სთვლიან. ასეთებს ბევრს დღემდე შერჩენილი აქვთ თვით ქართული გვარებიც და სხვა ასეთი გვაროვნული ცნობანიც, ასეთების რიცხვი ტრაპიზონს და მის თემში ასი ათასზედ მეტი იქნებაო. აქ ქართველების დიდმა ნაწილმა დაჰკარგა ქართული ენა, მუსულმან ქართველებმა ოსმალური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ და ქრისტიან ქართველებმა შეითვისეს ბერძნული ენა და გაბერძნდნენ. ასეთ ქართველთა რიცხვს ტრაპიზონში კაცი ადვილად ჰპოებს, მათი აქ მთელი უბნებია, იგინი უკეთესად მისდევენ ვაჭრობას, ანუ ალებ-მიცემობას და ხელოსნობას. ტრაპიზონში ქართული ენა შეინარჩუნეს მხოლოდ ქართველ ებრაელთა, რომელთა რიცხვიც ტრაპიზონში 500 კომლზედ მეტი იყო ძველადგანვე.

...ერთი ნაწილი ქართველობისა დაუკავშირდა კათოლიკის სარწმუნოებას, ლათინის წესის რიგს და მათი რიცხვი იმოდელი

გახლდათ, რომ რომის ტახტმა ამ ქართველ კათოლიკეთათვის, ტრაპიზონში, XVII საუკუნეში ეკლესია და სკოლაც გახსნა. ეს ეკლესია დღესაც არსებობს ტრაპიზონში და რომელი ეკლესიაც ქართველ კათოლიკეთ ტაძრად იწოდება და ტაძარსაც აქვს მდიდარი სამკითხველო, სადაც მრავლად არის დაცული სხვა და სხვა ისტორიული ცნობები, რომელნიც შეკრებილი და დაცულია ქართველ ლათინის წეს რიგით პატრებისაგან. დღეს კი ტრაპიზონში ეს ქართველ კათოლიკენიც ეროვნულად დაკარგულები არიან და იგინი სომხურად ლაპარაკობენ.

ერთი ნაწილი დევნილი ქართველებისა დაუკავშირდა გრიგორიანობას. მათი რიცხვი ტრაპიზონის ვილაიეთში საკმარისი უნდა იყოს და თვით გამაჰმადიანებულ ებრაელებსაც, რომელთაც ზოგნი სომხის გვარისად სთვლიან ამ ებრაელებს, თვით ამაშიაც კი მრავლად უნდა გახლდენ ქართველ გვარის გასომხებული ქართველები, რომელთაც ჟამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაჰკარგეს და დღეს სომხურად ლაპარაკობენ.

საითაც კი, ქართველებმა ფეხი გადადგეს და რომელიმე რჯულს შეუერთდენ, ყველგან დაჰკარგეს ქართული ენა, გადაგვარდნენ და თავიანთ ქვეყნის წინაშეც ეროვნულად დაიკარგნენ".¹

ჭიჭინაძის ზემოთ მოტანილ ინფორმაციას ადასტურებს ანატოლიის ეთნოკონფესიური ურთიერთობის ბერძენი მკვლევარი გეორგიოს ნაკრასი. კერძოდ, იგი წერს: „ლაზებმა საკუთარი ეროვნული იდენტურობის დაკარგვის შემდეგ ჯერ ბიზანტიური, შემდეგ კი მუსლიმური იდენტურობა შეითვისეს, ხოლო ბოლო ორასი წლის განმავლობაში ნაციონალიზმის წარმოშობის შედეგად მცირერიცხოვანი მართლმადიდებელი ლაზები გაბერძნდნენ, გამუსლიმებული ლაზების უმეტესობა კი გათურქდა“.²

ამ ცნობას ადასტურებს კიდევ ერთი ბერძენი მკვლევარი სტეფანოს იერასიმოსი.³

¹ ჭიჭინაძე ზ., ტრაპიზონი, „საქართველო“, 20. 04. 1916, 23. 04. 1916.

² Nakracas G., Anadolu ve Rum Gbçmenlerin Kökeni, İstanbul, 2005. s. 211.

³ Yerasimos S., Pontus Meselesi (1912-1923), „Toplum ve Bilim“, 43/44, Güz 1988 – Kış 1989. s. 68-69.

XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ქათიბ ჩელების ცნობით, ტრაპიზონში „მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ლაზქის ტომია, რომელსაც ხალხი ლაზებს უწოდებს“.¹ ჩელებისვე ინფორმაციით ტრაპიზონელი ვაჭრები თავიანთ საქმეებზე ხშირად დადიოდნენ სამეგრელოსა და აფხაზეთში.² თავის მხრივ, იგივეს იმეორებს თურქი მოგზაური ევლია ჩელებიც. კერძოდ, იგი თავის ცნობილ „სეიათნამეში“ („მოგზაურობათა წიგნი“) წერს, რომ ვიალეთის მოსახლეობის უმრავლესობა ლაზია და მათი ენა არ ესმით ქ. ტრაპიზონში მცხოვრებ ხალხს.³

სულეიმანმა 1534 წელს ტრაპიზონი არზრუმის ვიალეთის შემადგენლობაში შეიყვანა. მურად III-მ 1585 წელს გააერთიანა ტრაპიზონისა და ბათუმის სანჯაყები და ქ. ტრაპიზონი ვიალეთის ცენტრად აქცია.⁴

ჯერ კიდევ მეჰმედ ფათიჰის დროს შავიზღვისპირეთის ძნელად მისადგომი ხეობები ჩაბარებული ჰქონდათ ბეგის ტიტულის მქონე ადგილობრივ ფეოდალებს, რომლებიც 1600-იან წლებამდე ოსმალეთის სახელმწიფოს სახელით მართავდნენ ამ მხარეს. XVIII საუკუნისათვის ბეგების ძალაუფლება და დამოუკიდებლობა გაიზარდა.⁵

თურქი მკვლევრის მ. გოლოლლუს ცნობით, XVIII საუკუნეში ხდებოდა შეჯახებები ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. კერძოდ, იფეთქა ლაზურ-ჩეფნურმა დაპირისპირებამ. შავიზღვისპირელები არასოდეს გამოირჩეოდნენ კანონმორჩილებით, ამიტომ სახელმწიფო სტრუქტურების შესუსტების პარალელ-

¹ ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი, 1978, გვ. 170.

² Goloğlu M., Trabzon Tarihi. Feühten Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 62-63.

³ ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურდიემ, თბილისი, 1971, გვ. 83.

⁴ Anabritannica. Genel Kültür Ansiklopedisi, Cilt 30, İstanbul, 1994, s. 180.

⁵ Nişanyan S., Nişanyan M., Karadeniz. Meraklısı için Gezi Rehberi, 2. Baskı, İstanbul, 2000, s. 21.

ლურად იზრდებოდა ადგილობრივი „ავტორიტეტების“ ძალა. ლაზურ-ჩეფნური შეტაკებების დროებით აღკვეთა შეძლო 1738 წელს ტრაპიზონის ვალად დანიშნულმა ჩეთეჯი აბდულა ფაშამ, მაგრამ არეულობები მომავალშიც არაერთხელ მომხდარა.¹

1755 წელს ტრაპიზონი მოინახულა ცნობილმა ქართველმა მწერალმა, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა, დიპლომატმა, კარტოგრაფმა და მხატვარმა ტიმოთე გაბაშვილმა. აი, რას წერს იგი: „მოვიჩინეთ ყოვლად ქებულსა ტრაპეზუნტას, ტახტსა და სამყოფსა ბერძენთა მეფეთასა, ადგილსა შემკობილსა თითოსახითა სიკეთითა, ზღვითა და მითითა. და გარდავედით რა ზღვით, ნარუვლინენტ არქიდიაკო ჩვენი წინაშე მიტროპოლიტისა ტრაპეზუნტისა მომკითხავად. და მასცა ებოძნეს მღვდელი მომკითხავი ჩვენი. და მიგვიძღვნენ ზღვისაგან დამაშვრალთა სრასა რასმე ტურფად ნაგებსა და ბალთა და ზღვისა ჭუნებისა ლადოთასა ამოდ შესაქცევსა. განვისვენეთ მუნ რა არამცირედსა ჟამისა, აღვედით ხილვად ყოვლად სამღვდელოსა ანანია ტრაპიზონელისა, ვინარ წინამოგვეგება კაცი ყოვლითავე ქცევითა პატიოსანქნილი და შემკობილი, უცხოსმოყვარებისა მაღლითა მდიდრად აღვსებული, და ფრიად ვიდრემე კეთილად შეგვიტკობ და ზედასაზედან გვანვევდა ტრაპეზად და ინება ჩვენ მიერ მსხვერპლისა შეწირვა ხარისხსა თვისსა საყდარსა წმიდისა გრიგოლი ნოსელისასა, რამეთუ აიასოფია ტრაპეზუნტისა და სხვანი მრავალნი ეკლესიანი თურქთა დაეპყრნეს. და ვიყავით მუნ მღვდელთმთავრისა მიერ და ერთა ქალაქისათაგან ფრიადსა პატივსა. და ნუგეშისა მოცემასა ჩვენსა მთხოვნელნი, ჩვენ უღირსთაგან მსხვერპლისა შეწირვასა და აიაზმასა და უცხოებასა ჩვენსა ჯეროვნად შეინყნარებდეს.

და აღვედით დედათა მონასტრად და მოგვეგებნენ სულიერი დედა, წინამძღვარი, და სხვანი დანი და დედანი, ჯვარშემოსილი კრებული, და გალობითა და კეროვანებითა შეგვიძღვნენ და თაყვანის-ვეცით ტრაპეზსა და ადგილთა მათ წმიდათა, რამეთუ იყვნეს გამოკაფულ კლდისაგან ეკლესია და ხელოვნად შემ-

¹ Gologlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 79.



კობილი სადგურნი და სენაკნი მონასტრისა მის მეფისა ალექსის კომნენოსისაგან, რამეთუ თვითცა მუნვე ესახა დედით და მეუღლით. და შეგვიძენენ საეროდ ტრაპეზად, და დაგვიგეს სანოაგენი და გვიმასპინძლებდენ ამოდ და ფრიად, ვიდრემდე სარგებელ გვექმნა ხილვა მათი. და მიერითგან წარმოვედით კვალად სავანედვე ჩვენდა. ამად უამად დაგვიყოვნდეს მუნ უამნი ერთისა თვისანი. და გვეშოვა ნავი მარჯვე, და აღვედით შენდობისა აღებად მიტროპოლიტისა, რამეთუ ფრიადცა გვიძნდა განშორება მისი; და აღმღებელთა ლოცვათა მათთასა გვიბოძა საგზალნი გზისათვის. და შთავედით ნავთა და ვლეთ ზღვით“.¹

XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობის დავალებით ტრაპიზონი მოუნახულებია ვ. ფონტანიერს. იგი წერს: „ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს მონებით ვაჭრობა. ესენი არიან კავკასიის ბარბაროსი ხალხების მიერ დატყვევებული ადამიანები, სამეგრელოში ოჯახებიდან მოტაცებული, ზოგჯერ კი თვით მშობლების მიერ გაყიდული ბავშვები. უმეტესობა ანაპიდან ჩამოყავთ, მაგრამ ზოგი ხმელეთიდანაც მოდის. ჩემი იქ ყოფნის დროს მათი რიცხვი პორტში 200-მდე იყო. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოეყვანათ. მაგრამ ერთმანეთში „გურჯის“ სახელით იყვნენ არეულები. ამას გარდა ეს აღებმიცემობა არ ჰგავს ზანგებით ვაჭრობას და მონების უმრავლესობა საკუთარ ბედს არ უჩივის“.²

XIX საუკუნის დასაწყისში ტრაპიზონი ისევ მოინახულა საფრანგეთის კონსულმა ადრიან დიუპრემ. მას ტრაპიზონის მოსახლეობის უმეტესობის შესახებ აქვს მეტად საინტერესო განსაზღვრება – „თურქი თუ ლაზი“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აქაური მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის თავისებურებას.

შემდეგ იგი განაგრძობს: „ხომაღდები... უშვებენ ღუზას და თხილით იტვირთებიან, რომლის უხვი მოსავალი სწორედ ამ

¹ გაბაშვილი ტ., „მიმოსვლა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, გვ. 7-8.

² Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997. s. 246.

რეიდის ირგვლივ მდებარე სოფლებში მოდის. ისევე როგორც ჩუმლუქთან, აქაც ბევრია მეჩეჩი და ამის გამო ხომალდებს სანაპიროდან ოცდაათი ტუაზით, ანუ ექვსი-რვა საზღვაო საუნით დაშორებულ ადგილას უხდებათ ლუზის ჩაშვება. ტრაპიზონის ვაჭრობაც კი ნაკლებ განვითარებული იქნებოდა, ადგილმდებარეობა და არზრუმთან სიახლოვე რომ არ უწყობდეს ხელს ამ პორტის კაბოტაჟურ ნაოსნობას კონსტანტინოპოლთან და ყირიმთან. ადგილობრივი დამზადების სელის ტილო, შელეხილი ტილო და დიარბექირის შეუღებავი ტილო, ბამბანარევი ქსოვილები, დამუშავებული და დაუმუშავებელი სპილენძი, ნარდერკი, თხილი და განსაკუთრებით კი თამბაქო – ესაა ის საქონელი, რომელიც არცთუ დიდი რაოდენობით იგზავნება ყირიმში. ამ ნახევარკუნძულზე სავაჭრო საქონელი განუწყვეტლივ შემოაქვთ, რასაც განსაკუთრებული სარგებლობა მოაქვს რუსებისათვის. აქ ვაჭრობენ მარცვლეულით, მარილით, კარაქით, საქონლის ქონით, მატყლით, ხარის ტყავითა და რკინით; ამ საქონელზე დიდი მოთხოვნაა ანატოლიასა და სომხეთში.

ტრაპიზონიდან კონსტანტინოპოლში იგივე საქონელი გააქვთ, რაც ყირიმში. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლშივე გააქვთ ადგილობრივი ტილო, ბზა და იამაიკური დაფნა, რომელიც ყარაყაბანის (Kara-Kaban) მთებში იზრდება. ვერცხლის, ტყვიისა და ზირნიხის საბადოების ნაწარმი, ყავა და დედაქალაქისათვის საჭირო სხვა სავაჭრო საქონელი ბალდადიდან, სპარსეთიდან და საქართველოდან მოსულ ქარავნებს შემოაქვთ არზრუმში, საიდანაც ისინი ტრაპიზონში ჩადიან და იტვირთებიან ახალი საქონლით. კონსტანტინოპოლიდან ხომალდები ადგილობრივი მოსახლეობისათვის საჭირო სამრეწველო საქონლითა და სხვადასხვაგვარი ევროპული ნაწარმით დატვირთულნი ბრუნდებიან. მათ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოაქვთ ფოლადი, კალა და საპონი.

ტრაპიზონიდან ყოველწლიურად ორი გემი მიემართება ბურგასში, ქალაქ სელიმიეს სავაჭრო პორტში, სადაც ზაფხულობით ბაზრობა იმართება. აქ შემოაქვთ დიარბექირის შელეხილი ტილო, მიტკალი, სპილენძი და კურდღლის ტყავი; სამაგიეროდ,

აქედან გააქვთ გრძელბენვიანი ქეჩა, რომლისგანაც მოსახლეობა აბას სახელწოდებით ცნობილ მოსასხამებს ამზადებს.

ტრაპიზონში საქონელს ინახავენ ქვით ნაგებ თერთმეტ ქარვასლაში; ყოველ მათგანს საგანგებოდ უცხოელი სოვდაგრები-სათვის განკუთვნილი ოთახები აქვს. ბაზისტანი მოთავსებულია ქალაქის შუაგულში; ამ საკმაოდ დიდ და კვადრატული ფორმის შენობას ორი სხვადასხვა მხარეს დატანილი ფანჯარა აქვს. ეს შენობა, ალბათ, გენუელების მიერაა აგებული და მას თოფისნამ-ლის შესანახი სარდაფის დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ტრაპიზონის თითქმის ყველა სოვდაგარს არზრუმსა და კონსტანტინოპოლში კომპანიონები ჰყავს, რომლებიც შუამავ-ლის როლს ასრულებენ და თანაბარი რაოდენობით აგზავნიან მიღებულ საქონელს ამ ორ უკანასკნელ ქალაქში. მართალია, საქონლის გაცვლა-გამოცვლა ძირითადად არზრუმში ნარმოებს, მაგრამ საქონლით ტრაპიზონშიც ვაჭრობენ. ამ გზით თავიდან იცილებენ საქონლის არზრუმში ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯებს, რაც ოცდაათ ბათმანზე 40-45 პიასტრს შეადგენს. თურქი სოვდაგრები, ჩვეულებრივ, მცირეოდენი მოგებით კმაყ-ოფილდებიან და როცა საქონელს სამი-ოთხი თვის ვადით ყიდუ-ლობენ, ზუსტად იცავენ თავიანთ ვალდებულებებს. ტრაპიზონის ვაჭრობის ძირითადი და ყველაზე სარფიანი საგანი, უდავოდ, არგანამადენის სპილენძია. იგი ტრაპიზონში დაუმუშავებელი სახით შემოაქვთ, მისი დამუშავების ოპერაციას კი შვიდი ლუ-მელი ასრულებს“.¹

1828-29 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი მხოლოდ მაშინ შეწყდა, რაც გენერალმა პასკევიჩმა ტრაპიზონისკენ იწყო წინს-ვლა.² რუსები გუმშპანემდე მივიდნენ. მათ მხარეზე ბევრი ბერ-ძენი და სომეხი გადავიდა. რუსების უკან გაბრუნების შემდეგ მათაც მოუხდათ აქაურობის დატოვება.

¹ გამბა უ. ფ., მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1987, გვ. 271-273.

² Büyük Larousse. Sözlük ve Ansiklopedisi, Cilt 19, İstanbul, 1986, s. 11669.

1829 წელს ხელმონერილი ადრიანოპოლის ზავით, შავი ზღვა გაიხსნა საერთაშორისო ვაჭრობისათვის. ინგლისის პირველი ორთქლის გემი შემოვიდა 1830 წელს და ამოქმედდა ირანის სატრანზიტო გზა, რამაც ტრაპიზონს ახალი სიცოცხლე შესძინა. 1838 წელს ხელმონერილი ოსმალეთ-დიდი ბრიტანეთის სავაჭრო ხელშეკრულების შემდეგ ხელახლა გაიხსნა ტრაპიზონის საბაჟო.

ირანის სატრანზიტო გზის ამოქმედებით ტრაპიზონი ევროპის ჭიშკრად იქცა. რუსულმა, ფრანგულმა, ბრიტანულმა და ავსტრიულმა გემებმა რეგულარული რეისები დაიწყეს. ადგილობრივი ბერძნული და სომხური სკოლების გარდა გაიხსნა სპარსული, ფრანგული და ამერიკული სკოლები. 1834 წლის შემდეგ მისიონერული მოღვაწეობაც დაიწყო.

ადგილობრივმა ბერძნებმა მთელი შავიზღვისპირეთი და ევროპა მოიცვეს. ისინი ეკონომიკურად გაძლიერდნენ და წიგნების ბეჭდვასაც მიჰყვეს ხელი; 1842 წლიდან თავიანთ შვილებს სასწავლებლად უკვე ათენში აგზავნიდნენ; თემში შეკრებილი თანხა მონასტრებსა და სკოლებზე ნაწილდებოდა.¹

ტრაპიზონში სკოლების გახსნის შემდეგ ბერძნული პროპაგანდა გაძლიერდა. თუ აქამდე ეკლესია ადგილობრივებს „რომაელებს“ ეძახდა, და ხალხი თავს „ლაზად“ მიიჩნევდა, ახლა ნელ-ნელა „ბერძნული“ შეგნება მკვიდრდებოდა.²

თურქი პროფესორის ილბერ ორთაილის შეფასებით, ვაჭრობის გამოცოცხლების შემდეგ ტრაპიზონი კავკასიის ერთ-ერთ სიცოცხლით სავსე ცენტრად იქცა. იგი წერს, რომ ქალაქში ერთმანეთის გვერდით ისმოდა ბერძნულის პონტოური დიალექტი, ქართული, სომხური და თურქული ენები.³

¹ Emiroğlu K., Dünyardan Bakınca Trabzon, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997. s. 237-238.

² Yerasimos S., XIX Yüzyılda Trabzon Rum Cemaati, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 290.

³ Ortaylı İ., XIX Yüzyılda Trabzon Merkez Livası ve Giresun Üzerine Gözlemler, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 262.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ტრაპიზონი ინახულა ხეთების დედაქალაქის – ხათუშაშის აღმომჩენმა შარლ ტექსიემ. მისი შეფასებით, ქალაქში ცხოვრობდა რვა ათასი ოჯახი. მათგან ხუთასი სომხური, ათასხუთასი ბერძნული და ექვსი ათასი თურქული კომლი იყო. ქრისტიანები რვა, მუსლიმები კი ოცდარვა უბანში ცხოვრობდნენ. ქალაქში ყოფილა ოთხი სომხური და ოცდაოთხი ეკლესია (მოქმედი იყო შვიდი).¹

1856 წელს ოსმალეთის მთავრობამ გამოსცა სპეციალური ფირმანი, რითაც იმპერიის ყველა მოქალაქეს ეძლეოდა საკუთარი რელიგიის თავისუფლად აღიარების უფლება. ამის შემდეგ ტრაპიზონის მხარეში (განსაკუთრებით მაჭკაში) მრავალმა ფარულმა ქრისტიანმა სახალხოდ აღიარა თავისი სარწმუნოება. მათ ქრისტიანული სახელების აღებაც დაიწყეს. გუშინდელი აჰმედი და ჰასანი, ნიკოლა და გიორგი გახდა.²

XIX საუკუნის შუა ხანიდან მოყოლებული გვხვდება სხვადასხვა ჩანაწერი ამ რეგიონის შესახებ. ოსმან-ბეიმ ამ მხარეში 1864 წელს იმოგზაურა. მისი შეფასებით, ტრაპიზონის მოსახლეობა შერეულია: მუსლიმური მოსახლეობა ლაზებისაგან შედგება, ხოლო ნაწილობრივ – ბერძნებისაგანაც, რომლებსაც მუსლიმობა მიუღიათ.³

უფრო საყურადღებო ცნობას იძლევა ინგლისის კონსული ვ. ჯიფორდ პალგრევი. მისი სიტყვით, ტრაპიზონის ვილაიეთის მოსახლეობის რაოდენობა ოფიციალური ცნობებით, 850.000 აღწევდა, მათში 56.000 ქრისტიანი იყო. კონსული იქვე აღნიშნავდა, რომ აქაური ე. წ. „ბერძნები“ იგივე ლაზები იყვნენ, რომლებსაც ბიზანტიის ბატონობის პერიოდში ქრისტიანობა მიუღიათ.⁴ ტრაპიზონში ეთნიკური და რელიგიური ცნებების აღრევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

¹ Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997. s. 252.

² Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 124-125.

³ Осман-бей, Лазистан, Изд. ИРГО-ва, Т. X, 1874г., № 8, стр. 364.

⁴ Пальгрёв, Отчет, (1872 г) о береге Лазистана, Изд. РГО-ва, Т. VII, Тб. 1882, стр. 17, 60.

1867 წელს ქალაქის დიდი ნაწილი ხანძრის შედეგად დაინვა, მაგრამ შემდეგში ხელახლა მოენყო.¹

XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ტრაპიზონში სტამბა დაარსდა, სადაც წიგნები და გაზეთები იბეჭდებოდა. აქ დაბეჭდილი ერთ-ერთი პირველი წიგნი იყო შაქირ შევქეთის „ტრაპიზონის ისტორია“ (1870).²

ტრაპიზონის თემას სხვებთან ერთად XIX საუკუნის პოპულარული ფრანგი მწერალი ჟიულ ვერნიც შეეხო რომანში „ჯიუტი გმირი აზნაური“. ვერნი გმირის პირით ტრაპიზონს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე ქალაქს უწოდებს.³

ბრიტანეთის კონსულს, ეყრდობა რა ოსმალეთის მოსახლეობის აღწერის შედეგებს, თავის მოხსენებაში ნაწვენები აქვს ქ. ტრაპიზონის მოსახლეობის შემადგენლობა 1860 წლისათვის:

მუსლიმი	40.000
ბერძენი	10.000
ევროპის ქვეყნების მოქალაქე	1.500
სომეხი	3.000
ირანელი	600
სომეხი კათოლიკე	500
სომეხი პროტესტანტი	100
სულ	55.800 ⁴

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს კავკასიიდან წამოსული მუჰაჯირების (ლტოლვილები) ერთი ნაწილი ტრაპიზონში დასახლდა. მუჰაჯირობის მძიმე ბედი ქართველებმაც გაიზიარეს. 1878 წლის 28 სექტემბრის გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ტრაპიზონში გადასახლებულ ქობულეთლების მდგომარეობა“. ამ სტატიაში ვკითხულობთ:

¹ Anabritannica. Genel Kültür Ansiklopedisi, Cilt 30, İstanbul, 1994, s. 180.

² Emiroğlu K., Dünyadan Bakınca Trabzon, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 238.

³ იქვე, გვ. 241-242.

⁴ Ortaylı İ., XIX Yüzyılda Trabzon Merkez Livası ve Giresun Üzerine Gözlemler, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 264.

„ერთს ინგლისურს სარწმუნო გაზეთში („Manchester Guardian“) დაბეჭდილია ქვემო-მოყვანილი ამბავი, რომელსაც ამ გაზეთში ტრაპიზონიდან იწერებიან.

ამ კორესპონდენციის ნაკითხვა განსაკუთრებით საინტერესო და საჭიროა იმ ოსმალთა ქართველებისათვის, რომელნიც თავიანთ მინა-წყალს, სახლ-კარს, თავიანთ სამშობლო ქვეყანას სტოვებენ და მიდიან ოსმალეთში იმ იმედით, რომ იქ უკეთ ვიცხოვრებთო.

ნაკითხონ ეს ამბავი იმ ქობულეთლებმა და საზოგადოთ ოსმალთა ქართველებმა, რომელნიც ოსმალეთში გადასახლებას აპირებენ და როდესაც დაინახვენ – თუ რა მდგომარეობაში არიან იმათი გადასახლებული მოძმეები, მაშინ, იმედია, დაფიქრდებიან და შეჩერდებიან.

აი ეს კორესპონდენცია:

„... როდესაც რუსეთმა გამოუცხადა ოსმალეთის მმართველობას, რომ, სანამ ბათუმს არ დაუთმობენ, მანამ ის სტამბოლს არ მოაცილებს თავის ჯარებს, მაშინ კი ოსმალეთმა გადაწყვიტა ბათუმის დათმობა...

დერვიშ-ფაშამ გამოუცხადა ბათუმის, აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებელთ, რომ ვისაც ჰსურს, შეუძლიან გადასახლება. და ამ განზრახვით და აგრეთვე ჯარებისა და სამხედრო მასალების წასაღებად ბათუმში მოვიდა ოსმალთა რამდენიმე ხომალდი.

ხალხი ძალიან გაბრაზდა, როდესაც ეს ამბავი გაიგო, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალთა ჯარები დაეხმარებოდნენ იმათ რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ისინი დაემორჩილნენ თავიანთ ბედს და გადაწყვიტეს ისევ ოსმალეთში გადასვლა.

ჩურუქ-სუს (ასე ერქვა ქობულეთს ოსმალეთის პერიოდში – ზ. ბ.) მცხოვრებლებმა პირველად დაიწყეს გადასახლება. ამჟამად სულ ოთხი ათას სულამდინ არიან ბათუმიდან აქ, ტრაპიზონში მოსულნი და დროებით დაბინავდნენ აქაურს ხანებში.

ამბობენ, კიდევ ბევრი აპირებენ გადმოსახლებასაო.

ამ გადმოსული ხალხის დასასახლებლად ოსმალეთის მთავრობამ დანიშნა ადგილები მალაციის მახლობლად, სადაც 10,000 კაცის დასახლება შეიძლება. მაგრამ, რადგან ოსმალეთის მთავრობამ ამაზე მეტი არავითარი მზრუნველობა არ გამოიჩინა და სხვა არაფერი შემწეობა არ მისცა გადმოსახლებულებს, ამის გამო შემდეგში ამათ ისეთივე ბედი მოეწიეს, როგორი ბედიც მოუვიდათ აბხაზებს.

გადმოსული ქობულეთლები ახლაც ძალიან სჩვიან და ემდურიან ოსმალეთის მმართველობას. გუშინ დიდი გროვა გადმოსახლებულები მოვიდნენ აქაურ ლუბერნატორთან და სთხოვეს, სადგომი და ლუკმა-პური მაინც გაგვიჩინეთო; დერვიშ-ფაშამ დაგვიპირდა ჩვენაო, რომ ოღონდ გადასახლდით და ტრაპიზონში თითო სულს დღეში ნახევარი ოყა პური გექნებათო.

მომეტებული ამათგანი მშიერ-მწყურვალენი ყრიან ამ უამად ქუჩებში. თავმესაფარავი და ლუკმა-პურიც არა აქვთ. ზოგი კი ჯამებში (მეჩეთებში) და ხანებში დგანან. ამას გარდა რამდენიმე ასი კაცი დგას ხის კარვებში, რომლებშიც ადრე ლოსპიტლები იყო გამართული.

აი ამით გაათავა ოსმალს მთავრობამ თავის მზრუნველობა ამ გადმოსახლებულებისათვის.

რამდენიმე კაცისაგან გავიგონე, რომ ჩვენს ნაცნობებსა და ნათესავებს უნდა შევატყობინოთ ბათუმში და ქობულეთშიო, რომ არ წამოვიდნენ აქეთკენ. ზოგიერთებმა მითხრეს, რომ უკან დაბრუნებასაც აპირებენ, რადგან ერთობ დიდ გაჭირვებაში და ნვალებაში არიან“.¹

ამ პერიოდისათვის საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობა გრძელდებოდა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, „ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა ორი ქარვასლა არსებობდა 1879 წლებამდის, ტრაპიზონში სავაჭროდ გადადიოდნენ ახალციხელი ვაჭრები და იქ ისადგურებდნენ კარგა ხანს ამ ქარვასლებში. აქ ყიდულობდნენ ფორთოხალს, ლიმონს, ზეთისხილს, ლელვს, თაფლს, წმ. სანთელს და იმერეთსა და ქართლში გადმოჰქონდათ გასაყიდად“.²

¹ „დროება“, 28. 09. 1878.

² ჭიჭინაძე ზ., ტრაპიზონი, „საქართველო“, 23. 04. 1916.

1895 წლის 8 ოქტომბერს ტრაპიზონში მოხდა სომეხთა აჯანყება. ამ დროს ქალაქის მოსახლეობა 35 ათასი (მათგან დაახლოებით ნახევარი ბერძენი და სომეხი) იყო.¹ შეთქმულებს ტრაპიზონის ვალის ქადრი ბეის მოკვლა ჰქონდათ განზრახული. მაგრამ გეგმები ჩაეშალათ, რადგან ქადრი ბეი ამის შესახებ წინასწარ იყო ინფორმირებული.²

XIX საუკუნის ბოლოს ტრაპიზონი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. აქ თავიანთი საკონსულოები ჰქონდათ გახსნილი ავსტრო-უნგრეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, რუსეთს, იტალიას, საბერძნეთს, ბელგიას, ესპანეთს, ირანს და აშშ-ს. ქალაქში იყო ერთი ადგილობრივი და შვიდი უცხოური (აქედან ერთი ქართული) სანაოსნო ამხანაგობა.³

XIX საუკუნის ბოლოს ტრაპიზონის მიტროპოლს ემორჩილებოდა ოთხი მთავარეპისკოპოსი: რიზეს (მოიცავდა თირებოლუსა და გირესუნის მხარეებსაც), გუმუშჰანეს, სამსუნის (მოიცავდა ბაფრას და ჩარშამბას მხარეებსაც) და ნიქსარის (მოიცავდა ორდუს, ფაცას, უნიეს და თერმეს მხარეებსაც).⁴

1909 წელს ქალაქი ტრაპიზონი მოინახულა ვინმე ქემალ-ფენდიმ (შესაძლოა ფსევდონიმია). აი, რას წერს იგი:

„ერთ კვირაზე მეტია, რაც ტრაპიზონში ვარ. შემთხვევა მქონდა აქ დარჩენისა და ნება-უნებურად გავიცანი ეს ქალაქი, რამდენადაც შესაძლებელია ეს ერთი კვირის განმავლობაში.

ქალაქი ტრაპიზონი ერთი უდიდესი ქალაქია ამ კუთხეში. ქალაქი გაშენებულია შავი ზღვის პირად. ბათომიდან ტრაპიზონამდე რვა საათის სასიარულოა ხომალდით. ხომალდები პირდაპირ ქალაქის კიდეს ვერ ადგებიან და ამიტომ მიმოსვლა ქალაქიდან ხომალდამდე ნავებითა და ფელუკებით არის. ქალაქი ზღვიდან მეტად მშვენიერი სანახავია. იგი გაშენებულია ფერ-

¹ Anabritannica. Genel Kültür Ansiklopedisi, Cilt 30, İstanbul, 1994, s. 180.

² Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşta Kadar, Trabzon, 2000, s. 157.

³ იქვე, გვ. 150-151.

⁴ Goloğlu M., Anadolu'nun Milli Devleti Pontos, Ankara, 1973, s. 236.

დობებზე, რომელიც ზღვიდან ამფითეატრივით არის შეფენილი. ზევიდან ქალაქს თოვლიანი მთები დაჰყურებენ.

ერთის სიტყვით, გარედან სამოთხეს წააგავს ქალაქი, შიგნით კი, ახლოს რომ ჰნახავ, ნამდვილი აზიური ქალაქია, ვინრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებით, ოღრო-ჩოღროებით, უსუფთაო და ტალახიანი. სულ ორი თუ სამი ქუჩა იქნება, რომელიც წააგავს ჩვენებურ ქუჩებს, სადაც შესაძლოა ეტლით გავლა და ცხენების აქცევა. მიდიხარ ქუჩაში ორ მაღალ კედელს შუა. სახლებს ვერ ჰხედავ, ხოლო ალაყაფის კარები რკინის კლიტეებით გიჩვენებს, რომ იქ აქაური მოქალაქენი სცხოვრობენ. ბაზარი მეტად ვინრო და შექუჩებულია. ხელოსნები თავიანთ სახელოსნო მონყობილობით და ვაჭრები არეულნი არიან ერთმანეთში. ფეიქარს საფეიქრო ისე ვინრო და დაბალი აქვს, რომ შიგ მარტო დამჯდარი იმართება. სახარაზოში ორი ხარაზი დამჯდარი ძლივს ეტევა. ამათ ზემოთ კიბით ასულა კიდევ ორი და იქ გაუნყვია თავისი მუშაობა.

ქალაქის ძველი ქვითკირის გალავანი, უზარმაზარი ხიდები ქალაქის ლეღებსა და ხრამებზე, ციხეები და ეკლესიების სიმრავლე ნათლად მონმოხენ, რომ ეს ქალაქი ბერძნების ხელში, სანამ ოსმალთ დეიჭერდა, დიდის ცივილიზაციის მქონე ყოფილა. ექვსი საუკეთესო ეკლესია, ორი იმათში ჯვარის სახის არქიტექტურისა და გუმბათიანი, ოსმალთებს მეჩითად გადაუკეთებიათ (საკურთხევლისკენ კარები გამოუჭრიათ და გვერდზე მინარეთი მიუშენებიათ).

ტრაპიზონში სამოცი ათასი მცხოვრები იქნება, ამათში ბერძენია თორმეტი ათასი, სომეხი – ხუთი. დანარჩენი კი ოსმალთები არიან. მთელი ვაჭრობა და აღებ-მიმცემობა უმთავრესად ბერძნების, სომეხებისა და უცხოელების ხელშია. არიან სპარსელი ვაჭრებიც. ოსმალთები, როგორც საზოგადოდ ყველგან ოსმალეთში, მოხელენი არიან, უმეტესობა კი უბრალო მუშა ხალხს წარმოადგენს. უცხოელებს აქვთ სავაჭრო და სანაოსნო კანტორები. ეს მხარე მათ თავიანთ სანველ ფურად გაუხდიათ და ეტყობათ, თავს ძლიერ კარგადა ჰგრძნობდნენ.

სწავლა-განათლების საქმე აქ სხვებზე კარგად ბერძნებს მოუწყვიათ. ამათ ტრაპიზონში აქვთ ვაჟთა გიმნაზია. ახლო მომავალში ქალების გიმნაზიასაც ხსნიან. პროგიმნაზიური კლასები ცალკეა და შესდგება 7 კლასისაგან (ანუ განყოფილებისაგან), გიმნაზიურ 5 კლასიდან. გიმნაზიას საკომერციო განყოფილებაცა აქვს, სადაც, სხვათა შორის, რუსულ ენასაც ასწავლიან. თათრულ ენას წინადაც ყურადღებას აქცევენ, მაგრამ კონსტიტუციის შემოღების შემდეგ უფრო გულმოდგინეთ ეკიდებიან. მიუწვევიათ მეორე მასწავლებელი, ოსმალელი. სწავლა-განათლების საქმეს განაგებს სამზრუნველო, შემდგარი 12 ამორჩეული ნევრისაგან მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით. გიმნაზიას აქვს საკუთარი მშენიერი შენობა. გიმნაზიისა და, საზოგადოდ, სკოლების სახსარს შეადგენს კერძო შემონირულება, ეკლესიების შემოსავალი და სწავლის ფული (გიმნაზიაში წელიწადში 30 მანეთია გადასახადი).

ამნაირი სკოლები სომხებსაცა აქვთ. ოსმალეებს მარტო ერთი საშუალო სასწავლებელი აქვთ, სამხედრო ტიპისა.

აქ გავიცანი მაჰმადიანი ქართველი ახმედ ეფენდი ჭიჭინაძე, რომელიც ოც წელიწადზე მეტია, რაც გადმოსახლებულა ბათომიდან იგი და მისი ძმა მუჰამედი. როგორც ამან მიაგებო, ტრაპიზონში, შიგ ქალაქში, ქართველი მაჰმადიანი ცოტა ყოფილა, 15 ოჯახამდე თუ იქნება, ტრაპიზონის ვილაეთში კი ბევრია, ასე 40 ათას კომლამდე (მაშასადამე ორასი ათასს სულამდე). ძალიან გაუხარდა ახმედ-ეფენდის ქართველი კაცის ნახვა. დამელაპარაკა თუ არა, ქართული წიგნები მომთხოვა. მეც მივანოდე, რაც კი მქონდა, ათიოდე „დედა-ენა“ და „დროების“ ყველა ის ნომერი, სადაც უსახლ-კაროს წერილებია მოთავსებული ქართველ მაჰმადიანებზე. კარგი იყო „ყორანი“ და სახალხო წიგნები მქონოდა. კარგს იზამს, წერა-კითხვის საზოგადოება, თუ აქაურ მაჰმადიან ქართველებს ხანდახან მიაწოდებს საჭირო წიგნებს. „ამ წიგნებს დაურიგებ ჩემ მეზობელ გურჯებს, – ძალიან გვინდა, რო არ დავივიწყოთ ჩვენი დედა-ენა, მაგრამ რაფერ: ჩვენ ვერ ვახერხებთ და თქვენ არ გვეხმარებით“, მისაყვედურა ახმედ-ეფენდი.

მაჰმადიანი ქართველობა აქვთ გადმოსახლებულა კაი ძალი ბათომის ალების შემდეგ ქობულეთიდან და აჭარიდან. მას შემ-

დეგ თითო ოროლა დღესაც სახლდება თურმე. მაგალითად, შარშან გადმოსახლებულა აქ ცოლშვილით აბაშიძე და ორი ძმა ბეჟანიძე.

აქაურ ცხოვრებაზე, რა მოგახსენოთ, ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცი. გარეგნობით კი საშინელი სიმშვიდეა – არც კაცის კვლა, არც ცარცვა-გლეჯა, ბანკებს და ხაზინას არავითარი მცველი არა ჰყავს.

თავისუფლება დიდია. სკოლებში, მაგალითად, რაც გინდა, ის ასწავლე, დამშლელი არავინ არის.

მოგზაურობა აქეთ ძალიან ადვილია. ოსმალური თუ იცი, ხომ კარგი, თუ არა და ფრანგულითაც იოლას ნახვალ.¹

1911 წელს პ. შუბინსკიმ ნახა ტრაპიზონი და წერს, რომ მისი 60.000 მცხოვრებლიდან 2/3 ლაზია.² ამას გარდა, როგორც 1914 წლის 20 აპრილის „სახალხო გაზეთი“ იუწყებოდა, იმ პერიოდისთვის ტრაპიზონში ცხოვრობდა ქართველი მუჰაჯირების 300 ოჯახი.³

ტრაპიზონის სამხრეთით მდებარეობს ცნობილი სუმელას მონასტერი („სუმალა“/„სუმელას“ ზოგიერთი მკვლევარი ლაზურ „სამებას“ უკავშირებს - ზ. ბ.), რომელსაც ქართველები ხშირად სტუმრობდნენ. 1910 წელს აქ მოსულა გერასიმე ნადარეიშვილი. აი, რას წერს იგი:

„მონასტრის გარშემო მთები ფიჭვ-ნაძვის ტყეებით შემოსილია. მონასტერში მისვლას მით უმეტეს ვესწრაფებოდით, რომ მახსოვდა სადღაც ნაკითხული – „დავით აღმაშენებელმა ააშენა დიდი ლავრა სახელსაზედა სუმელის მონასტერი, რომელსაცა შესწირა მამულნი და სხვანი შემოსავალნი“.

ტაძარი მსგავსად ვარძიისა, გამოქვაბულია კლდეში. საკმაოდ დიდია, მიუდგომელი. წინ აქვს ვიწრო ეზო კლდეებ აყუდებული. ეზოდგან გზამდე ჩაყუდებულია კლდისავე კედელი, რომელსაც სიმაღლე აქვს ხუთი საყენი და კლდეშივე გამოკვეთილ კიბით

¹ ერმილ-ფენდი, ქალაქი ტრაპიზონი (წერილი ოსმალეთიდან), „დროება“, 05. 02. 1909.

² წერეთელი ვ., ოსმალეთის საქართველო, „სამშობლო“, 3. 07. 1916.

³ „სახალხო გაზეთი“, 20. 04. 1914.

ადი-ჩადიან, კიბის ასასვლელში ვინრო და მაგარი კარებია. ეზოს ერთ მხარეს მიშენებულია ფრიად მაღალი რამოდენიმე სართულიანი შენობა, საცა მონასტრის კრებული სცხოვრობს. ტაძარში ასვენია ღვთისმშობლის ხატი, ძვირფასად შემკული. ამბობენ ლუკა მახარებლის დახატულიო. მცხოვრებლების აზრით ხატი სასწაულთმოქმედიია. მოჰყავთ ჭკუით შეშლილები, ქრისტიანები თუ თათრები, და ყველანი იკურნებიანო. აქ დარჩენილია ასეთი გადმოცემა: ეზოდამ ძირს მლოცველ ქალს აკვანი დაუსხლტა მწოლიარე ბავშვით. შიშით გაშეშებულმა დედამ მხოლოდ აღმოსთქვა „პანაგია“ (ყოვლად ნმიდაო). ხუთი საუენის სიმაღლიდან კლდეზე დაცემული აკვანი და ბავშვი უვნებლად გადარჩაო.

აქა ყოფილა ქართველი ბერი და თავისი გაუფრთხილებლობის გამო ერთ გიჟს ხე დაურტყამს თავში და მოუკლავს. ჩვენის გამოუცდელიობისა და ზოგიერთ სხვა მიზეზისა გამო მონასტრის შიგნით ნანილი ისე გულდასმით ვერ დავათვალიერეთ, რომ მასში გვეპოვნა რამე ნაშთი დავით აღმაშენებლისა ან და სხვა ქართველებისა.¹

სამწუხაროდ, გერასიმე ნადარეიშვილი არ მიუთითებს, სად ჰქონდა ნაკითხული დავით აღმაშენებლის მიერ სუმელას მონასტრის აგების ამბავი. ცნობილია, რომ სუმელა უფრო ადრე აიგო. შესაძლოა დავით აღმაშენებელმა ტრაპიზონზე ლაშქრობის დროს ეს ადგილიც მოინახულა და დახმარება აღმოუჩინა მას. გ. ნადარეიშვილისვე ინფორმაციით, ტრაპიზონიდან არზრუმსა და პარხლის მთებისკენ მიმავალ გზას უხსოვარი დროიდან საქართველოს სამხედრო გზა ეწოდებოდა.²

საერთოდ გ. ნადარეიშვილი მეტად საინტერესო პიროვნებაა (ჩვენი ინფორმაციით, ის ტრაპიზონში იყო დაბადებული და გაზრდილი) და მისი შემოქმედების შესწავლა აუცილებელია. მაგალითად, მას დაცული აქვს მეტად საყურადღებო ცნობა სტამბოლში არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ მონასტერ

¹ ნადარეიშვილი გ., ნერილი ტრაპიზონიდან, „სახალხო გაზეთი“, 1. 07. 1910.

² იქვე

ჰრომანაზე, რომელიც დღეს ლოკალიზებული არაა. კერძოდ ის წერს:

„აქედგან (სტამბოლის აია-სოფიიდან – ზ. ბ.) რკინის გზით დასავლეთისაკენ გავემგზავრე. ქალაქის გარეთ არის ერთი მონასტერი, მის ახლო წყარო ჩამოდის. ყველაფრით შემკული ადგილია. სამკუთხივ ქვითკირის შენობა არტყია, ეს არის ჩვენი რომანა. წმიდა ილარიონი კახელის უღუმბოს მთიდგან (უნდა იყოს უღუმბოს მთა, დღევანდელი ულუდალი – ზ. ბ.) თესალონიკეში გარდასვლის შემდეგ, მოგვითხრობს ამ წმიდანის ცხოვრების ამწერელი მისი თანამედროვე ბერძენთ ფილოსოფოსი ბასილი, სამნი ქართველნი ილარიონის მოწაფენი დარჩენილან უღუმბოს მთაში, იმპერატორ ბასილი მაკედონს გაუგია მათი სათნო ცხოვრება და დაუბარებია კონსტანტინოპოლს, დიდის დიდებით მიუღია და იმ სამ მოხუცთათვის კერძო ეკლესია და მონასტერი აუშენებია რომანად ნოდებუღი, და თავისი შვიღები ლეონი და ალექსანდრე მიუბარებია მათთვის ქართული წიგნი და ენა შეასწავღეთო. შემდეგ უღუმბოისა ქალაქ თესალონიკეს ეცხოვრა მამა ილარიონს. აქ თვით თესალონიკის მთავარს აუშენებია ილარიონისთვის მონასტერი რის შემდეგაც მალე გარდაიცვალა ილარიონი.

ბასილ იმპერატორს მოუწერია თესალონიკელთათვის: „ბრძანებს მეფობა ჩვენი თესალონიკელთა მიმართ, რათა სწრაფითა დიდითა და დიდებითა სამეფოთა წარმოგზავნეთ ნაწიღნი წმიღისა ილარიონ ქართვეღისა, თვინიერ ყოვღისა მიზეზითა და წინაღმდეგობისა, და ცოცხღებით იყავით“.¹

ნადარეიშვიღი ზუსტად არ აღწერს ჰრომანას მონასტრის მდებარეობას, რადგან შესაძღოა ის ფიქრობდა, რომ ვისაც აინტერესებდა, ეს ისედაც იცოდა. მაგრამ ერთი ცხადღია – ჩვენ ნადარეიშვიღის მიერ მონახულღებული ადგიღი უნდა ვივარაუდოთ არა ისთინიეს უბანში (როგორც ამას ზოგიერთი აკეთებს), არამედ ძვეღი კონსტანტინოპოღის კედღებს გარეთ (ურბან-

¹ ნადარეიშვიღი გ., წერიღი სტამბოღიდან, „სახალხო გაზეთი“, 11. 07. 1910.

იზაციის შედეგად დღეს ალბათ ქალაქის ფარგლებშია), სადღაც რკინიგზასთან ახლოს, რადგან იგი აია-სოფიიდან მატარებლით დასავლეთისკენ გაემართა.

ტრაპიზონის ქართული პალატი (ბუბარნატორები)

ჩვენ აუცილებლობად მივიჩნით ტრაპიზონის ქართული წარმოშობის მმართველებზე შეჩერება.

1732 წელს ტრაპიზონის ვალი გახდა ეროვნებით ქართველი ისმაილ ფაშა („გურჯი ისმაილ ფაშა“). იანიჩართა კორპუსში გაზრდილი ისმაილ ფაშა სწრაფად მიიწვედა წინ. იგი 1731 წელს იანიჩართა მეთაურად და რუმელის ვალად დაინიშნა. ერთი წლის შემდეგ კი ტრაპიზონში გადაიყვანეს. ისმაილ ფაშა მონაწილეობას იღებდა ირანთან წარმოებულ ომებში. 1734 წელს იგი ბაღდადის ვალად დანიშნეს. ერთი წლის შემდეგ კი სადრაზამი (იგივე დიდვეზირი, უდრის დაახლოებით დღევანდელ პრემიერ-მინისტრს – ზ. ბ.) გახდა. თუმცა ეს საინტერესო პიროვნება მალევე, 1738 წელს გარდაიცვალა.¹

1788 წელს ტრაპიზონის ვალად დაინიშნა ქართველი სარი აბდულა ფაშა. იგი ტყვე იყო ჯანიქლი ჰაჯი ალი ფაშას კარზე. როდესაც ჰაჯი ალი ფაშა ყირიმში გაიქცა, მან მსახური დაინიშნა ფლოტის უფროსთან ღაზი ჰასან ფაშასთან, სადაც გაიცნო ასევე ქართველი იუსუფ ფაშა (მასზე ქვევით შევჩერდებით). როდესაც ეს უკანასკნელი დიდვეზირად დაინიშნა, სარი აბდულა ფაშა ვალი გახდა. მას ტრაპიზონსა და სამსუნს შორის მდებარე სანაპიროების დაცვაც ევალებოდა. მალე მას არზრუმიც დაუქვემდებარეს. ოსმალეთს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ცუდად მისდიოდა საქმე, ამიტომ ანაპის სერასკერობაც სარი აბდულა

¹ Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 77.

ფაშას ჩააბარეს. მაგრამ მას ტრაპიზონში ინტრიგებს უწყობდნენ და ამიტომ მთელი ერთი წელი ანაპაში არ მიდიოდა. 1791 წელს ახალ ვალად ქულუზადე სულეიმან ფაშა დანიშნეს, რომელსაც დაუმორჩილებელი აბდულა ფაშას მოკვლაც დაავალეს. ეს უკანასკნელი ტრაპიზონის ციხეში ჩაიკეტა და თავდაცვითი ზომები მიიღო. მაგრამ სულეიმან ფაშამ იგი გარეთ გამოიტყუა და ხოფელ თუზჯუზადე მემიშ ალას ქალაქგარეთ მოაკვლევინა. აბდულა ფაშას გვამი ბოზთეფეს უბანში მიიტანეს და თავანლის მეჩეთის გვერდით არსებულ საფლავზე მიწას მიაბარეს. ფაზარქაფის მეჩეთთან და მეიდან შარქიზე (ახლანდელი მერიის მოედანი) მდებარე ქაჰიაოღლუს სასახლის აღმოსავლეთით არსებული შადრევანი აბდულა ფაშას გაკეთებულია. ამისთვის მან დაანგრევინა ქარაბაშის მეჩეთი (ადრე ეკლესია იყო) და მისი სვეტები შადრევანში გამოიყენა.¹

ახალი ქულუზადე მალევე მოკვდა და 1791 წელს ტრაპიზონის ვალად ისევ ქართველი ქოჯა იუსუფ ფაშა დაინიშნა. ის სტამბოლში პორტის უფროსის, ჰასან ქაფთანის მონა იყო (უცნობია საიდან იყო გატაცებული). ამ უკანასკნელს იგი შეუწყალებია და გაუთავისუფლებია, მაგრამ იგი სიკვდილამდე თავის პატრონს არ მოშორებია. ქასიმფაშას უბანში ყავახანაში მუშაობდა. პარალელურად ვაჭრობასაც მისდევდა. ვაჭრობაში გაიცნო გაზი ჰასან ფაშა. როდესაც ეს უკანასკნელი ფლოტის უფროსი გახდა, ქოჯა იუსუფი სახელმწიფო სამსახურში შევიდა. მალე ვეზირობას, ბოლოს კი დიდვეზირობასაც მიაღწია. სწორედ მან მოაწერა ხელი რუსებთან ყირიმის გადაცემის შეთანხმებას. ეს შეთანხმება სულთანს არ მოეწონა და ქოჯა იუსუფი თანამდებობიდან გადააყენა. მაგრამ მოგვიანებით კვლავ დიდი ვეზირის თანამდებობაზე დანიშნა. ტრაპიზონში დიდხანს არ დარჩენილა, რადგან მას ანაპის ციხე ჩააბარეს და ისიც იქით გაემურა. აღსანიშნავია, რომ ქოჯა იუსუფ ფაშას სიძე იყო ლაზი ალი რიზა ფაშა, რომელიც ერთდროულად კარგი სახელმწიფო მოხელე და პოეტი იყო. მან დიდი წვლილი შეტანა ე. წ. „დივანის ლიტერა-

¹ იქვე, გვ. 90-92.

ტურის¹ განვითარებაში. ალი რიზას შვილიშვილი ასაფ ბეიცი XIX საუკუნის ცნობილი თურქი პოეტია.¹

1798 წელს ტრაპიზონში ვალად კვლავ ქართველი დანიშნეს. ეს იყო მირაპორ მუსტაფა ფაშას ყოფილი მონა – იუსუფ ზია (იგივე ზიაფედინ) ფაშა. იგი სხვადასხვა ვეზირებთან მუშაობდა. შემდეგ არზრუმის ვალად დანიშნეს. მონაწილეობდა ქურთთა აჯანყების ჩახშობაში. ტრაპიზონის ვალად დიდხანს არ დარჩენილა, რადგან სულთნის კარზე დიდვეზირი გახდა.²

XVIII-XIX საუკუნეების გამოჩენილი ტრაპიზონელი ქართველი მუსლიმი სახელმწიფო მოხელე იყო ოსმან ფაშა („გურჯი ოსმან ფაშა“). მას რუმელიში წესრიგის დამყარება დაავალეს, თან ანატოლიის ბეგლარბეგადაც დანიშნეს. მაგრამ ყაჩაღების დევნის მაგიერ იქაურობა აანოკა. სტამბოლში მისი დასჯა განიზრახეს. ოსმან ფაშა ვითომც არზრუმის ვალად დანიშნეს, თანაც ჩილდირის მხარეში დაწყებული აჯანყების ჩახშობა დაავალეს. პარალელურად ტრაპიზონის ვალი ჯანიქლი თაიარ მაჰმუდ ფაშა (ტრაპიზონის ვალი იყო 1801-05 წლებში) არზრუმის ვალადაც დანიშნეს და ციხის დაკავება დაავალეს. მან ციხე ოსმან ფაშაზე ადრე დაიკავა. ეს უკანასკნელი ფარხმალს არ ყრიდა და ციხეს დაეცა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. იგი შეიპყრეს, თავი მოკვეთეს და სტამბოლში გაავზავნეს.³

1808 წელს ტრაპიზონის ვალად ახალციხელი შერიფ მეჰმედ ფაშა დაინიშნა. დანიშვნის მიზეზი ის იყო, რომ რუსები უკვე აქტიურად უტევდნენ ოსმალებს კავკასიის ფრონტზე და შერიფ მეჰმედმა კარგად იცოდა საქართველოს მდგომარეობა. მან შეკრიბა ჯარი ვითომდა რუსებზე სალაშქროდ და კავკასიისკენ დაიძრა. მაგრამ სინამდვილეში ძველი მონინაალმდეგის, ჩილდირის ვალის ვეზირ სელიმ ფაშას განადგურება ჰქონდა განზრახული. იგი თავისი ჯარით ახალციხემდე მივიდა. სელიმ ფაშა თავის ჯართან ერთად აჭარაში გაიხიზნა. ომის მდგომარეობაში

¹ იქვე, გვ. 92-93, 120.

² იქვე, გვ. 93.

³ იქვე, გვ. 94.

შერიფ მეჰმედ ფაშას ეს თვითნებური საქციელი სტამბოლში არ მოეწონათ და 1809 წელს იგი თანამდებობიდან გადააყენეს.¹

1809 წელს ტრაპიზონის ვალი იყო აჭარელი ოსმან-ფაშა ხეზინდარაშვილი (თურქ. ჰაზნედაროღლუ, ჰეზიდეროღლუ), რომელიც დიდ მზრუნველობას იჩენდა ადგილობრივი მოსახლეობისადმი. ცნობილი სომეხი მოგზაური და ისტორიკოსი პერ მინას ბუიშკიანის ცნობით, მან საკუთარი ხარჯებით ქალაქში დელირმენდერეს წყალი გამოიყვანა, რაზეც მაშინ ქალაქში დიდი მოთხოვნილება ყოფილა² (ამ ქართველ მმართველზე ქვევითაც გვექნება საუბარი – ზ. ბ.).

1810-11 წლებში ვალი იყო ტრაპიზონელი ლაზი ჩარჰაჯი ალი ფაშა, რომელიც მანამდე ვეზირად მსახურობდა. იგი ასევე ქართველ დიდებულ ქოჯა იუსუფ ფაშას დაუწინაურებია. მონაწილეობდა რუსეთსა და ეგვიპტეში მოწყობილ ლაშქრობებში. ამ მამაცი პიროვნების დანიშვნა სწორედ რომ დროული იყო, რადგან 1810 წელს რუსებმა ტრაპიზონის სიახლოვეს დესანტი გადასხეს. ალი ფაშა პირადად ხელმძღვანელობდა დესანტის განადგურების ოპერაციას. ოსმალებმა დიდი დანაკარგი განიცადეს (დაიღუპა 1000-მდე კაცი), მაგრამ რუსები მაინც დაამარცხეს. ალი ფაშას ღვაწლი დაუფასეს და დააწინაურეს – იგი დიდი ვეზირი გახდა. ალი ფაშა გაბედული და ბეჯითი კაცი იყო. მაგრამ სახელმწიფოს მართვის ბევრი არაფერი გაეგებოდა. 1812 წლის მაისს რუსებთან ბუქარესტის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. რამდენიმე თვეში თანამდებობიდან გადააყენეს. გარდაიცვალა 1819 წელს.³

1815 წელს ხოფელმა თუზჯუოღლუ მემიმ ალამ აჯანყება მოაწყო და სამი თვით ქ. ტრაპიზონიც დაიკავა. როგორც თურქი ისტორიკოსი მ. გოლოღლუ აღნიშნავს, იგი აქ დამოუკიდებელი

¹ იქვე, გვ. 97-98.

² Bijişkyan P. M., Pontos Tarihi, Trc. H. D. Andreasyan, İstanbul, 1998, s. 140.

³ Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluş Kadar, Trabzon, 2000, s. 98-100.

ქვეყნის პრეზიდენტივით იქცეოდა. ბოლოს მაინც ქალაქის დატოვება მოუწია.¹

1834 წლამდე მოხდა ადგილობრივი ბეგების მრავალი აჯანყება (მარტო ლაზ თუზჯუოლები გვარმა 1816-34 წლებში ოთხი დიდი აჯანყება მოაწყო), რომელთა ჩახშობასაც ოსმალეთის იმპერია გაჭირვებით ახერხებდა.

1845 წელს ტრაპიზონის ვალად ისევ ქართველი – დამათ მეჰმედ ჰალილ რიფათ ფაშა დანიშნეს. იგი ადრე ტრაპიზონის ყოფილი ვალის აბაზა მეჰმედ ჰუსრეფ ფაშას მონა იყო. სახელმწიფო სამსახური ტრაპიზონში დაიწყო. 1824 წელს რუსეთში ელჩად გაგზავნეს. 1834 წელს დაქორწინდა სალიჰა სულთანზე. სხვადასხვა დროს იყო სამოქალაქო (მინისტრობამდეც მიაღწია) და სამხედრო თანამდებობებზე (მათ შორის იყო ადმირალიც). ტრაპიზონში ვალის თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩენილა. 1846 წელს სხვაგან გადაიყვანეს. გარდაიცვალა 1855 წელს.²

1851-52 წლებში ტრაპიზონის ვალი კვლავ ქართველია – აჰმედ ვასიფ ფაშა. იგი ბავშვობიდანვე ჯარში მსახურობდა. სხვადასხვა ადგილებში იყო ვალის და არმიის მეთაურის თანამდებობებზე. ტრაპიზონში წელიწადნახევარი დაჰყო. 1855 წელს რუსებთან ომში ტყვედ ჩავარდა, მაგრამ უკან დაბრუნება მაინც მოახერხა. გარდაიცვალა 1878 წელს.³

¹ იქვე, გვ. 249.

² იქვე, გვ. 120.

³ იქვე, გვ. 122.



ძველი ტრაპიზონი. ზოგადი ხედი.




ტრაპიზონელი ლაზები



სუმელას მონასტერი. საერთო ხედი.



სუმელას მონასტერი (1902 წ.)



სუმელას მონასტერი (1903 წ.)




ტრაპიზონიდან არზრუმისკენ მიმავალი გზა



ტრაპიზონელები ტრადიციულ სამოსში



ტრაპიზონის სანაპირო XIX საუკუნის შუა წლებში. გრავეურა.



ტრაპიზონის პორტი XIX საუკუნეში



ტრაპიზონელი მხედრები 1906 წელს



სანაპიროს ხედი ქველად

სოლომონ მეფე ტრაპიზონში

ტრაპიზონს უკავშირდება უკანასკნელი ქართველი მეფის – სოლომონ II-ის ტრაგიკული ცხოვრების უკანასკნელი წლები.

1810 წელს რუსეთმა იმერეთის სამეფო შეიერთა და სოლომონ II მოტყუებით დააპატიმრა, მაგრამ მან ერთგული ქვეშევრდომების დახმარებით გაქცევა მოახერხა. იმერეთის უკანასკნელი მეფე ჯერ ახალციხესა (სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილმა იმერეთის ტახტის დაბრუნებაში დახმარებაც კი აღუთქვა¹) და არზრუმში, ბოლოს კი ტრაპიზონში გადავიდა.

აქ იგი გულთბილად მიიღო ქართველ მუსლიმთა გავლენიანმა წრემ. ტრაპიზონში ამ დროს გუბერნატორად ქართველი მუსლიმი ოსმან-ფაშა ხეზინდარაშვილი (თურქ. ჰაზინდაროღლუ, ჰეზიდეროღლუ) იყო დანიშნული. მას თანამშრომლებლადაც სულ ბათუმელები ჰყავდა. ოსმან-ფაშა სიხარულით მიეგება სოლომონს და მის საპატივსაცემოდ ალლუმიც კი გამართა.² ამ ფაქტს ცნობილი მკვლევარი ენტონი ბრაიერიც ადასტურებს.³

ქართველი მონარქი ტრაპიზონში არსებულ ქართველ მეფეთა სასახლეში გაჩერებულა. ზაქარია ჭიჭინაძეს გადმოცემით, „ვიცი, რომ ტრაპიზონში იყო ერთი დიდი სახლი, საქართველოს მეფეების საკუთრება, სადაც ისადგურებდნენ ხოლმე ქართველი მეფენი, ბატონიშვილები და სხვა და სხვა მოგზაურნიც, რომელნიც სტამბოლში მოგზაურობდნენ ხოლმე საქართველოდამ. ეს

¹ იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი, 1948, გვ. 105-113.

² კასრაძე დ., ტანჯული გვირგვინოსანი, „საქართველო“, 14.04.1916.

³ Bryer A. and others The Post-Byzantine Monuments of the Pontos, Hapshire, 2002, p. 247.

სახლი ისეთი ფართო ყოფილა, რომ 300 კაცს იტევდა სადგომათაო. ამ საკითხის შესახებ აი რა გვიამბო 100 წლის მოხუცმა ხუსეინ ქაიჯარაძემ, ქართველმა მაჰმადიანმა, ღრმად მოხუცმა, ქობულეთელმა. აქ ეს სიტყვა-სიტყვით მოგვყავს: „ჩვენ, ბატონო, იმ დროს ვიყავ კაი დელეყანდი, როცა რუსები იმერეთში მოვიდნენ და აიღეს, მაშინ სოლომონ მეფე თავის კაცით ქობულეთს გაიხლენ, აქაურ ბეგიებმა სოლომონ მეფე ტრაპიზონს გაისტუმრეს, ქართველობამ 300 კაცი გააყოლეს ტრაპიზონამდის, მეც იმ კაცებში ვერიე, მეფე ტრაპიზონში მობრძანდა, ჩვენც მასთან ჩამოვხტით მის საკუთარ სახლში, დიდი სასახლე იყო, ამისთვის იტყოდნენ, რომ ის სახლი ქართველ ხელმწიფეების და ფადიშაჰების იყოვო. ამიტომ სოლომონ ბატონიც იქ ჩამოხტა, ჩვენ სამ დღეს დავისვენეთ, მეფემ საჩუქარი გვიბოძა და მეოთხე დღეს სახლში გამოგვისტუმრა მადლობით და საჩუქრებით“.¹

ტრაპიზონში თავშეფარებულ სოლომონს ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდა. მან ამ მიზნით თავისი ორი ელჩი – ქაიხოსრო და დავითი სტამბოლში გააგზავნა. დედაქალაქში ჩასული ელჩები სულთანს შეხვდნენ და დახმარება ითხოვეს. ელჩები დახმარების სანაცლოდ ოსმალეთს ქვეშევრდომობას და ხარკის გადახდას, ასევე იმერეთში 4-5 ათასი ოსმალე ჯარისკაცის ჩაყენებას და მოკავშირეობას თანხმდებოდნენ.²

ელჩები სტამბოლში ვაჰიდ ეფენდისაც შეხვდნენ. შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქი და ორი თარჯიმანი, განიხილეს რუსების საქართველოში არსებული სამხედრო ძალების, ქართული სამთავროების ურთიერთ და რუსეთთან დამოკიდებულების, რუსების საქართველოდან გაძევების და სოლომონის და მისი მომხრეების უკან დაბრუნების საკითხები. ამ მიზნით მომზადდა გარკვეული გეგმა, რომლის მიხედვითაც ჯანიკიდან ოციათასი, ტრაპიზონიდან, ყარსიდან, არზრუმიდან და სხვა ადგილებიდან ათი ათასი ჯარისკაცი და

¹ ჭიჭინაძე ზ., ტრაპიზონი, „საქართველო“, 23. 04. 1916.

² თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, 44599, სოლომონის მიერ სტამბოლში ჩასული ელჩებისთვის მიცემული საბუთი, Cevdet, „Tarih“, X, 5.

შესაბამისი შეიარაღება გაიგზავნებოდა, დახმარებას სთხოვდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს და ქართული სამთავროები აჯანყდებოდნენ რუსების წინააღმდეგ. ელჩებმა კონსტანტინოპოლის პატრიარქს რუსული ორიენტაციის ქართველი მთავრებისა და თავადების ანათემაზე გადაცემაც მოსთხოვეს.¹

ოსმალებმა სოლომონი მეფედ ცნეს და მას ყველანაირ დახმარებას დაპირდნენ. რეგიონის ვალებს სოლომონის დახმარება დაევალათ.² ამის შემდეგ სოლომონს 1811 წლის აპრილში ფირმანიც მიწერეს. მეფეს ხალათი და იმერეთის („აჩიქბაში“) ხანობის დამადასტურებელი სულთნის სიგელი, ასევე ხუთი ათასი ყურუში გაუგზავნეს.³

რუსეთმა ოსმალეთს სოლომონის გადაცემა მოსთხოვა.⁴ მართალია პორტამ ქართველი მეფე არ განირა, მაგრამ შექმნილი საერთაშორისო სიტუაციის გამო ვერც რეალური დახმარების განევა შეძლო.

სოლომონმა მოგვიანებით კიდევ ერთხელ სთხოვა ოსმალეთს დახმარება, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც სტამბოლიდან ელჩი იტალინსკი 1814 წლის 2 მარტს სწერდა გენერალ რტისჩევს, ოსმალეთის სახელმწიფო უკვე აღარ ეხმარებოდა სოლომონს. 1815 წლის იანვრისთვის სოლომონს თავდაპირველი ოთხასკაციანი ამალიდან მასთან მხოლოდ ოცი კაციღა ჰყავდა შემორჩენილი. დახმარების შეწყვეტის გამო მათ ცხენებისა და იარაღის გაყიდვა მოუწიათ. მეფეს სიცოცხლის ბოლომდე არ მოშორებია ყველაზე ერთგული ადამიანები ქაიხოსრო და სიმონ წერეთლები.⁵

ტრაპიზონში მყოფმა ქართველმა მეფემ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა საფრანგეთის კონსულთან, რომელიც ნაპოლეონ-

¹ იქვე.

² იქვე.

³ Ahmet Cevdet Paşa, Tarih-i Cevdet, Dersaadet 1309, IX, 318-224.

⁴ თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, CH, 3800; HH, 16382; 44615 C, 48970.

⁵ Armani H. J., The Russian Annexation of the Kingdom of Imeretia, 1800-1815: in the Light of Russo-Ottoman Relations, სადოქტორო ნაშრომი. Georgetown University, 1970, p. 537.

ნის ერთგვარი თვალი იყო ამ რეგიონში (სოლომონმა წერილიც კი მიწერა ნაპოლეონს დახმარების მიღების იმედით, მაგრამ უშედეგოდ¹). კონსულს ბევრი რამ სმენოდა სოლომონის შესახებ და თურმე ადრევე ფიქრობდა მასთან დაახლოებას, რომ აჯანყებაში ხელი შეეწყო. აჯანყების შემთხვევაში რუსთა ძალები დაიქსაქსებოდა და ნაპოლეონს რუსეთის დაპყრობა გაუადვილებოდა. სოლომონმა აჯანყების სამზადისი დაიწყო, რისთვისაც ოსმალეთის სულთანთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას. სოლომონი ამ მიზნით რამდენიმე კვირით დასავლეთ საქართველოშიც (აფხაზეთში) ჩავიდა და თავისი ყოფილი ქვეშევრდომები ინახულა. მაგრამ ამ უკანასკნელთ აჯანყების არავითარი სურვილი არ აღმოაჩნდათ. სოლომონს ზედმეტი თხოვნა და ჩიჩინი არ დაუწყია, რადგან ეს შეურაცხყოფად მიაჩნდა. იგი მალე ტრაპიზონში გაბრუნდა. აქ მან ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. ყველას ჩამოშორდა. ხშირად გადიოდა ზღვაზე და მწუხარედ დაჰყურებდა შავი ზღვის სევდიან ზვირთთა თამაშს. უიმედობა მას გულს უკლავდა. სტიქიის მომზირალი თვითონვე სტიქიად იქცა. ახლა მთელი გულით მხოლოდ გეენის ცეცხლს ატიარებდა. ბოლოს ველარ გაუძლო და 1815 წლის 7 თებერვალს ორმოცდაორი წლის ასაკში გარდაიცვალა.² გარდაცვალების თარიღად ზოგან 19 თებერვალია მითითებული, რაც გრიგორიანულ და მართლმადიდებლურ კალენდრებს შორის არსებული განსხვავებით უნდა აიხსნას.³ იგი დაკრძალეს წმ. გრიგოლის ეკლესიის (დღეს ეს ეკლესია აღარ არსებობს – ზ. ბ.) გალავანში.

უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი ადგილობრივმა ლაზებმა დაიტირეს.⁴ ბუიშკიანი, რომელსაც საფლავიც უნახავს და სოლომონის გარდაცვალების დღეც კარგად ახსოვს, წერს, რომ

¹ Lang D., *The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832*, New York, 1957, p. 263-265.

² კასრაძე დ., ტანჯული გვირგვინოსანი, „საქართველო“, 14. 04. 1916.

³ Armani H. J., *The Russian Annexation of the Kingdom of Imeretia, 1800-1815: in the Light of Russo-Ottoman Relations*, სადოქტორო ნაშრომი, Georgetown University, 1970, p. 509.

⁴ Bryer A. and others *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, Hapshire, 2002, p. 247.

მეფის შემზარავი გლოვა მისი გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.¹

მის საფლავზე მაშინვე ააგეს ეკვდერი.²

ასე დასრულდა ბაგრატიონთა ლეგენდარული მეფობა დაწყებული დავით წინასწარმეტყველიდან და დამთავრებული სოლომონ მეფით.

სოლომონ მეფის თანმხლები ამაღლა ტრაპიზონშივე დარჩენილა. მათი შთამომავლები ცნობილი იყვნენ ივეროპულოების (ბრაიერის ვერსიით Iberoulos³) გვარით (შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი XX საუკუნის 20-იან წლებში საბერძნეთსა და თურქეთს შორის მოსახლეობის გაცვლის შედეგად საბერძნეთში გადასახლდნენ – ზ. ბ.).

საფლავი 1849 წელს აღწერა პლატონ იოსელიანმა, 1867 წელს – დოქ. გიორგი სიმბულიდესმა, 1898 წელს – ლინჩმა, 1912 წელს – პ. შუბინსკიმ და 1919 წელს – გ. ვეშაპელმა. ბრაიერის აზრით, ისინი საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ რატომღაც განსხვავებულ ინფორმაციას გვანვდიან,⁴ მაგრამ, ჩვენი აზრით, მსგავსი კამათი უადგილოა, რადგან მნახველთა უმრავლესობის აღწერით საფლავი მდებარეობდა ეკლესიის სამხრეთ მხარეს, რაც კარგად ჩანს შემორჩენილ სურათებშიც.

1909 წლის 14 ივლისს ბათუმიდან სტამბოლზე გავლით აკაკი წერეთელი მიემგზავრება საფრანგეთში ცოლ-შვილთან. სტამბოლამდე მგზავრობისას აკაკი შივილის ტრაპიზონში, სადაც ნახულობს იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის საფლავს და გადმოწერს ეპიტაფიას.⁵ საბედნიეროდ, ყოველივე ეს თვითონ აქვს მოთხრობილი აკაკის თავის „მგზავრის პენიშვნებში“:

¹ Bijişkyan P. M., Pontos Tarihi, trc. H. D. Andreasyan, İstanbul, 1998, s. 128.

² გონიკაშვილი მ., წმინდა მეფე სოლომონ მეორე – სამშობლოსათვის თავდადებული, „საქართველოს რესპუბლიკა“, 9. 11. 2005.

³ Bryer A. and others The Post-Byzantine Monuments of the Pontos, Hapshire, 2002, p. 247.

⁴ იქვე. გვ. 247-248.

⁵ შარაძე გ., აკაკის იუბილე, თბილისი, 2006, გვ. 274.

„ზღვიდან კარგი შესახედავია ტრაპიზონი. რომ იტყვიან: „შორიდან მტერს გაუხეთქავს გულს და ახლოს მოყვარესო“, სწორედ ამაზეა გამოჭრილი. მიმიტაცა გემიდან მისმა მშვენიერებამ, გადავეყეპი ნავზე და გავეშურე სანახავად. ჩემი, აგერ ნახევარ საუკუნის თათრული კიდევ გამომადგა და თარჯიმანი აღარ დამჭირვებია. ნავიდან რომ გადავხტი, იქ, ზღვის პირად, სხვათა შორის, ერთი ვილაც დარბაისელი თათარი დამხვდა და, ყური რომ მოჰკრა ჩემ ჩიქორთულ თათრულს, ღიმილით მკითხა: - სომეხი ხარ? - არა, ქართველი; - ვაჭარი? - არც ვაჭარი, გზით გამოვიარე. - მაშ დათვალე რება გინდათ ქალაქის? - დიახ. - კეთილი. მე გაგატანთ თანამგზავრს და ის გიჩვენებთ ყოველივეს. ფეხის ქირასაც ბევრს არ გადაგახდევინებთ. - ჰეი, მიუბრუნდა ვილაც ახალგაზრდას, - იახელი, ყველაფერი უჩვენე, რაც კი სანახავია. არ დაგაგინყდეს გურჯის საფლავი. აქ ერთი გურჯის თავადი მარხია და მისი საფლავი ნახეთ - მომიბრუნდა მე.

მე და ჩემი მგზავრი შევუდექით გზას. ბევრი ოღრო-ჩოღრო ამატარ-ჩამატარა და ბოლოს, როგორც იქნა, მივადექით ბერძნების წმინდა გიორგის ეკლესიას. საყდრის კარები დაკეტილი იყო, მაგრამ გალავანი კი - ღია. იმ გალავანში ერთადერთი საფლავია ოთხხვეტიან თაღქვეშ, რიგიანად შენახული ბერძნული ზედწარწერით: გავსინჯე ყოველი კუთხით და ერთგან ეს ეწერა ქართულად: „განმაშორა მე პირველ ქმნილი სიკეთე, მშვენიერება და მდებარე ვარ, შიშველ დაგდებული საფლავსა ამას შინა. ტომისაგან დავითისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობასა. თებერვლის 8-სა ქ. აქეთ ჩყიე.“

საფლავი არ არის ურიგოდ შენახული და ზედ წარწერაც ისე ცხოველია, თითქოს გუშინ დაუნერიათო. ფიქრებმა გამიტაცეს. გამახსენდა იმერეთის ამ უკანასკნელი მეფის შავი დღეები, მისი დაპატიმრება, მისი გაქცევა და სათათრეთში თავის შეფარება. აბა ამაზეა ნათქვამი: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესა?“. კიდევ კარგი, რომ ასე დაუმარხავთ მაინც. მაშინ ამ გადავარდნილ მეფეს თან გაჰყვა ორი სვიმონ წერეთელი

და ალბათ იმათი მეოხებითაა ეს: დაუმარხავთ და, როცა დაბრუნებულან სამშობლოში, ის მიუტოვებით ასე სხვების ამარად. – საფლავის ქვაზედ წარწერაც, ალბად, მისი მოძღვრის ყანჩავლის ხელითაა, იმ წმინდა მამის ხელით, რომელიც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, შვეიდა ათონის მონასტერში და იქ იხსენიებდა წირვა-ლოცვის დროს უბედურ მეფეს... საუკუნოდ იყოს მისი ხსენება“.¹

აი, როგორი იყო ერმილ-ეფენდის აღწერით სოლომონ მეფის საფლავი 1909 წელს: „საფლავი არის წმ. გრიგოლის სამიტროპოლიტო ეკლესიის გალავანში სამხრეთის მხარეს, გამოჩენილ ადგილზე. ეკეტერი მოყვანილია გუმბათით, რომელსაც ზევით პატარა თალი აქვს; თალზე რკინის ჯვარია. გუმბათის თალს იჭერს ოთხი სვეტი (ეს კარგად ჩანს ამ ეკლესიის ძველ სურათზეც – ზ. ბ.). საფლავზე მარმარილოს ფიქალი ქვაა. გუმბათის ცა ფერადად არის მოხატული, როგორც ძველ ეკლესიებშია მიღებული, ანგელოზებით, ჯვრებით და სხვა და სხვა ფიგურებით. იქვე ცაზე, დასავლეთის მხარეზე, ხატია თულიანი გვირგვინი და ქვეშ ბაგრატიონების საგვარეულო ღერბია (კვართი უფლისა, დავითის ხმალი, ქნარი, ბურღული და სხვა) და ბერძნულად აწერია:

„წმინდა არჩდილს აქა მდებარე სოლომონ ქვემო ივერიის მეფის“.² ბრაიერის ცნობით, მისი ორიგინალი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

*„Παραστήμα τὸν ἐνθαδε πειμένου Σολομώντος,
Βασιλέως τῆς πάτω Ἰβηρίας.“³*

საფლავის მარმარილოს ქვაზე ხუცურად ეწერა:

¹ აკაკი, ტრაპიზონი (მგზავრის შენიშვნები), ჟურნ. „განათლება“, 1910 წ., სექტემბერი, No 7; შდრ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIV, თბილისი, 1961, გვ. 363-364; შარაძე გ., „აკაკის იუბილე“, თბილისი, 2006, გვ. 274.

² ერმილ-ეფენდი, ქალაქი ტრაპიზონი (წერილი ოსმალეთიდან), „დროება“, 5. 02. 1909.

³ Bryer A. and others The Post-Byzantine Monuments of the Pontos, Hapshire, 2002, p. 250.

„აქ განისვენებს იმერთა მეფე სოლომონ“.¹

გარეთ ძეგლზე, ჩრდილოეთის მხარეზე, ბერძნულად ეწერა:

„ძეგლი, სადაც დამარხულია კეთილ მორწმუნე და ქრისტეს-მოყვარე სოლომონ მეფე ქვემო ივერიისა 1815 წელს თებერვლის 6“.²

ბრაიერის ცნობით, ჩრდილოეთით იყო შემდეგი ბერძნული წარწერა:

„Κουσίονπιον εσθα εν(ε)ταφιάσθη ο ευσεβέστατος παί Φιλόχριστος Σολομών, ο Βασιλέυς τής πάτω Ἰβηρίας.“³

ხოლო ბროსეს მიხედვით, დასავლეთით არსებული ბერძნული წარწერის შინაარსი იყო:

„აქ განისვენებს პრინცი სალომონი, იმერეთის მეფე, მეფე დავითის შთამომავალი, გარდაცვლილი 1815 წლის 19 თებერვალს, 41 წლის ასაკში და მეფობის 25-ე წელს.“⁴

იყო ხუცუური წარწერაც:

„მოიხსენეთ ძმანო საფლავსა ამას შინა მდებარე სრულიად იმერთა მეფე სოლომონ“.⁵

კიდევ იყო წარწერა გარეთ ძეგლზე, აღმოსავლეთის კედრით, მხედრულად:

„განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და შევნიერება და მდებარე ვარ შიშველ დაგდებული საფლავსა ამას შინა ტომისა-გან დავითისა შთა-მოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ რომლისთვისცა ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობასა ფებერვლის ზ ქ ვ ს ქ ე ს აქეთ ჩყიე“.⁶

¹ ერმილ-ეფენდი, ქალაქი ტრაპიზონი (წერილი ოსმალეთიდან), „დროება“, 5. 02. 1909.

² იქვე.

³ Bryer A. and others The Post-Byzantine Monuments of the Pontos, Hapshire, 2002, p. 250.

⁴ იქვე.

⁵ ერმილ-ეფენდი, ქალაქი ტრაპიზონი (წერილი ოსმალეთიდან), „დროება“, 5. 02. 1909.

⁶ იქვე.

საფლავი კარგად იყო მოვლილი და შენახული. მას ყოველ საუფლო დღესასწაულზე სანთელს უნთებდნენ. გალავანში მის გარდა არავინ ემარხა".¹

ერთი ვერსიით, წარწერები გაუკეთებია მეფის მოძღვარს იესე ყანჩაველს, რომელიც თან ახლდა ტრაპიზონში მყოფ საქართველოს უკანასკნელ გვირგვინოსანს.²

1912 წელს ტრაპიზონში ჩასულმა პ. შუბინსკიმ საგანგებოდ მოინახულა სოლომონ მეორის საფლავზე დადგმული ეკვდერი და დანვრილებით აღწერა ის. მისი აღწერის მიხედვით, საყდრის მთავარი შესასვლელი კარის პირდაპირ საკმაოდ დიდი, ოთხ-კუთხა, ღია კარვის ფორმის ეკვდერი ჩანდა. ზემოთ გუმბათი ჰქონდა, გარეთ და შიგნით ადგილ-ადგილ ლამაზი ფრესკული მხატვრობა იყო შემორჩენილი. შიგნით – დიდი თეთრი მარმარილოს ფილა, ერთი შეხედვით, სადა ბიზანტიური ნაგებობათა ტიპიური ნიმუშის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. საკმაოდ ამალღებულ გრანტის კვარცხლბეკზე ოთხი ლამაზი სვეტია დადგმული, რომელიც იმავე ქვის გუმბათით არის გადახურული. ნახევრად წრიული ამონაკვეთები მორთულია ორმაგი კარნიზით, რომელთა შუალედებიც ბიზანტიურ სტილშია მოხატული; გადახურულია კრამიტის სახურავით, რომლის ზემოთაც მოთავსებულია პატარა თლილი ქვის კოშკურა ლამაზი კარნიზით და დაგვირგვინებულია ლითონის რვაკუთხა ჯვრით. ამ კოშკურას შიგნით მარად მანათობელი კანდელი ეკიდა, ძეგლის სიმაღლე ჯვრით დაახლოებით ათი (დაახლოებით 6, 86 მეტრი – ზ. ბ.), სიგანე კი ხუთი არშინი (დაახლოებით 3, 43 მეტრი – ზ. ბ.) იყო. ჩანდა, რომ ძეგლი ახალი შეკეთებული იყო გაუნაფავი ხელით, რის შედეგადაც დიდი ნაწილი წარწერებისა და მხატვრობისა ნაშლილი იყო. მხატვრობა მხოლოდ გუმბათის შიდა მხარეს იყო კარგად შემორჩენილი. პ. შუბინსკის სიტყვებით: „აქ ჯერ კიდევ ნათლად ჩანს ბაგრატიონთა ღერბი, რომელშიც გამოხატულია დავით მეფის შურდული, მისი ქნარი, უფლის კვართი, სამეფო სფერო და სასწორი

¹ იქვე

² დონ, იმერეთის მეფე სოლომონ II, „სამშობლო“, 08. 03. 1915.

- მეფური სიბრძნის ემბლემა. ეს ღერბი ეყრდნობა ორ ლომს, მის ზემოთ კი სამეფო გვირგვინი იყო გამოსახული. გვირგვინის ქვეშ, ღერბის ზემოთ გამოხატული იყო გადაჯვარედინებული მახვილი და სკიპტრა, გვერდებზე ორი ფრთოსანი სერაფიმით, მისი პირვანდელი სახით, გადაკეთებამდე.“

სოლომონის საფლავის თეთრ მარმარილოს ფილას პ. შუბინსკის გადმოცემით, ნახევრად ნაშლილი ხუცური ნარწერები ამშვენებდა (რომელიც ოდნავ განსხვავდება ერმილ-ეფენდის აღწერისაგან - ზ. ბ.):

„განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ დაკდემულ საფლავსა ამასა შინა, ტომისაგან დაეთისა, შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ შენდობასა. თებერვლის 7. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე“ (1815).¹

ქვემოთ:

„საჯენ, უფალო, მავნებელნი, ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა, სრცხუნოდენ და კდემებოდენ, რომელნი ეძიებენ, სულსა ჩემსა“ (ფსალმუნი, მუხლი 34).²

ეკვდერის ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეებზე იყო ბერძნული, სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეებზე ქართული ნარწერები.

ბრაიერი ადასტურებს ზემოთ მოტანილი ნარწერების არსებობას და ეყრდნობა რა ლენგს და ბროსეს (ეს თავის მხრივ ეყრდნობა ვინმე Kabadze-ს (გაბაძე?) მიერ მისთვის გაგზავნილ ინფორმაციას), აღნიშნავს, რომ საფლავზე კიდევ რამდენიმე ქართული ნარწერა იყო.

ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული ნარწერების პირვანდელი ქართული ვარიანტების მოძიება, ამიტომ ვაქვეყნებთ ფრანგულიდან და ინგლისურიდან გადმოთარგმნილ ვარიანტებს:

¹ გონიკაშვილი მ., წმინდა მეფე სოლომონ მეორე - სამშობლოსათვის თავდადებული, „საქართველოს რესპუბლიკა“, 9. 11. 2005.

² იქვე.

„არსთა შემქნელმა, რომელმაც მათ მოჰფინა ნათელი და უბოძა სიცოცხლე (სიტყვასიტყვით: ვინც სინათლისა და არსებობისაკენ წაიყვანა ისინი), თავისი უზენაესი წყალობით მომიწოდა მეფეთა რიგში მე, შვილი მეფისა, მეფეთა მეფე, დავითისა და სოლომონის შთამომავალი, იმერეთის მფლობელი და კეთილისმყოფელი.“

„მე ვიყავი მეფე სოლომონ ქველი, არჩილის ძე, მხედართმთავარი, წარჩინებულთა შორის წარჩინებული (სიტყვასიტყვით: დიდგვაროვანთა ყველაზე მაღალი წრის წარმომადგენელი), ერთმა მღვდელთმთავარმა, თავმდაბალმა ხუცესმა, ტრაპიზონის ქრისტიანული სამღვდელოების უფროსმა, მიმილო მე როგორც საკუთარი მეფე.“

„როდესაც თავისი მოგზაურობისას მას მოუწია უცხო მიწების გადასერვა (sic). ო, შენ რომელსაც დედოფლის ტიტული გაქვს, დადიანის ქალიშვილო, ჩემი ფიქრების სინათლე, მე დაგშორდი შენ; სადღა გნახავ შენ, მწუხარეო მარიამ, მინამდევ დამცრობილო, ჩემთან სულით, ხორციითა და ძვლით დაკავშირებული“.

„ძლეული მწუხარებით, დავარდნილი ავადმყოფობით, ჩემი ცოდვების აღიარებისა და ჩემი მოძღვრის იასეს, იმერეთის მეფის კარის მღვდლისგან წმიდა ზიარების მიღების შემდეგ, მე განვისვენე სათაყვანებელ ადგილას, სადაც ჩემს საფლავს ყოველ თვე ნაკურთხ წყალს შეაპკურებენ.“

„უცნობო, შეხედე სად განისვენებს უცხოელი, მოინახულე აქ მეფე. ვინც ჩემი ოჯახიდან მოვა ტრაპიზონს (წყაროში: Trebizond), ნახეთ მეფე, მეფე, რომელიც აქ განისვენებს. ითხოვეთ მისთვის შენდობა და იმქვეყნიური სამეფო.“¹

ბრაიერის შეფასებით, სახურავის კოშკურის რელიეფური ჩუქურთმები და დეკორაცია ნათლად ჯდებოდა ქართულ ტრადიციებში.²

¹ Bryer A. and others The Post-Byzantine Monuments of the Pontos, Hapshire, 2002, p. 250-251.

² იქვე.

1916 წელს უკვე შელახული იყო სოლომონ მეფის საფლავი. იაძე ასე აღწერს მას: „საფლავზე გუმბათის ქვეშ ბავშვები კენჭობდნენ. გუმბათი ოდესღაც მოხატული და წარწერებით დაფარული ყოფილა. დღეს წარწერებიც და მოხატულობაც სანახევროდ ჩამოცვივნულა“.¹

რუსული ოკუპაციის დროს სოლომონის საფლავი ქართველთა ერთგვარი თავშეყრის ადგილად იქცა. ცნობილია, რომ 1917 წელს ტრაპიზონში მყოფმა ქართველებმა ნ. ბარათაშვილს პანაშვიდი სწორედ აქ გადაუხადეს და შემდეგ სამახსოვრო სურათიც გადაიღეს, რომელიც „სახალხო ფურცლის“ დამატებაში გამოქვეყნდა.²

მიხეილ გონიკაშვილის ცნობით, სოლომონ მეფის საფლავი ეკვდერთან ერთად 1922 წელს დაუნგრევიათ.³

ბრაიერი წერს, თუ რა აცნობა მას პროფესორმა კალისტრატე სალიამ: „რაც შეეხება მეფე სოლომონ II-ის საფლავს, ის დაანგრეს დაახლოებით 1935 წელს; ხოლო წმინდა გრიგოლის ეკლესია თურქეთის არმიის საწყობად გადააქციეს. მას შემდეგ არ ვიცი რა ბედი ენია მეფე სოლომონის საფლავს“.⁴

ერთი ცნობით, ტრაპიზონის ცენტრში არსებული წმ. გრიგოლის ეკლესია 1948 წელს ააფეთქეს. მის ადგილას კი გზა გაიყვანეს. 2005 წელს თურქეთში დაბეჭდილი „შავიზღვისპირეთის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ მიხედვით კი ტაძარი დინამიკით 1963 წელს აუფეთქებიათ.⁵ ეს უკანასკნელი მონაცემი არასწორი უნდა იყოს და ალბათ დამახინჯებული ასახვავა ენტონი ბაიერისა და დევიდ უინფილდის ცნობის. კერძოდ, ისინი წერენ, რომ ჯერ დინამიკით ააფეთქეს ეკლესია, რათა City Club-თან მისასვლელი

¹ იაძე, ბათომიდან ტრაპიზონამდე, „სახალხო ფურცელი“, 22. 06. 1916.

² „სახალხო ფურცელი“, 5. 03. 1917, გაზეთის ნომ. 811, დამატების ნომ. 145.

³ გონიკაშვილი მ., წმინდა მეფე სოლომონ მეორე - სამშობლოსათვის თავდადებული, „საქართველოს რესპუბლიკა“, 9. 11. 2005.

⁴ Bryer A. and others The Post-Byzantine Monuments of the Pontos, Hapshire, 2002, p. 251.

⁵ Öztürk Ö., Karadeniz Ansiklopedik Sözlük, II. Cilt, İstanbul, 2005, s. 896.

გზა გაეკეთებინათ, ეს უკანასკნელი კი დაანგრევს 1963 წელს ზღვისპირა ტრასის გაყვანის მიზნით.¹

1990 წლის შემოდგომაზე სოლომონის ნეშტის საქართველოში გადმოსვენება განიზრახეს ქართველმა პოლიტიკოსებმა. მაგრამ ტრაპიზონში ჩასულ ექსპედიციას აღარც ნმ. გრიგოლის ეკლესია დახვდა და აღარც ის კლდე, რომელზეც აღმართული იყო ეკლესია. ტრაპიზონში სოლომონ მეფის ნეშტის მოძიებისა და გადმოსვენების პროცესში მონაწილეობას იღებდა ცნობილი ქართველი თურქოლოგი ნოდარ ჯანაშია. როგორც იგი იხსენებს, ექსპედიციამ იქვე ახლოს მდებარე პატარა სკვერი გადათხარა (გათხრის კვალი სკვერს ახლაც ეტყობა – ზ. ბ.). მათ ორმოში ერთად ჩაყრილი ადამიანის ხუთი თავის ქალა და ძვლები ნახეს. აქედან ოთხი მამაკაცის, ერთი კი ქალის ჩონჩხი იყო. მიიჩნიეს, რომ ამ ოთხიდან ყველაზე ახალგაზრდის თავის ქალა შეიძლება სოლომონის ყოფილიყო (დანარჩენი ძვლები ერთმანეთში ისე იყო არეული, რომ მისგან რაიმეს გარჩევა შეუძლებელი იყო) და იგი 1990 წლის 30 ოქტომბერს საქართველოში გადმოასვენეს.

სოლომონ მეფის საფლავის საკითხის გარშემო გვაქვს შემდეგი სახის დაკვირვებები:

1. ძველი და ახალი სურათების შედარებით ნათლად ჩანს, რომ ეკლესია და საფლავის ეკვდერი სხვაგან იდგა, სკვერი კი, სადაც ძვლები ნახეს, სხვაგანაა;

2. სოლომონის საფლავზე იდგა ეკვდერი. ამ გათხრების დროს კი ეკვდერის საძირკველი ვერ ინახა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი ამ ადგილას არ იყო;

3. ერთ ორმოში ხუთი ადამიანის ჩონჩხის არსებობა არ უნდა ნიშნავდეს, რომ ეკლესიის და კლდის აფეთქების შემდეგ აქ ვინმე გადმოასვენეს. ამის დამადასტურებელი არავითარი კვალი ანდა დოკუმენტი არ არსებობს;

4. არ ჩატარებულა ე. წ. „DNM“-ის ანალიზი, რომელიც ნათელს მოჰყენდა ყველა ბუნდოვან საკითხს.

ცალკე კვლევის საგანია, თუ რა შემორჩა საფლავიდან. როგორც ნოდარ ჯანაშია ამბობს, მას ამ ეკვდერის სვეტები

¹ Bryer A. and Winfield D., The Byzantine Monuments and Topography of the Pontos Volume 1, Washington, 1985, p. 228.

უნახავს ტრაპიზონის აია-სოფიას ეკლესიის ეზოში. დევიდ უინფილდმა ენტონი ბრაიერს უამბო, რომ მისი ინფორმაციით, ტრაპიზონის პორტის (Daphnous harbour) სიახლოვეს იყო ქართული წარწერები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ეკვდერის უკანასკნელ ნაშთებს.¹

ტრაპიზონის მუნიციპალიტეტმა 1993 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რითაც ნებას რთავდა ქართულ მხარეს თურქულ მხარესთან შეთანხმებით სოლომონ II-ის სახელის უკვდავსაყოფად დაედგა ობელისკი და კეთილმოეწყო პარკი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა.


2005 წლის 30 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II.²

წმინდა სოლომონ მეორის – სამშობლოსათვის თავდადებულის – ხსენების დღეა ძველი სტილით 7 თებერვალი, ახალი სტილით – 20 თებერვალი.³

¹ Bryer A. and others *The Post-Byzantine Monuments of the Pontos*, Hapshire, 2002, p. 251.

² ბუაჩიძე კ., წმინდა მეფე სოლომონ II სამშობლოსათვის თავდადებული. „საპატრიარქოს უწყებანი“, 9, 9-15 მარტი, 2006.

³ გონიკაშვილი მ., წმინდა მეფე სოლომონ მეორე – სამშობლოსათვის თავდადებული, „საქართველოს რესპუბლიკა“, 9. 11. 2005.



ტრაპიზონი. ბერძნული სამიტროპოლიტო. წმიდა გრიგოლ ნოსელის ტაძარი.



ტრაპიზონი 1935 წელს. მარჯვნივ მოჩანს წმიდა გრიგოლ ნოსელის სახელობის ეკლესია.



სოლომონ II



სოლომონ II-ის თოფი



სოლომონ II-ის ხატი



სოლომონ II-ის საფლავი.
XX საუკუნის დასაწყისის ფოტო.



თანამედროვე ტრაპიზონი



წმიდა გრიგოლის ეკლესია სანაპიროს მხრიდან



წმიდა გრიგოლის ეკლესია. ცენტრში მოჩანს სოლომონის საფლავი.



ტრაპიზონი. ნ. ბარათაშვილის პანაშვიდის გადახდის შემდეგ (სოლომონ მეფის საფლავთან).

სოფიო გურიელი ოსმალეთში

ქართული საზოგადოებრიობა მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ მაინც ინფორმირებულია ტრაპიზონში სოლომონ მეფის ცხოვრების შესახებ, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ იქვე, ტრაპიზონის გვერდით მდებარე ქ. აქჩააბადის (ძველი სახელი პლატანა, რაც ჭადარს ნიშნავს) მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში განისვენებს გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია მეხუთე გურიელის მეუღლე – სოფიო.

სოფიო გურიელი 1828 წელს რუსებს გაექცა და ოსმალეთს შეაფარა თავი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დედოფალ სოფიოს წერილი ოსმალეთის სერასკერისადმი, რომელშიც სასონარკვეთილი ითხოვს შემწეობას: „მინდოდა, რომ ჩემი თავი და ჩემი ქვეყანა ცათა სწორის ხელმწიფისათვის მემსახურებინა და სისხლი დამენთხია და ძალიანაც ვეცადე, რომ თქვენით ძალა მეშოვნა, მაგრამ არა ჰქნა დრომ... რადგანაც მე ძალა ველარ დამინახეს და ურუსმა (რუსეთმა – ზ. ბ.) იმძლავრა, ამისმა შემხედველმან მე ჩემმა ქვეყანამ სრულიად მილალატეს და მეცა და ჩემს შვილს, – ხანსაც (დავითს – ზ. ბ.) ურუსს გვაძლევდნენ, მაგრამ შევიტყვე, გამოვიქეცე და ნამოვედი მეც და ჩემი შვილიც და რომელმაც არ მილალატა ჩემთან ნამოვიყვანე“¹ (უფრო დანვრილებით იხ. მ. ყვავაძე, „გურიის უკანასკნელ მთავართა ურთიერთობა ოსმალეთთან“, „ქართული დიპლომატია“, წელინდეული, 12, თბილისი, 2005).

¹ ყვავაძე მ., გურიის უკანასკნელ მთავართა ურთიერთობა ოსმალეთთან, „ქართული დიპლომატია“, წელინდეული, 12, თბილისი, 2005, გვ. 93.

სოფიო გურიელი ძალიან მალე, 1829 წელს იქვე გარდაცვლილა, მაგრამ ამ მოკლე პერიოდში სოფიომ დიდი სახელი და პატივისცემა მოიპოვა. მისი ვაჟი დავითი და ქალიშვილი ეკატერინე რუსეთის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნის შესაბამისად 1832 წელს საქართველოში დაბრუნდნენ.¹

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არქივების გენერალური დირექტორიატის საცავებში შემონახულია სოფიო გურიელის მიერ ოსმალეთის სამეფო კარისადმი გაგზავნილი წერილები. მათი ასლების მონოდებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ბატონ ნები გუმუშს (ქვეყნდება პირველად - ზ. ბ.)

პლატანა 1909 წელს მოუნახულებია ერმილ-ფეენდის. აი, რას წერს იგი:

„პლატანა კარგი მოზრდილი სოფელია. იქნება 300-400 მოსახლე ოსმალთა და ბერძენი. აქვე სცხოვრობს მაჰმადიანი ქართველი, მოხუცი ოსმან-ფაშა თავდგირიძე (ალი ფაშას ძმა) და თოთხმეტამდე მოსახლე მეგრელიძე და მთავანაძე. ესენი ქობულეთიდან გადმოსახლებულან ბათომის ალების შემდეგ.

პლატანაში, ბერძნების უბანში, დასახლებულა გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია მეხუთის, მეუღლე სოფიო თავისი ამალით. მას შემდეგ, რაც იგი გურიიდან გამოქცეულა (მეცხრამეტე საუკუნის მეოცდაათე წლების მეორე ნახევარში), სცხოვრობდა აქ და აქვეა დასაფლავებული. საფლავი მიხეილ მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანშია, ჩრდილოეთის მხარეს, და ზედ ამნაირივე ეკვტერი ადგია, როგორც ტრაპიზონში სოლომონ მეფეს, მხოლოდ ზევით გუმბათის ცას თალი არა აქვს. ეკვტერი ამოყვანილი და მოფენილია თლილის ქვით; კუთხეებში ოთხი თლილი ქვის სვეტია თალით და რკინის ზოდებით ერთი მეორეზე გადაბმული; ზევიდან კრამიტით არის დახურული. ნარნერა ბერძნული ყოფილა, მაგრამ დღეს აღარა სჩანს, რადგან ეკვტერი მერე რამდენჯერმე შეუღებიათ. ეხლაც ყოველ

¹ Putkaradze S., Türkiye'deki Gürcü Köylerinde Alan Çalışmasının Sonuçları, Gürcüceden çeviren: Fahrettin Çiloğlu, Mamuli Dergisi, Sayı 5, İstanbul, Mayıs, 1998.

აღდგომის წინა დღეებში ათეორებენ და ჰლებავენ, როგორც გადმომცა ამ ეკლესიის მღვდელმა, ბლალოჩინმა ანტონ ნიკიფორიდიმ. უკან ეკვტერს განჯინა აქვს ხატისთვის".¹

საინტერესოა, როგორ ცხოვრობდა სოფიო გურიელი და მისი ამაღლა უცხოობაში. ერმილ-ეფენდის ამის შესახებაც შეუგროვებია ინფორმაცია:

„ეკლესიის მახლობლად, სამხრეთით არის ის სახლი, სადაც გურიის დედოფალი სცხოვრობდა. სახლი ქვისაა, თათრულ ყაიდ-აზე აშენებული და შესდგება 5 ოთახისაგან. სახლს სარდაფიცა აქვს. ეს სახლი დედოფალს უყიდნია. იმის სიკვდილის შემდეგ ერთ იმის ამაღლის კაცს, სახელად გოგიას დარჩენია. ამ გოგიას ჰყოლია ცოლი აქაურ ბერძნის ქალი (დღეს ამ სახლის პატრონია ელევთერ კუშ-ოლლი, გოგიას სიძის შვილის შვილი).

დედოფლის მომსწრე აქ ბევრი აღმოჩნდა. ყველაზე უხნიერესი არის ნიკოლა კუშ-ოლლი, ბერძენი. იქნება 90 წელზე მეტი ხნისა, მაგრამ ჯერ ჯან-საღად არის და თავის ფეხით მოვიდა ეკლესიაში, როცა გაიგო ჩვენი იქ მისვლა. ცოცხალია აგრეთვე სოფია ბოსტან-ოლლი, ბერძნის ქალი; ეხლა იგი 72 წლისაა. დედოფალი რომ გარდაიცვალა, 7 წლის ვიქნებოდით, სთქვა მან. აქვე სცხოვრობს პალასა ესპერიდი, რომელიც დედოფალს მოუნათლავს. ეხლა იგი 68 წლის იქნება, ზაქარია კაშ-ოლლი, 69 წლისა; ამისი დედა მოსამსახურედ ყოფილა დედოფალთან და ამიტომ ბევრი რამ იცის იმის ცხოვრებიდან.

როგორც ესენი ამბობენ, დედოფალს დიდი ამაღლა ჰხლებია, ასე 60 კაცამდე. ვინ იყო მათში უფროსი და ვინ გახსოვთ, – მეთქი, რომ ვკითხე, ჩამომითვალეს: ბერიკო, ესიკა, დალაქო, გოგია, ალექსანდრე, ქრისტეფორე, ივანიკა, ადალო, ანისია, ლისა. ადალო დედოფლის პირველი კაცი იყო, ქრისტეფორე – ექიმი, გოგია – მზარეული, ივანიკა – ჭამისა და სმის მეტს ბევრს არაფერს აკეთებდა, ხელში სულ თოფი ეჭირაო. დედოფალს სახელი რა ერქვა მეთქი, არ ვიცითო, რომ გვცოდნოდა, სახელს მაინც ვერ დავუძახებდით, ჩვენ ვეძახდით ხანეფენდის-

¹ ერმილ-ეფენდი, წერილი ოსმალეთიდან. სოფელი პლატანა, 26. 02. 1909.

აო (თურქ. ჰანიმეფენდი - ქალბატონი - ზ. ბ.). შვილები აქ არა ჰყოლია და ამიტომ არ ვიცით, ჰყავდა თუ არაო. ხანეფენდის ნათესავებიც ახლდა, ერთი გურიელი (ეს დათა გურიელი უნდა იყოს, პოეტ მამიას და ჯამბაკურ გურიელების მამა!) და ერთი ქალიც ახლო ნათესავი. ბიჭები ყოველ დღე თოფის სროლაში ვარჯიშობდნენო. მიჩვენეს ის ადგილი და ის ბეხაც, რომელიც სანიშნო ყოფილა. „ჩონგურის კარგი დაკვრა ივანიკაჲ იცოდა, ხანეფენდი ხშირად აკვრევიებდა ჩონგურს და პატარა ბოშებს გვატყევიებდა; ცეკვა მაშინ ძალიან ვისნავლე და დღესაც ვიციო“, სთქვა ზაქარია კაშ-ოღლიმ. მეორემ, ნიკოლა კუშ-ოღლიმ სთქვა: „ხანეფენდი ჩვენი დიდი პატრონი იყო; ეს ეკლესია წინად ძრიელ პატარა იყო, მან გაადიდებინა და ზევით გუმბათი დაადგმევინა. ის რომ არა, ვინ გაბედავდა იმ დროში ეკლესიაზე გუმბათის და ჯვარის დადგმას - თურქები ნებას არ გვაძლევდნენ. მოვიდნენ თურქები გუმბათის დასანგრევად, გამოვიდა თვითონ ხანეფენდი, გაგვიძღვა წინ და თურქებმა ველარაფერი გაჰბედეს და ნავიდნენ უკან. ხანეფენდისა დიდი შიში და მორიდება ჰქონდათ. ჩვენი ხვანთქარი ჯამაგირს აძლევდა, თვითონ ტრაპიზონის ვალი (გუბერნატორი - ზ. ბ.) იახლებოდა ყოველ თვის თავზე და ჯამაგირს მოუტანდა ხოლმე. ეს ეკლესია მან დიდათ გაამშვენიერა ხატებით და ნივთებითაო“. მიჩვენეს აქვე მშვენიერი ოქრომკედით ნაკერი ხატი და ხუთი ვერცხლის კანდელი, დედოფლის შენირული. „ხანეფენდის ძრიელ უყვარდით, პატივს გვცემდა, გვასმევდა, გვაჭმევდა და დიდ დახმარებას გვინევდა. ერთხელ აქაური სოფლის კაცები, თურქები და ბერძნები დაიჭირეს და საპყრობილეში ჩაყარეს. ქალებმა შეატყობინეს ხანეფენდის და შემწეობა სთხოვეს. ხანეფენდიმ მაშინვე გაჰგზავნა თავისი კაცები ესიკა და ივანიკა, გაატანა თავისი ნიშანი და უბრძანა, უთხარით, ეხლავე გამოუშვან. თუ არ გამოუშვან, მოჰკალით იგი უფროსებოო. მივიდნენ თუ არა გაგზავნილი კაცები, მაშინვე გაათავისუფლეს ტყვეებიო. ხანეფენდის ერთ მახლობელს კაცი შემოაკვდა. ხანეფენდის ეს ძრიელ ეწყინა, სირცხვილი რად მაჭამა ჩემმა კაცმა ამ უცხო ქვეყანაშიო. უბრძანა თავის ამალას და ის კაცის-მკვლელი დაახვრეტიანა. ხანეფენდიმ

ბერძნული ლაპარაკი ცოტა იცოდა, აქ შეისწავლა. ის რომ გარდაიცვალა 70 წელზე მეტისა იყო და მის დასაფლავებას აუარებელი საზოგადოება დაესწრო, მთელი ტრაპიზონი აქ იყო. მისი ამალის ქალი და კაცი საშინლად კიოდნენ, იგლეჯდნენ თმებს და თავში იცემდნენ, ცხენები შავი ძაძით დამოსეს და ისე დაღონებული და ყურებ ჩამოყრილი, თითქო სტიროდნენო”.

ამით დააბოლოვა ლაპარაკი ნიკოლა კუშ-ოღლიმ¹.

ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ დღეს სოფიო გურიელის საფლავი ფაქტობრივად დაკარგულია. როგორც საქართველოს ყოფილი კონსული ტრაპიზონში, გენერალი გიორგი ჯანჯღავა ამბობს, 2003 წელს გარდაცვლილა ის მოხუცი ქალი, რომელსაც ახსოვდა, რომ აქ დაახლოებით 15 წლის წინ ჯერ კიდევ იყო გატეხილი საფლავის ქვა.

დღეს ეკლესია კერძო საკუთრებაა და მასში ბოლო დრომდე ხალხი ცხოვრობდა.²

ამ ქალაქს ქართველებმა მოგვიანებითაც შეაფარეს თავი. კერძოდ, როგორც „შავიზღვისპირეთის ენციკლოპედიური ლექსიკონიდან“ ვიგებთ, 1917 წლის რევოლუციას გამოირიებულნი მრავალი ქართველი ქ. აქჩააბადის იაილაჯიქის უბანში დასახლებულა.³ სამწუხაროდ, არაფერი ვიცით მათი ვინაობისა და შემდგომი ბედის შესახებ.

¹ ერმილ-ეფენდი, წერილი ოსმალეთიდან. სოფელი პლატანა, 26. 02. 1909.

² Nişanyan S., Nişanyan M., Karadeniz. Meraklısı için Gezi Rehberi, 2. Baskı, İstanbul, 2000, s. 91.

³ Öztürk Ö., Karadeniz Ansiklopedik Sözlük, I. Cilt, İstanbul, 2005, s. 41.

ტრაპიზონის საქართველოს ისტორიული არქივი

1916 წლის 23 აპრილს ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ზაქარია ჭიჭინაძემ გაზეთ „საქართველოში“ გამოაქვეყნა სტატია „ტრაპიზონი“, სადაც მოტანილია მასალები ტრაპიზონის ქართული არქივის შესახებ. იგივე ინფორმაცია გვხვდება ჭიჭინაძის სხვა შრომებშიც. კერძოდ, იგი წერს:

„ტრაპიზონში, XVII საუკუნის ნახევარს, კათოლიკე ბერებმა გააკეთეს კარგი ეკლესია. ეკლესიის გვერდით გააკეთეს მოგზაურთა სადგომი სასახლე და მასთანვე სამკითხველო და საეკლესიო არქივი. საქართველოს გარეშე, ოსმალეთში, ეს ადგილი იყო მეორე, მაგრამ პირველი ბინათ სადგური კათოლიკის ბერების და მისიონერების. საქართველოში მოგზაური მისიონერები უსათუოდ აქ ბინავდებოდნენ ხოლმე. ევროპიდან მოგზაურნი ზღვიდან ტრაპიზონში გადმოხტებოდნენ და აქ ისადგურებდნენ, ასევე საქართველოდანაც წასულები პირველად ტრაპიზონში ისადგურებდნენ და მერე გაემგზავრებოდნენ აქედან ოსმალეთის სხვა და სხვა ქალაქებსა და ეკლესიაში.

საქართველოს კათოლიკეების მისიონერთა ბინა ტრაპიზონი გახდა. რასაც კი ეს მისიონერები რამე ცნობებს სწერდენ საქართველოს შესახებ, ამ მასალების თითო ასლს, ანუ პირს ამ ტრაპიზონის მისიონერთა არქივში ჰგზავნიდნენ შესანახად. თავის დროს, ამ არქივში საქართველოს შესახებ იმდენი მასალები მოგროვდა, რომ აქ მისიონერები ამ მასალებით თავისუფლად გაიცნობდნენ ხოლმე საქართველოს.

1752 წ. ამ არქივში გადიტანეს თბილისიდან დიდძალი ისტორიული მასალები და წიგნები. ეს ცნობებიც „მისიონერების დღიურიდან“ არის ამოკრეფილი.

1780 წ. ახალციხიდანაც გადაიტანეს ყველა ისტორიული მასალები, რაც კი მანამდე დაცული იყო ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის არქივსა და სამკითხველოში.

1795 წ. გორიდან გადიტანეს სხვადასხვა ისტორიული წერილები საქართველოს შესახებ.

1800 წ. გადაიტანეს ყველა ისტორიული ცნობები, რაც კი არსებობდა და ინახებოდა თბილისში. სხვა და სხვა დროს გადმოუტანიათ ხოლმე, მათი ცნობები ჩვენ არა გვაქვს. ვიცით კიდევ ისეთი მაგალითებიც, რომ საქართველოს შესახებ წიგნები და მასალები საქართველოდამ ტრაპიზონში გადაიტანეს შემდეგ ლათინის პატრებმა.

1752 წ. თბილისიდან გადაიტანა ბევრი წიგნები და მასალები პატრმა ბონვენცერომ, პატრმა ჯერმინემ, 1780 წ. პატრმა მავრომ, პატრმა ნიკოლამ, პატრმა ფილიპე პირველმა 1795 წ. ახალციხის თემიდან მთლად გადაზიდეს 1829 წ. ასე რომ 1830 წ. ტრაპიზონის არქივი ცნობილი იყო, როგორც ბინა საქართველოს ისტორიის მასალების. ტრაპიზონის საქართველოს ისტორიულ არქივს მიხ. თამარაშვილიც მოიხსენებს ხშირად. 1860 წ. ტრაპიზონში მოვიდა მოგზაური მარენგო. ამ მოგზაურს ჰსურდა საქართველოს გაცნობა, ტრაპიზონში მან იმდენი მასალები ნახა საქართველოს შესახებ, რომ ტრაპიზონში დარჩა, საქართველოში აღარ დაბრუნდა და იქვე არქივის მასალებით და მისიონერთა ცნობებით დასწერა საქართველოს ისტორია ფრანგულ ენაზედ, რომელიც 1880 წ. პარიზში დაიბეჭდა კიდევც.

ამ მოგზაურ მისიონერ მარენგოს გარდა სხვა მისიონერებსაც ბევრჯელ დაუწერიათ საქართველოს შესახებ შინაარსიანი წერილები, რომლის მასალები ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის სამკითხველოს არქივიდან ამოუკრებიათ. ტრაპიზონის ქართული ისტორიული არქივის ცნობები 1860 წლებამდის საქართველოშიც ხშირად ისმოდა, მერე კი მისუსტდა და დღეს როგორ არის ამ ისტორიული ქართული არქივის საქმე ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ის კი ვიცით კარგად, რომ ამ არქივში ბევრი ისეთი ძვირფასი მასალები იყო დაცული, რომელთა მოპოვებაც სხვაგან შეუძლებელი იყო და დიდად იშვიათი. ასეთია ისტორია ტრაპიზონის ქართულის არქივისა.

ტრაპიზონის არქივის დაარსება კარგად იქნა ცნობილი პაპის წინაშე. პაპის კონგრეგაციამ ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია დანიშნა თავის მისიონერთა და „პრაპაგანდო ფადის“ წევრთა შუაგულ შიდა ცენტრად. საქმე ისე მოეწყო,

რომ ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარს დაევალა არქივის ზედამხედველობა და მასთან მოგზაურ მისიონერებისთვისაც დახმარების და გეგმის მიცემა, თუ მათ როგორ უნდა ემოგზაურათ საქართველოში, ანუ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ტრაპიზონის არქივს აქვნდა ქართულად შედგენილი დაბეჭდილი რუქები, მასთან აქვნდათ სახელმძღვანელო სამოგზაურო წიგნები, აქვნდათ საქართველოს გეოგრაფიული წიგნები, აქვნდათ ქართულ-იტალიურ, ქართულ-ფრანგულ და ქართულ-ოსმალური სახელმძღვანელო წიგნები და ენების შესასწავლი სახელმძღვანელონი.

რომიდან ტრაპიზონში მოდიოდნენ ძმანი დომინკონელები, ძმანი ავგუსტინონელები, ტრანციბულელები, თიათინელები, სხვა და სხვა ორდენის ძმანი იეზუიტები, ძმანი ლაზარისტები და ყველა ესენი ტრაპიზონის არქივის დახმარებით სწავლობდნენ ქართულ ენას და ისტორიას, ყველა ესენი საქართველოს ამ არქივის დახმარებით ეცნობოდნენ. ამ მისიონერებს ბევრი აქვსთ ცნობები როგორც საქართველოს შესახებ, ისევე ლაზისტანის და ლაზების, რის ცნობებსაც მიხ. თამარაშვილიც მრავლად იძლევა.

ამ არქივის ცნობებიც მრავლად იყო ანუსხული სხვა და სხვა მისიონერულ დღიურებში, რომელიც თბილისში აქვნდა პატრს პავლე კალაიჯოვს, შუა ბაზრის, ქართველი სომხის კათოლიკე ეკლესიის წინამძღვარს, თვით ამ მოძღვარმაც ბევრი ამბები იცოდა ტრაპიზონის არქივის შესახებ და მისიონერ მარენგოსაგან დანერილი საქართველოს ისტორია და წმ. ნინოს ცხოვრება, ფრანგულს ენაზედ დაბეჭდილი, ამ პატივცემულმა ავტორმა მაჩვენა და ისიც გადმომცა, რომ წიგნები დანერილია ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის არქივის მასალებიდან. ასეთი მდიდარია ტრაპიზონის ქართველთ არქივიო.

ტრაპიზონის არქივში უცხოვრიად მრავლად და ხშირად ქართველ გვარის კათოლიკის მღვდლებსაც. ამათვე დიდძალი მასალები უწერიათ ოსმალეთის საქართველოს შესახებ და აქ უტოვებიათ ყველა ეს მასალები, ქართველ კათოლიკებმა ტრაპიზონი გახადეს ასეთ ცენტრად და ასეთ რეზიდენციად მის გამო, რომ საქართველოში კათალიკოს სომეხთაგან ხშირად ეძლეოდნენ დევნას, აოხრებას, წამებას და ტრაპიზონში კი მათ

ხმას არავინ სცემდა, იქ ესენი თავისუფლად სცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ."¹

სამწუხაროდ, დღესაც ბევრი არაფერი ვიცით ზემოხსენებული მდიდარი არქივის შესახებ. უცნობია, ეს არქივი ისევ ტრაპიზონშია, თურქეთის სხვა ქალაქში დაიდო ბინა, თუ რომში გადაიტანეს. იგი შესაძლოა იყოს სტამბოლის ოსმალეთის არქივში ან ანკარაში (სხვადასხვა მიზეზთა გამო თურქეთის არქივები ქართველი მკვლევრების მიერ ნაკლებადაა შესწავლილი და დამუშავებული).

დავუბრუნდეთ კათოლიკური ეკლესიის საკითხს. ცნობილი ტრაპიზონელი მკვლევარი შაქირ შევექეთი 1877 წელს გამოცემულ ნიგნში „ტრაპიზონის ისტორია“ ქალაქის აღწერისას წერს, რომ აქ არის 2 კათოლიკური და 1 ფრანგული ეკლესია.² ცხადია, ფრანგული ეკლესიაც კათოლიკური იქნებოდა, მაგრამ ჩვენი აზრით, ავტორი ასეთი განმარტებით ხაზს უსვამს იმას, რომ ფრანგული ეკლესია უცხოელებისაა, ხოლო დანარჩენი 2 – ადგილობრივების. მით უმეტეს, რომ თეოფილე დეიროლი, რომელმაც 1869 წელს მოინახულა ტრაპიზონი, გარკვევით წერს, რომ აქ მცხოვრები სომხების ერთი ნაწილი გრიგორიანელია, მეორე ნაწილი კი – კათოლიკე.³ ზაქარია ჭიჭინაძის შეფასებით, ამ მხარეში მცხოვრები კათოლიკეები რელიგიურ ნიადაგზე გასომხებული ქართველები არიან.

თემასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს იძლევა მინას ბუიშკიანი. იგი წერს: „ძველად ფრენკებით (კათოლიკები – ზ. ბ.) დასახლებულ უბანს ფრენკის უბანი ერქვა, ახლა მას გუზელსარაი ჰქვია. ამ უბანში მცხოვრები ფრენკები, როგორც მონასტრის ჩანანერებიდან ჩანს დროთა განმავლობაში სომხებს შეერივნენ. მაგრამ სახელი „ფრენკოლლუ“ („ფრანგიშვილები“ – კათოლიკეთა შთამომავლები – ზ. ბ.) მაინც შეინარჩუნეს“.⁴

¹ ჭიჭინაძე ზ., ტრაპიზონი, „საქართველო“, 23. 04. 1916.

² Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 136-137.

³ იქვე, s. 128-130.

⁴ Bijişkyan P. M., Karadeniz Kıyıları ve Coğrafyası, www.karalahana.com, 18. 07. 2003.

ბრიტანეთის კონსული, ეყრდობა რა ოსმალეთის მოსახლეობის აღწერის შედეგებს, აღნიშნავს, რომ ქ. ტრაპიზონში 1860 წლისთვის ცხოვრობდა 500 კათოლიკე სომეხი და 1500 ევროპის ქვეყნების მოქალაქე.¹ ცნობილია, რომ კათოლიკე სომეხებს აქ მონასტერიც ჰქონდათ. მაგალითად, 1903 წელს ტრაპიზონში მონყობილ სამრეწველო ნანარმის გამოფენაში მონაწილეობა მიიღო სომეხ კათოლიკეთა მონაზონმა ანჯელამ (გამოიტანა ოქროს სირმით მორთული სულთნის სიგელი).²

ქალაქის ცენტრში მდებარეობს კათოლიკური სანტა-მარიას ეკლესია. ჩვენ გვქონდა საშუალება ძალიან გულახდილად გვესაუბრა ამ ეკლესიის ძველ და ახალ წინამძღოლებთან. მათ არქივის შესახებ არაფერი იცოდნენ. ეკლესიის ახლანდელმა წინამძღოლმა პადრე ანდრეა სანტორომ (ეს ის მღვდელია, 2006 წელს რომ მოკლა ახალგაზრდა ფანატიკოსმა ევროპულ პრესაში მოციქულ მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნების შემდეგ) 2004 წელს გვითხრა, რომ ეს არქივი შესაძლოა გადაზიდული იყოს თურქეთის გარეთ, კაპუცინების ცენტრში, რომელიც მდებარეობს ქ. რომში (არა ვატიკანში). მან ამ საკითხთან დაკავშირებით გვირჩია დავკავშირებოდით სტამბოლში, იეშილქოიში კაპუცინელ პადრეს ანდრიანო ფრანჩინის.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ტრაპიზონში სხვა კათოლიკური ეკლესიებიც არსებობდა.

ბორდიერის მიერ 1609 წელს შესრულებულ ტრაპიზონის ადრეულ გეგმაზე გამოსახულია წმ. გიორგის სახ. ეკლესია, რომელიც შესაძლოა მდებარეობდა როგორც ციტადელში, ისე შუაქალაქში. ბორდიერი წერდა, რომ ბაზილიკური ტიპის ეს ეკლესია თავისი კოშკით იყო რომაული კათოლიკური ეკლესია, მაგრამ იმყოფებოდა ქართველთა ხელში. ე. ბრაიერი აღნიშნავს, რომ მან სხვა წყაროებში ვერსად მიაკვლია ვერც წმ. გიორგის და ვერ ქართულ ეკლესიას, თანაც საეჭვოდ მიიჩნია ტრაპიზონის იმპერიის არსებობის პერიოდში რომაული კათოლიკური

¹ Ortaylı İ., XIX Yüzyılda Trabzon Merkez Livası ve Giresun Üzerine Gözlemler, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 264.

² Emiroğlu K., 1904 Salnamesinde Trabzon Sanayi Sergisi, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 337-339.

ეკლესია, ოსმალურ პერიოდში კი ქართული (ან სულაც ქრისტიანული) ტადძარი ყოფილიყო გალავნის შიგნით.¹

ჩომლექჩის (ძველი სახელი Daphnios) უბანში მდებარეობს სავარაუდოდ, XV საუკუნეში გენუელების მიერ აგებული სან ელფთერის კათოლიკური ეკლესია. ამ სამნავიან ბაზილიკას ლამაზი სვეტები აქვს. ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ეკლესიას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. იგი მოქმედი იყო 1923 წლამდე. შემდეგ მიტოვებული იყო. ერთი პერიოდი სანყობადაც იყენებდნენ. 1953 წელს შეაკეთა და მეჩეთად აქცია ტრაპიზონის მერმა ჰუსნუ გოქთულმა. მის პატივსაცემად მეჩეთს ჰუსნუ გოქთულის სახელი ჰქვია.² ჩვენ ეს ეკლესია 2004 წელს მოვინახულეთ. როგორც იქაურები ამბობენ, ამ ეკლესიის დასავლეთით ადრე იყო სომხური სასაფლაო. ეს კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ეს ეკლესია სავარაუდოდ სომეხ კათოლიკეებს ეკუთვნოდათ (ვინ იცის, იქნებ ეს არის ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დასახელებული ქართული კათოლიკური ეკლესია).

როგორც იტალიელი მღვდელი ტარსიჩიო სუჩი და ვერიკა თავის ნიგნში „ტრებისონდა“ წერს, ასევე იყო ვენეციელთა მიერ აგებული წმ. მარინას ეკლესია.³ დღეს ჩვენთვის უცნობია მისი ადგილმდებარეობა.

გვჯერა, რომ საჭიროა ამ საკითხის დეტალური გამოკვლევა. არქივის მიგნების შემთხვევაში აღმოჩნდება ძალიან მნიშვნელოვანი ცნობები და გამდიდრდება როგორც საქართველოს, ისე ოსმალეთის ისტორია.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ტრაპიზონში დღეს მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ცხოვრობენ „ახალი თაობის“ კათოლიკე ქართველები, რომლებიც რეგულარულად დადიან სანტა მარიას კათოლიკურ ეკლესიაში.⁴

¹ Bryer A. and Winfield D., "The Byzantine Monuments and Topography of the Pontos", Volume I, Washington, 1985, p. 225.

² Trazbon, Trabzon Belediyesi Kültür Yayınları: 28, Trabzon (გამოცემის თარიღი არაა ნაჩვენები), გვ. 22.

³ Tarsicio Succi da Verica Trebisonda. Porta d'oriente, Istanbul, 1973, p. 313.

⁴ Hürriyet, 10. 02. 2006.

2006 წლის თებერვალში მხეცურად მოკლული იტალიელი ბერის ანდრეა სანტოროს (რომის კათოლიკურმა ეკლესიამ უკვე დაიწყო მისი წმინდანად აღიარების პროცედურები) მიერ 2006 წლის 31 იანვარს რომის პაპისადმი გაგზავნილი უკანასკნელი წერილიც სწორედ ქართველ კათოლიკეებს ეხებოდათ:

„თქვენო უწმინდესობავ,

მომწერეს ზოგიერთი ქართველი მოქალაქისა და ტრაპიზონის სანტა მარიას ეკლესიის სახელით. მე თურქულად მომწერეს. მე კი ვთარგმნე. რომში ჩამოვედი და ზუსტად გადმოგცემთ მათ ნათქვამს. მე ვარ დონ ანდრეა საო. ვარ რომის ეკლესიის საეპისკოპოსოს „Fidei Donum“-ის ნარმომადგენელი თურქეთში. ქალაქში, სადაც მოსახლეობის 99% მუსლიმია, ბევრი მართლმადიდებელიც ცხოვრობს. კათოლიკე მხოლოდ ცხრაა. გადმოგცემთ ამ სამი კათოლიკე ქართველის წერილს:

„თქვენო უწმინდესობავ,

მოგესალმებით ყველა ქართველის სახელით. მოგესალმებით მაცხოვრის სახელით.

ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ღმერთმა თქვენ აგირჩიათ რომის პაპად. გთხოვთ ილოცოთ ჩვენთვის, ასევე ყველა ღარიბისთვის, მსოფლიოს ყველა გაჭირვებულისა და ბავშვებისათვის. გვჯერა, რომ თქვენი უწმინდესობის ლოცვები პირდაპირ ღმერთთან მივა. ქართველები ძალიან ღარიბები ვართ. დიდი ვალები გვაქვს. არ გაგვაჩნია სახლები და სამსახური, ანუ არავითარი ძალა არ გვაქვს. ახლა ტრაპიზონში ვმუშაობთ. გთხოვთ, დაგვლოცოთ. თუ ღვთის წყალობით ტრაპიზონს მოინახულებთ, პირადად გნახავთ. თქვენი ჩამოსვლა ჩვენთვის დიდი ზეიმი იქნება. თქვენთვის ღმერთს ქრისტიანობის სახელით ვთხოვთ მშვიდობასა და ჯანმრთელობას. გეამბორებით ხელზე. ჩვენი თხოვნაა, პასუხი გაგვეცით და გამოგვიგზავნოთ თქვენი სურათი ხელმოწერით.


თქვენო უწმინდესობავ, გთხოვთ ილოცოთ ბერ დონ ანდრეა სანტოროსა და მისი დისშვილის ლორედანასთვის, რომ ღმერთმა მათ ეკლესიის ამაღლებისა და აღორძინების ძალა მისცეთ.

მარია, მარინა, მარია.“¹

¹ Hüriyet, 9. 02. 2006.



მიქელ მთავარანგელოზის ეკლესია აქჩაბაბადში, სადაც დაკრძალულია სოფიო გურიელი (გიორგი კალანდიას ფოტო).



ტრაპიზონი. საკონსულოების ქუჩა.

ქართული ლეგიონი ტრაპიზონში

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მსვლელობისას ქართველი ემიგრანტებისაგან დაკომპლექტებული „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ გერმანიის, ავსტრიის და ოსმალეთის მხარდაჭერით ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. უნდა აღმდგარიყო საქართველოს სამეფო, მაგრამ ტახტზე უნდა ასულიყო არა ბაგრატიონი, არამედ ვილჰელმ მეორის პირველი შვილი იოახიმი, რომელიც დასაბამს მისცემდა ახალ დინასტიას. მისი მეუღლე უნდა გამხდარიყო მარინე მაჩაბელი. უნდა შექმნილიყო ნახევარმთვარისა და ჯვრის ქვეყანა, გაერთიანებული დიდი საქართველო.¹

„დამოუკიდებლობის კომიტეტი“, ლეო კერესელიძის სახით საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ოსმალეთის მთავრობასთან და ითხოვდა დახმარებას დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის მიზნით. დეკემბერში წარმოებულმა მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო – მიაღწიეს დროებით შეთანხმებას, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის შესახებ, რომლის საზღვრებიც მოგვიანებით განისაზღვრებოდა.²

გადანყდა, რომ ლეგიონი დაკომპლექტდებოდა ქართველ სამხედრო ტყვეთაგან, ოსმალეთს თავშეფარებული ქართველებისაგან და სხვა მოხალისეებისაგან.³


¹ მალაკელიძე შ., მოგონებანი, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, ნინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბილისი, 1994, გვ. 54-56.

² Jaeschke G., Der Turanismus der Jungtürken, Die Welt Islams, Bd. 23, Heft 2/3 Leipzig, 1941. s. 13.

³ იქვე, გვ. 13-14.

ქართული ლეგიონის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იმ პერიოდის ოსმალეთის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელს და სამხედრო მინისტრს ენვერ ფაშას გამოუცია 11 პუნქტიანი ინსტრუქცია (დოკუმენტი დაცულია თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის სამხედრო ისტორიისა და კვლევების სამმართველოს არქივში - ზ. ბ.).

ინსტრუქციის 1-ელი, მე-8 და მე-9 პუნქტების მიხედვით, ქართული ლეგიონის ყველა სახის საჭიროების (მათ შორის შეიარაღების) უზრუნველყოფა დაევალა ოსმალეთის მე-3 არმიას. მე-10 პუნქტით ხელფასებიც განისაზღვრა - ის ოსმალეთის არმიაში არსებული წესის შესაბამისი იყო.

როგორც ინსტრუქციის მე-6 პუნქტიდან ირკვევა, ლეგიონერებს ოსმალური არმიის ტანისამოსი უნდა ეტარებინათ, მხოლოდ საყელოს მარჯვენა ნაწილი შავი, მარცხენა კი წითელი უნდა ყოფილიყო. სამხრეებზე და ღილების ქვეშ „ქლ“ („ქართული ლეგიონი“) გამოსახული იყო შემდეგნაირად: . ხმლის ქარქაშის ფორებიც წითელი და შავი ფერების იყო. ინსტრუქციის მე-11 პუნქტის მიხედვით, ლეგიონერთა ყოველ ცალკეულ ასეულს და ბატალიონს უნდა ეტარებინა თითო ოსმალური და თითო ქართული დროშა. იმავე პუნქტში განსაზღვრულია ქართული დროშის ფორმა. იგი შედგება ორი ერთმანეთის პარალელური ფერისგან - ზედა ნაწილი შავია, ქვედა - წითელი.¹

გიორგი ჯანჯღავას არქივში ინახება იმ პერიოდში ერთ ევროპელ ლეიტენანტზე გაცემული თამარის ორდენისა და მისი დამადასტურებელი საბუთის ფერადი ასლი. მასზე დროშის ზედა მხარე წითელია, ქვედა კი - შავი (მსგავსი საბუთი ინახება ქ. სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის ბიბლიოთეკაში არსებულ ქართული ლეგიონის არქივში, რომელსაც ახლახანს მიაკვლია ქალბატონმა შუშანა ფუტყარაძემ. დარწმუნებული ვართ, აღნიშნული არქივის საფუძვლიანი შესწავლა ნათელს მოჰფენს მრავალ საინტერესო და დღემდე უცნობ საკითხს).

¹ Genelkurmay Başkanlığı Askeri Tarih ve Stratejik Etüd Dairesi Başkanlığı Arşivi, K. 1850, D. 69, F.1-60; Sürmeli S., Türk-Gürcü İlişkileri (1918-1921), Ankara, 2001, s. 19-20.

შესაძლებელია, დროთა განმავლობაში მოხდა ფერების განლაგების შეცვლა.

ამგვარად ირკვევა, რომ ქართულ დროშაზე და სიმბოლიკაზე შავი და წითელი ფერების გამოსახვა არ იწყება პირველი რესპუბლიკის პერიოდიდან და მას გაცილებით დიდი ისტორია გააჩნია. სამწუხაროდ, უცნობია რა დატვირთვა ჰქონდა ამ ფერებს იმ პერიოდში (ცნობისათვის – იგივე ფერები აღწერილია „ვეფხისტყაოსანში“ – ზ. ბ.). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადგან აღნიშნულ დროშას ოსმალეთის სახელმწიფო დროშის თანასწორად მიიჩნევდნენ, გამარჯვების შემთხვევაში, მისი საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადების დიდი ალბათობა იქნებოდა.

ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის ფორმირება 1914 წელს დაიწყო. 1914 წლის დამლევისათვის, თუმცა ნაჩქარევად, მაგრამ ძირითადად მაინც, დასრულდა ლეგიონის ფორმირება. იგი ამ დროს 600 კაცს მოითვლიდა. ლეგიონის მეთაურად დაინიშნა სოციალ-ფედერალისტი ლეო კერესელიძე, შტაბის უფროსად – მისივე ნათესავი ნესტონ კერესელიძე, ასეულის მეთაურებად – ძმები ვანო და სერგო ლაბაძეები, მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურად – ვანო წერეთელი, საინტენდანტო ლეგიონერთა რაოდენობამ 1916 წლის მარტში 1200-ს გადააჭარბა.¹ აქვე იყო ლადო სიამაშვილი თავისი ათასეულით.

გენერალი შალვა მალლაკელიძე იხსენებს: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ლეო კერესელიძე გამოგზავნა ოსმალეთში. იგი ჩამოვიდა და დაბინავდა ტრაპიზონში, შეუკვეთა გენერლის ფორმა თავისთვის, თუმცა გენერალი არასდროს არ ყოფილა. გაჩენიდან კუზი ჰქონდა, მოხრილი იყო ნამეტანი. ჯარში ასეთები არ მიყავდათ. დაირქვა სახელად „ისკანდერ ბეგი“! მისივე ინფორმაციით, მაშინ ტრაპიზონში ტახტის მემკვი-

¹ სურგულაძე ა., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994, გვ. 14-18.

დრე იოახიმიც ჩასულა, რომელიც საქართველოს მეფობისთვის ემზადებოდა.¹

ლეგიონის შემადგენლობა დღითიდღე იზრდებოდა. დევიდ ლენგის სიტყვით, ლეგიონი დაკომპლექტდა „დაახლოებით შეიდი ათასი ძლიერი მამაკაცისაგან“ (ჩვენ ეს ცნობა გადაჭარბებული გვეჩვენება – ზ. ბ.). მისივე ცნობით, იგი დისლოცირებული იყო თირებოლუს მთიანეთის აღმოსავლეთით, მდინარე ჰარშითის (ძველი სახელი ჰილაბონიტეს²) სანაპიროზე, შავი ზღვის ახლოს, კომიტეტის შტაბი კი განლაგებული იყო ჯერ სამსუნში, შემდეგ კი – გირესუნში.³ ცნობილია, რომ შტაბი ერთი პერიოდი ტრაპიზონში იყო განლაგებული.

ლეგიონში შედიოდნენ როგორც გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთის ტყვეთა ბანაკებში შეკრებილი ქართველები, ისე თურქეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველები (მათ შორის ყოფილი მუჰაჯირები, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი სამშობლოს მომავლით).

1914 წლის დეკემბრის დამდეგს ლეგიონი გადაიყვანეს არზრუმის მიმართულებით და დაუქვემდებარეს გერმანელ ვიცე-პოლკოვნიკ შტანკეს, რომელმაც თავის ძირითად ნაწილებთან – თურქთა მე-7 და მე-8 ქვეით პოლკებთან ერთად 9-10 დეკემბრის ცხარე ბრძოლებში გაარღვია რუსთა თავდაცვითი ზღუდეები და 12 დეკემბერს აიღო არტაანი. სწორედ აქ მოხდა ქართული ლეგიონის პირველი საბრძოლო ნათლობაც. მაგრამ რუსეთის ჯარების კონტრშეტევის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

ლეგიონი ტრაპიზონში 1915 წელს გადაიყვანეს. აქ დაიწყო მისი ახალი ძალებით შევსება. ლეგიონში მრავლად ეწერებოდნენ გერმანიაში სასწავლებლად წასული ქართველი ახალგაზრდები.

¹ მალლაკელიძე შ., მოგონებანი, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბილისი, 1994, გვ. 56.

² Bryer A., Peoples and Settlement in Anatolia and the Caucasus, 800-1900, London, 1988. p. 187.

³ Lang D., Modern History of Georgia, London, 1962., p. 183.

ასე გადავიდნენ კონსტანტინე გამსახურდია, რაფიელ ნიჟარაძე, ალექსი ჯაფარიძე და სხვები კომიტეტის განკარგულებაში.¹ ლეგიონი ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ პირველად აქ შემოიღეს ქართული მედლები (1915 წლის ბოლოსკენ შემოიღეს თამარ მეფის ორდენი². როგორც შუშანა ფუტყარაძე ვარაუდობს, თამარ მეფის ორდენი იაკობ ნიკოლაძის მიერ უნდა იყოს შექმნილი) და სხვა განმასხვავებელი ნიშნები. 1916 წლის აპრილში ტრაპიზონი რუსებმა აიღეს და, როგორც ჩანს, ქართულმა ლეგიონმაც ოსმალებთან ერთად უკან დაიხია.

ვ. ბილის ცნობით, 1916 წლის დეკემბრისათვის ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებოდა 500 ლეგიონერი. 6 ნოემბერს მათი 25 კაციანი ჯგუფი თავს დაესხა რუსთა პოზიციებს, მოსპო მტრის 30-40 ჯარისკაცი და გაანადგურა ორი ტყვიამფრქვევი. უნარიანი და გაბედული მოქმედებისათვის ამ ოპერაციის რამდენიმე მონაწილე თურქეთის სარდლობის (ჰამიდ ბეის) ბრძანებით „რკინის ნახევარმთვარის“ მედლით დააჯილდოვეს. ამაზე ადრე (იმავე წლის აპრილში) 120-150 ლეგიონერი, თურქთა მხარდამხარ, მონაწილეობდა ყაჩაღთა ბანდების განადგურებაში. შულენბურგი აღნიშნავდა, რომ ბრძოლაში ქართველები უკეთ მოქმედებდნენ, ვიდრე თურქი ჯარისკაცები.³

ლეგიონის ფორმირებისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობდა გერმანიის წყალქვეშა ნაევებით (U-14, U-18) კომიტეტის წევრთა, აგრეთვე იარაღისა და ფულის შემოგზავნა საქართველოში დაგეგმილი აჯანყების დასაჩქარებლად. თან ადგენდნენ ლეგიონის გადმოსხმისთვის შესაფერის ადგილსაც (ასეთად შემდეგ ქობულეთი მიიჩნიეს).

1916 წლის ზაფხულში საქართველოში შემოვიდა ლ. კერესელიძე. იგი აქ თანმხლებ პირებთან ერთად წლის ბოლომდე

¹ სურგულაძე ა., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994, გვ. 15-22.

² Order of Queen Tamar, http://en.wikipedia.org/wiki/Order_of_Queen_Tamar, 28. 03. 2007.

³ Bihl, Die Kaukasus Politik der Mittelmächte, I, Wien-Graz, 1975, 76-78.

დარჩა. 1917 წელს ჩამოვიდა მიხეილ წერეთელი, შემდეგ პეტრე სურგულაძე. მაგრამ აჯანყების ორგანიზება მაინც ვერ მოხერხდა.

ამასობაში დრო გადიოდა. გერმანია და მისი მოკავშირეები ფრონტის ყველა უბანზე მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. ასეთ ვითარებაში ინტერესი ქართული ლეგიონისადმი შესამჩნევად განელდა. ჯერ კიდევ 1916 წლის ნოემბერ-დეკემბერში გენერალმა ლოსოვმა და ოსმალეთის მე-3 არმიის სარდალმა ვეჰიბ-ფაშამ ოფიციალურად სთხოვეს ბერლინს მისი დაშლა. გენერალი ლოსოვი ამას ასაბუთებდა შექმნილი მძიმე ეკონომიკური პრობლემებით და თურქებთან ლეგიონერების უთანხმოებით. ვეჰიბ-ფაშას საყვედურის გარკვეული საფუძველიც ჰქონდა. ოსმალთა მხარეს სულ უფრო აღიზიანებდა მის ტერიტორიაზე ქართველთა ყოფნა და აქტიურობა. აბელ და კახაბერ სურგულაძეების ცნობით, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ პრეტენზიას აცხადებდა გარკვეულ ტერიტორიებზე, სურდა ოსმალეთისგან მისი ჩამოცილება და აქ ქართული მთავრობის შექმნა. ამის გამო ოსმალეთის ხელისუფლება ლეგიონს სხვადასხვა სახის დაბრკოლებებს უქმნიდა (თვითნებურად ახდენდა მისთვის განკუთვნილი იარაღის კონფისკაციას, აფერხებდა ლტოლვილი ქართველი მაჰმადიანების ჩარიცხვას, ცდილობდა რაზმებად დაყოფას და სხვადასხვა ქალაქში დისლოცირებას და ა. შ.), თანაც, მასზე კონტროლის დანესებას ესწრაფვოდა (სურდა ლეგიონში თურქული ენის შემოღება, თავისი წესებისა და კანონების დამკვიდრება, თურქი ინსპექტორების შეყვანა და სხვ.). ამასთან, ოსმალთა სარდლობა გეგმავდა ლეგიონის გამოყენებას სურვილისამებრ, კერძოდ, ერზინჯანის ფრონტზე ანდა ზურგში პატრულირებისათვის. ლეგიონერები კი ამის სასტიკი წინააღმდეგეები იყვნენ და თანხმობას მხოლოდ მშობლიური მხარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაზე აცხადებდნენ. ყოველივე ამის გამო ოსმალეთის მე-3 არმიისა და ლეგიონის ხელმძღვანელებს შორის დიდი უთანხმოება სუფევდა. ამას მოჰყვა ოსმალეთის ოფიციალურ პირთა საყვედურები, რომ ქართველი „ოფიცრები და ჯარისკაცები იქცევიან თავაშვებულად“. საკმა-

რისია ითქვას, რომ ტრაპიზონის ვალი ლ. კერესელიძეს ავანტურისტსაც უწოდებდა.¹

საინტერესოა, როგორ აფასებენ ამ მოვლენას თურქი მკვლევრები. მაგალითად, ტრაპიზონის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მაჰმუდ გოლოღლუ, ეყრდნობა რა ა. სამიჰის ცნობებს („დიდ ომში კავკასიის ფრონტის მოგონებები“), წერს შემდეგს:

„ვალი ჯემალ აზმი ბეი დიდ შრომას ეწეოდა და არმიის სარდლობის მონონებაც დაიმსახურა. მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად, ის ვერ შეეწყო ტრაპიზონის მხარის სამხედრო მეთაურს ავნი ფაშას. ქართულმა კომიტეტმა არაფრისგან პრობლემა წარმოშვა, რის გამოც სამხედრო მეთაურსა და ვალის შორის ურთიერთობა დაიძაბა. თურქეთში მცხოვრებმა და თურქეთის მოქალაქე ქართველებმა არმიისთვის ნაწილების მიშველების მიზნით ტრაპიზონში „ქართული კომიტეტი“ დააარსეს. ტრაპიზონის მხარის სამხედრო მეთაური ავნი ფაშაც, იმის გამო, რომ ქართველი იყო, კომიტეტის მხარეს იჭერდა. გერმანიის კონსული კომიტეტს იარაღით და სურსათით უზრუნველყოფდა. ასეთ სიტუაციაში ქვეყანაში დაიწყო ქართველობის გაძლიერება. ვისაც ჯარში ნასვლა არ სურდა, ამბობდა, რომ ქართველი იყო და კომიტეტში ეწერებოდა. ამდენად არმიის დახმარება კი არა, პირიქით დასუსტება ხდებოდა. დამხმარე ქართული ნაწილებისათვის მინოდებული პროდუქტები შავ ბაზარზე ხვდებოდა. ასეთ სიტუაციაში ვალი ჯემალ აზმი ბეიმ კომიტეტის საქმეებში ჩარევა დაიწყო და ამის გამო შეეჯახა სამხედრო მეთაურ ავნი ფაშას“.²

ამ დოკუმენტიდან დასტურდება, რომ ქართული კომიტეტის საქმიანობას ოსმალეთის ქართველებშიც გარკვეული გამოცოცხლება გამოუწვევია, და რასაც ოსმალეთის მაღალი სამხედრო პირიც ყველანაირად ხელს უწყობდა.

¹ სურგულაძე ა., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994, გვ. 27-32.

² Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 171-172.

ბოლოს, 1916 წლის 12 დეკემბერს კომიტეტის ხელმძღვანელობამ გერმანიის გენშტაბს გაუგზავნა მემორანდუმი და ევროპის ფრონტზე გადასროლის სურვილი გამოთქვა. 15 დეკემბერს გერმანიის გენშტაბმა ოპერატიულად განიხილა მემორანდუმი და პრინციპში მოიწონა ლეგიონის ევროპის ფრონტზე გადაყვანის იდეა. ამის შესაბამისად კომიტეტმა აღნიშნული საქმის ორგანიზებისათვის 29 დეკემბერს სამსუნში მიავლინა პ. სურგულაძე და მ. ქარცივაძე, რომლებმაც 1917 წლის მაისისათვის შეძლეს ლეგიონერთა თურქეთიდან რუმინეთში გადაყვანა.¹

ამ ხნის მანძილზე ლეგიონს არაერთხელ შეეცვალა ხელმძღვანელი. ლ. კერესელიძე მას განაგებდა 1916 წლის თებერვლამდე. შემდეგ მისი უფროსები იყვნენ: 12 თებერვლიდან – შლიფხაკი, 23 აპრილიდან – შულენბურგი, 18 მაისიდან – ლეიტენანტი შედე (პროფესიით არქეოლოგი) და ნესტორ (იგივე მურად ბეი) მაღალაშვილი – ლეგიონში ყველაზე ხანგრძლივად ნამსახური, ნოემბერში – კაპიტანი ინგურიძე, ხოლო 29 ნოემბრიდან უკანასკნელი უფროსი იყო ობერ-ლეიტენანტი გალენი.²

ევროპაში გადასულ ლეგიონერებს ოქტომბრის რევოლუციამ მოუსწროთ და ბრძოლებში ვეღარ ჩაერთვნენ. რუმინეთში ლეგიონერები 1918 წლის ივლისამდე დარჩნენ. შემდეგ უკვე თავისუფალ და დამოუკიდებელ სამშობლოში დაბრუნდნენ და ეროვნული არმიის შემადგენლობაში ცალკე შენაერთის სახით ლ. კერესელიძის მეთაურობით გამირულად იბრძოდნენ ახალციხის ფრონტზე ე. წ. ყარსის რესპუბლიკის ჯარების წინააღმდეგ.³ ყოფილი ლეგიონერი, ასეულის მეთაური ვანო ლაბაძე მოგვიანებით იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების უფროსი.⁴

ამრიგად, ტრაპიზონს უკავშირდება ქართველი პატრიოტების ერთი ჯგუფის მართალია უშედეგო, მაგრამ ამაღლებული და

¹ სურგულაძე ა., სურგულაძე კ., „ქართული ლეგიონი თურქეთში“, ბათუმი, 1994, გვ. 32-34.

² Bihl, „Die Kaukasus Politik der Mittelmächter“, 1, Wien-Graz, 1975, 76.

³ „ერთობა“, № 30, 1919.

⁴ სურმანიძე რ., „დაუფინყარი სახეები“, ბათუმი, 1969, გვ. 105.

რომანტიკული გრძნობების აღმძვრელი სამშობლოს განთავისუფლების იდეა.

დღემდე უცნობია ტრაპიზონში, კერძოდ სად მდებარეობდა ქართული ლეგიონის შტაბი. როგორც საქართველოს ყოფილი გენერალური კონსული ტრაპიზონში გიორგი ჯანჯღავა ამბობს, მას უნახავს მიტოვებული ბინა რეფიქ ჯესურის ქუჩაზე (ამ ქუჩის პარალელურ ქუჩაზე მდებარეობს საქართველოს გენერალურ, საკონსულოს შენობა), რომელზეც ადგილობრივებს უთქვამთ, რომ აქ ადრე გერმანულ-თურქული შტაბი ყოფილა განთავსებული. თანაც მის ნანგრევებში 1913, 1914 და 1915 წელს გამოცემული რუსული მონეტებიც უპოვიათ, რის გამოც ჯანჯღავა გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა ქართული ლეგიონის შტაბი სწორედ ამ შენობაში იყო განთავსებული.

აქვე გვინდა მოვიტანოთ ქართველ ლეგიონერთა აღწერის მასალები (ქვეყნდება პირველად და უცვლელი სახით), რომლის მონოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს.

ქართველ ლეგიონერთა აღწერის მასალები, 1915 წელი საიდან (სად ცხოვრობს)

1. გოგიტიძე ხუსეინ	- ქობულეთი	
2. ალიბაშოღლი სულეიმან	- ქობულეთი (უწია)	160
3. ბაიახტაროღლი თალიბ	- ერგე (უწიე)	160
4. თათაროღლი ყედემ	- მარადიდი (ორდი)	120
5. მოლოღლი ახმედ ალა	- მახუნცეთი (ფაცა)	160
6. მემიშ ეფენდიოღლი სულეიმან	- კოჭო (უწიე)	160
7. ხუტაძე მამუდ	- ქობულეთი (ტრაპიზონი)	160
8. ხაბაზოღლი ხუსეინ	- აჭარა	160
9. გორგოშაძე ოსმან	- მარადიდი (ტრაპიზონი)	320
10. ხუსეინოღლი ხაკი	- კახაბერი (ჩერშემბე)	120
11. დემირჯიოღლუ ხუსეინ	- სიმონეთი (ჩერშემბე)	160

12	ჯიბალოღლი რამიზ	- თხილნარი (ჩერშემბე)	160
13	უსტიალოღლი იბრაიმ	- მარადიდი (ჩერშემბე)	160
14	გენჯალოღლი ისაკ	- კიბე (ჩერშემბე)	160
15	რეჯებოღლი ხუსეინ	- მარადიდი (ორდი)	160
16	ვერძაძე მემედ	- ბათუმი (ტრაპიზონი)	240
17	დურსუნღანუნოღლი დურსუნ	- მარადიდი (ჩერშემბე)	160
18	დელიალოღლი ოსმან	- მაჭახელი (ჩერშემბე)	160
19	კარალოღლი ხასან	- კირნათი (ჩერშემბე)	160
20	დაუდოღლი ფაიკ	- მარადიდი (რიზე)	280
21	კაკალაძე მახმუდ	- ქობულეთი -	-
22	ჩადუნელი მიხეილ	- ქობულეთი -	-
23	კაკალოღლი ემინ	- ქობულეთი (ათინა)	80
24	სოლხაძე სალიხ	- ბათუმი	-
25	მემედალილუნოღლი ხუსეინ	- ქედა (ორდი)	160
26	ხორონოღლი ხასან	- ბათუმი (ტუნია)	160
27	გოგიტიძე ხასან	- ქობულეთი (ტრაპიზონი)	540
28	ვაშალოღლი ისაკ	- მაჭახელი (ორდი)	80
29	აზაბალაზადე ფეზლი	- მაჭახელი (ტრაპიზონი)	80
30	ბოლქვაძე ჰარუნ	- მარადიდი (ტრაპიზონი)	320
31	სერდალოღლი მემედ	- მარადიდი (ტრაპიზონი)	200
32	ჭუჭულოღლი ალი	- კახაბერი (ტრაპიზონი)	120
33	ბოლქვაძე ხუსეინ	- მარადიდი (ტრაპიზონი)	280
34	ანარიოღლი ხასან	- კიბე (ორდი)	160
35	ლელოღლი ისმაილ	- კირნათი (ორდი)	160
36	პაჭიჭოღლი ხუსეინ	- მარადიდი (ორდი)	160
37	ხასანოღლი მუსტაფა	- მარადიდი (ორდი)	160
38	ჭუჭულოღლი იუსუფ	- კახაბერი	-
39	აფაქიძე მემედ	- კოჭო (ტრაპიზონი)	40
40	მემიშეფენდიოღლი ოსმან	- ბათუმი (უნიე)	160
41	ისმაილოღლი მემედ ალი	- ქედა (ორდი)	-
42	მემიშრეიზოღლი იბრაიმ	- მარადიდი (ტრაპეზონი)	320
43	კოკობინოღლი დურსუნ	- ერგე (ორდი)	-
44	თედორაძე მამუდ	- ორცვა	-
45	თორანოღლი ეიუბ	- აჭარა (უნიე)	160

46.	ყარაოსმანოლი ხუსეინ	-	მახუნცეთი (უნეი)	160
47.	ასლანოლი მეკლუდ	-	მარადიდი	-
48.	ხუსეინოლი ხასან	-	გონიო	-
49.	მუთიოლი მუსტაფა	-	მაჭახელი (უნია)	160
50.	თოფალოლი სულიემან	-	მარადიდი (ორდი)	120
51.	ხოჯოლი ახმედ	-	მარადიდი (რიზე)	-
52.	ბათალოლი ახმედ	-	სარფი (რიზე)	160
53.	მემიოლი ხაჯი	-	ერგე (ათინი)	-
54.	ომეროლი მეკლუდ	-	მაჭახელი	160
55.	ხუსეინოლი ოსმან	-	გონიო	-
56.	მოლაალიოლი ალიოსმან	-	დოლოგანი (ჩერშემბე)	120
57.	ჩერქეზოლი ხასან	-	მარადიდი (ჩერშემბე)	160
58.	ქოროლი გენჯ ალა	-	კიბე	160
59.	კახანჯოლი მამუდ	-	კახაბერი	120
60.	დურსუნალოლი მემიალა	-	ჯოჭო (ჩერშემბე)	160
61.	პაპუნოლი არიფ	-	ქობულეთი	-
62.	ბეჟანიძე ასლანბეგ	-	ბათუმი (ტრაპიზონი)	320
63.	ჯაფარიძე ხუშუტ ეფენდი	-	გონიო (ტრაპიზონი)	80
64.	დელიკალიოლი ტოფან	-	მაჭახელი (ჩერშემბე)	160
65.	შიშმანოლი სულიემან	-	მაჭახელი (ჩერშემბე)	160
66.	ოსმანოლი აბდულ	-	დოლოგანი (ჩერშემბე)	160
67.	შაინზადე ალი ბეი	-	მარადიდი (ტრაპიზონი)	-
68.	გვარელოლი იუსუფ	-	ბათუმი (ტრაპიზონი)	200
69.	ალიოსმან მოლა ალიოდლუ	-	ბათუმი (უნია)	160
70.	ახმედ ეფენდოლი ალი	-	მაჭახელი (ჩერშემბე)	160
71.	ოსმან აზაბალაზადე	-	მაჭახელი (ტრაპიზონი)	120
72.	შერიფოლი იდრის	-	ბათუმი (ორდუ)	280
73.	დელიბათოლი მამუდ	-	ერგე (ჩერშემბე)	160
74.	პეტრიძე შუქრი	-	თხილნარი (ჩერშემბე)	40
75.	ცეცხლაძე ასლან	-	ქობულეთი (ტრაპიზონი)	80
76.	საფაროლი იზეთ	-	მარადიდი (ორდი)	160
77.	ყარსელოლი სეიდი	-	ახალშენი (ფაცა)	160
78.	ხასანოლი დაუდ	-	ჭვანა (ორდი)	80
79.	დუმბაძე იუნუს	-	ხულო (ტრაპიზონი)	-

80. ვარშანიძე სულეიმან	- ბათუმი (ტრაპიზონი)	-
81. გვარელოლი ისაბეგ	- მაჭახელი (ტრაპიზონი)	-
82. გვარელოლი მურთაზბეგ	- მაჭახელი (ტრაპიზონი)	-
83. თავდგირიძე თეფფიქბეგ	- მახუნცეთი (ტრაპიზონი)	-
84. თავდგირიძე ახმედ ბეგ	- მახუნცეთი (ტრაპიზონი)	-
85. გიორგაძე ალი რეზა ეფენდი	- აჭარა (ტრაპიზონი)	-
86. მერჯანოლი იუსუფ	- ბათუმი (ტრაპიზონი)	440
87. ხაჯიოლი შაბან	- გონიო (ტრაპიზონი)	280
88. აბაზოლი მუჰერემ	- ბათუმი (ტრაპიზონი)	80
89. ჭიჭინაძე რემზი ეფენდი	- ბათუმი (ტრაპიზონი)	80
90. კომახიძე სულეიმან	- ბათუმი (ტრაპიზონი)	32
91. ჭიჭინაძე მახმუდ ეფენდი	- ბათუმი (ტრაპიზონი)	324
92. ნულუკიძე იონუს	- ქობულეთი (ტრაპიზონი)	540
93. ირემაძე სულეიმან	- ქობულეთი	540
94. კონცელიძე ალირიზა	- ქობულეთი	324
95. შუშუაძე შევექეთ	- ქობულეთი	-
96. ჯანდაროლი ისაკ	- მარადიდი (ტრაპიზონი)	160
97. დემურჯოლი ხუსეინ	- სიმონეთი	160

**ჯარისკაცების ოჯახების გასავლის
ნიგნი, 1915 წ.**

1. ბედინაძე მურთეზას ქვრივი	- უჩხითი	-
2. ბოლქვაძე ხუსეინ	- ერგე	140
3. ვარშანიძე სულეიმან	- ბათუმი	40
4. ბოლქვაძე სულეიმან	- ერგე	100
5. მერჯანოლი იუსუფ	- ბათუმი	220
6. ბოლქვაძე ხარუნ	- ერგე	160
7. ჩევიქოლი ხასან	- ბათუმი	-
8. სერდალოლი მემედ	- მარადიდი	100
9. ჯინალოლი ზაბით	- კირნათი	120

10.	ხაჯიოლლი შაბან	– გონიო	140
11.	შერიფოლლი შაქირ	– აჭარის აღმართი	40
12.	ცეცხლაძე თემელ	– ერგე	60
13.	ჭუჭულოლლი ალი	– მარადიდი	20
14.	ეხთიაროლლი ისმაილ	– ერგე	100
15.	ვერძაძე ოსმან	– ზუნგადა	60
16.	გურჯიოლლი ომერ	– მახუნცეთი	60
17.	მემიშრეიზოლლი იბრახიმ	– მარადიდი	160
18.	აზედალაზადე რიფათ ბეგ	– მაჭახლისპირი	100
19.	დელიმემედოლლი შუევი	– შუახევი	140
20.	ჩხალალოლლი ხელილ	– შუახევი	160
21.	ქირლოლლი რიზა	– შუახევი	200
22.	თავდგირიძე ხაჯი	– ქობულეთი	80
23.	მემიშეფენდიოლლი ოსმან	– ჯოჭო	40
24.	გორგოშაძე ოსმან	– მარადიდი	160
25.	გორგოშაძე ალი	– მარადიდი	80
26.	ვარშანიძე ხუსეინ	– ზუნდაგა	220
27.	ვერძაძე მემედ	– ბათუმი	270
28.	კავეჯოლლი ოსმან	– უჩხითი	60
29.	ომეროლლი ხუსეინ	– ერგე	80
30.	აბდულოლლი მემედ	– სარფი	80
31.	ხათალოლლი ახმედ	– სარფი	80
32.	ხათალოლლი რეფიკ	– გონიო	80
33.	ალიოლლი კვადბა მურად	– ბათუმი	160
34.	თოფალოლლი სულეიმან	– მარადიდი	60
35.	ანაროლლი მემედ	– კიბე	80
36.	ჩერქეზოლლი ხუსეინ	– მახო	80
37.	ანაროლლი ხასან	– კიბე	80
38.	კარაუჩოლლი ქაზიმ	– უჩხითი	80
39.	თათაროლლი ხასან	– მარადიდი	80
40.	ალიჩაუშოლლი ხუსეინ	– მარადიდი	80
41.	ცეცხლაძე კაფთან	– თხილნარი	160
42.	ჯინალიაზადე ხასან	– მარადიდი	80
43.	აზედალაზადე ოსმან ბეი	– მაჭახლისპირი	–

44. მემედალიოლლი ახმედ	- ბათუმი	40
45. ჩოხადაროლლი იუსუფ	- ერგე	200
46. ელიოლლი ხასან	- ბათუმი	160

სია მუსულმან ქართველ ჯარისკაცთა ოჯახების
ტრაპეზონში,
1915 წ. 14 ნიფობისთვე

საზოგადოება, სოფელი

1. ყარა უსუფ მერჯანოლლი	- ბათუმი
2. ხუსეინ ლეზგი ოლლი	- ბათუმი
3. ხუსეინ ბოლქვაძე	- მარადიდი, ერგე
4. შაბან ალა ხაჯიოლლი	- გონია, გონია
5. ოსმან ფუტკარაძე	- აჭარა, დღვანი
6. ხუსეინ ალი ჩაუშოლლი	- მარადიდი, ხება
7. დაუთ ბეი ალი ჩაუშოლლი	- მარადიდი, ხება
8. მეკმედ სერდალ ოლლი	- მარადიდი
9. ოსმან ქეჯეჯოლლი	- მარადიდი, ხინნკანა
10. ჯელალ შაჰინოლლი	- მარადიდი, ხინნკანა
11. ალი გორგოშაძე	- მარადიდი, ხინნკანა
12. მემედ აფაქიძე	- მარადიდი, ჯოჭო
13. ხუსეინ ალა უსტაფა ხასან ბაიახთაროლლი	- მარადიდი, ოლლაური
14. მემედ ვერზაძე	- ქობულეთი, ურეხი
15. თემურ ცეცხლაძე	- მარადიდი, ერგე
16. ხუსეინ ომეროლლი	- მარადიდი, ერგე
17. შევქეთ ეფენდი შუშანიძე	- მაჭახელი, მაჭახელი, კირნათი
18. ისმაილ ფეიზოლლი	- აჭარა, მერიხი
19. შაქირ შერიფოლლი	- მაჭახელი, აჭარის ალმართი

- | | |
|-------------------------------|-------------------------------|
| 20. ალი ჩუჭულოლლი | - მარადიდი, კახაბერი |
| 21. იუსუფ ჩუჭულოლლი | - მარადიდი, კახაბერი |
| 22. მემედ ალი ფარტენაძე | - მაჭახელი, აჭარის
ალმართი |
| 23. ხურშუთ ფარტენაძე | - მაჭახელი, აჭარის
ალმართი |
| 24. მახმუდ ლეზგიოლლი | - მარადიდი, უჩხითი |
| 25. ხუსეინ ვარშანიძე | - ქობულეთი, ურეხი |
| 26. ხასან იბიოლლი | - მარადიდი, ხება |
| 27. ისმაილ ყარალიშვილი | - მარადიდი, ხება |
| 28. ზაბით ჯინალოლლი | - მაჭახელი, კირნათი |
| 29. სულეიმან ვარშანიძე | - ქობულეთი, ურეხი |
| 30. რემზი ეფენდი ჭიჭინაძე | - ბათუმი, ბათუმი |
| 31. მუჰერემ აფხაზოვა | - ბათუმი, კაპრეშუმი |
| 32. სულეიმან ბოლქვაძე | - მარადიდი, ერგე |
| 33. ჰარუნ ბოლქვაძე | - მარადიდი, ერგე |
| 34. ახმედ ეფენდი ჩალულოლლი | - აჭარა, მაჭახელი |
| 35. იუნუს დუმბაძე | - ხულო, ჩანჩხალო |
| 36. ხუსეინ დუმბაძე | - ქობულეთი, ალამბარი |
| 37. ისმაილ იხთიაროლლი | - მარადიდი, ერგე |
| 38. მურთაზა ქოსეფენდიოლლი | - მაჭახელი, კირნათი |
| 39. კედემალა ემინ ალაზადე | - აჭარა, კიბე |
| 40. მამუდ თედორაძე | - აჭარა, ორცვა |
| 41. იბრაჰიმ კოხოლლი | - მარადიდი, მაქრიალი |
| 42. ალი ბეი მემოოლლი | - მარადიდი, ბელღევანი |
| 43. მევლუდ ასლანოლლი | - მარადიდი, ძაბლავეთი |
| 44. ოსმან კაჰვეჯიოლლი | - მაჭახელი, უჩხითი |
| 45. ემინ თოსოლლი | - მარადიდი, არარავეთი |
| 46. ახმედ ბეგ თავდგირიძე | - ქვედა აჭარა, მახუნცეთი |
| 47. თეფიქ ბეი თავდგირიძე | - ქვედა აჭარა, მახუნცეთი |
| 48. ენუს ეფენდი ნულუკიძე | - ქობულეთი, ალამბარი |
| 49. სულეიმან ეფენდი ვარშანიძე | - ბათუმი, ბათუმი |
| 50. ისკენდერ ჩაუში | - მარადიდი, მარადიდი |
| 51. ხასან გოგიტიძე | - ქობულეთი |

- | | |
|--------------------------------|--------------------------|
| 52. სულეიმან ეფენდ ირემაძე | – ქობულეთი |
| 53. აბდულ კვირიტიძე | – მაჭახელი, სინდიეთი |
| 54. რიზმან დუმბაძე | – ხულო, ჩანჩხალო |
| 55. ხუსეინ გურგენიძე | – ბათუმი, ყოროლისთავი |
| 56. სულეიმან ეფენდი კომახიძე | – ბათუმი, ბათუმი |
| 57. მუსტაფა შაჰინალაზადე | – ბათუმი |
| 58. ასლან ცეცხლაძე | – ქობულეთი, ჭახათი |
| 59. მეველუდ სულეიმანიძე | – მარადიდი, ხინჯანა |
| 60. ახმედ ეფენდი ქოსეფენდიზადე | – მაჭახელი, კირნათი |
| 61. ფაიკ დაუდოლლი | – მარადიდი, მახო |
| 62. ახმედ მემედ ალიოლლი | – კახაბერი, ხელვაჩაური |
| 63. ემინ კაკალოლლი | – ქობულეთი, ლელვა |
| 64. ფეხლი ბეი აზაბ ალაზადე | – მაჭახელი, მაჭახლისპირი |
| 65. არიფ პაპუნოლლი | – ქობულეთი, ხუცუბანი |
| 66. სულეიმან მაჰიროლლი | – აჭარა, ქედა |
| 67. ასლან ბეგ ბეჟანიძე | – ბათუმი |
| 68. აქიფოლლი | – ქედა, აჭარა |
| 69. ხუშუტალა ჯაფარიძე | – გონია, აჭარა |
| 70. იუსუფ გვარელოლლი | – ქობულეთი, ჩაქვი |
| 71. შერიფ ბურჟენაძე | – ბათუმი |
| 72. მუსტაფა ბეი აბაშიძე | – ბათუმი |
| 73. ფერიდ გორგილაძე | – ქობულეთი, ჩაქვი |
| 74. გოგიტიძე ხუსეინ | – ქობულეთი |

ლეგიონერთა სია

- | | |
|--------------------------|----------------------------|
| 1. ყარა იუსუფ მერჯანოლლი | – ბათუმი, ჭარახმელა, 60 წ. |
| 2. რიზა ბეი აზაბალაზადე | – მაჭახლისპირი, 40 წ. |
| 3. იზეთ ბეი აზაბალაზადე | – მაჭახლისპირი, 28 წ. |
| 4. რიფეთ ბეი აზაბალაზადე | – მაჭახელი, 36 წ. |
| 5. ოსმან ბეი აზაბალაზადე | – მაჭახელი, 30 წ. |
| 6. მემედ ბეი აზაბალაზადე | – მაჭახლისპირი, 38 წ. |


- | | |
|----------------------------|------------------------------|
| 7. ისა ბეი გვარელზადე | - მაჭახელი, უჩხითი, 40 წ. |
| 8. მურთაზა ბეი გვარელზადე | - მილისი, 38 წ. |
| 9. ალი ოსმან ვერძაძე | - ქედა, ზუნგადა, 24 წ. |
| 10. ხუსეინ ლეზგიოლლი | - ურეხი, 18 წ. |
| 11. ხუსეინ ბოლქვაძე | - მარადიდი, ერგე, 20 წ. |
| 12. ოსმან ფუტკარაძე | - აჭარა, დღვანი, 33 წ. |
| 13. ხუსეინ ალი ჩაუშოლლი | - საბაური, მარადიდი, 24 წ. |
| 14. მეჰმედ სერდალოლლი | - საბაური, მარადიდი, 33 წ. |
| 15. მემედ აფაქიძე | - ჯოჭო, 22 წ. |
| 16. ხასან მუხტაროლლი | - მარადიდი, საბაური, 16 წ. |
| 17. ალი ალა ბედინაძე | - მაჭახელი, ქალახმელა, 40 წ. |
| 18. მემედ ვარზადაზე | - ქობულეთი, ურეხი, 24 წ. |
| 19. შუშანაძე შევქეთ ეფენდი | - ქედა, კირნათი - ხოჯა |
| 20. ფეიზიოლლი ისმაილ | - ქედა, მერისი, 21 წ. |
| 21. პერიფოლლი შაქირ | - აჭარისალმართი, 20 წ. |
| 22. ჭუჭულოლლი ალი | - მარადიდი, კახაბერი, 20 წ. |
| 23. ფარტენაძე მემედალი | - აჭარისალმართი, 50 წ. |
| 24. ფარტენაძე ხურშუტ | - აჭარისალმართი, 24 წ. |
| 25. ოსმან უსტა | - აჭარისალმართი, 42 წ. |
| 26. ხუსეინ ვარშნიძე | - ქობულეთი, ურეკი, 40 წ. |
| 27. ჯინალოლლი ზაბით | - ქედა, კირნათი, 50 წ. |
| 28. ქოსეფენდიოლლი ოსმან | - ქედა, კირნათი, 22 წ. |
| 29. ჭიჭინაძე რემზი ეფენდი | - ბათუმი, 45 წ. |
| 30. ბედინაძე ხასან ალა | - ბათუმი, უჩხითი, 40 წ. |
| 31. აფხაზოვა მუჰარემ | - ბათუმი, კაპრეშუმი, 30 წ. |
| 32. სულეიმან ბოლქვაძე | - ერგე, 35 წ. |
| 33. ჰარუნ ბოლქვაძე | - ერგე, 20 წ. |
| 34. ჩალოლლი ახმედ ეფენდი | - ქვ. აჭარა, მაჭახელი, 30 წ. |
| 35. იუსუფ დუმბაძე | - ხულა, ჩანჩხალო, 20 წ. |
| 36. ჩოჭუროლლი იუსუფ | - გონია, ხელვაჩაური, 25 წ. |
| 37. ხუსეინ გოგიტიძე | - ქობულეთი, ალამბარი, 25 წ. |
| 38. იხთიაროლლი ისმაილ | - ერგე, 55 წ. |
| 39. ქოსეფენდიოლლი მურთაზ | - კირნათი, 25 წ. |
| 40. ემინ ალაზადე ყედემ ალა | - აჭარა, კიბე, 50 წ. |

41. სულეიმან ეფენდი ვარშანიძე - ბათუმი, 30 წ.
42. იუნუს ნულუკიძე - ქობულეთი, 26 წ.
43. ფერათოლი გულა - მაჭახელი, 25 წ.
44. ბექროლი ალი - ხერთვისი, 26 წ.
45. ჯინალია ზადე ისკენდერ ბეგ - მარადიდი, 35 წ.
46. ჯინალია ზადე ხასან ბეგ - მარადიდი, 25 წ.
47. ხასანოლი მუსტაფა - მარადიდი, 25 წ.
48. ცეცხლაძე ქავთან - მარადიდი, 35 წ.
49. ჯაფარიძე ხაკი ეფენდი - მარადიდი, 26 წ.
50. ანარიოლი მემედ - კიბე, 26 წ.
51. ფაშიოლი ალი - ქვედა აჭარა, 30 წ.
52. მარაგიოლი რეჯებ - კაპნისთავი, 40 წ.
53. შაშიკოლი მურად - კიბე, 28 წ.
54. ანაროლი ხასან - კიბე, 28 წ.
55. იელყოვანოლი ხასან - კახაბერი, 31 წ.
56. იელყოვანოლი სულეიმან - კახაბერი, 16 წ.
57. ბემროლი მემედ - კახაბერი, 36 წ.
58. გურჯიოლი ომერ - მახუნცეთი, 40 წ.
59. ნითელაძე ისმაილ ეფენდი - კირნათი, 35 წ.
60. ფაშალოლი ისაკ - გვარა, 18 წ.
61. უჩყურუშოლი ყედირ - გვარა, 18 წ.
62. კუპლაძე ქაზიმ - მაჭახელი, 18 წ.
63. ხასანოლი დაუდ - ჭვანა, 29 წ.
64. ბაირახტაროლი ხასან - ხულო, 25 წ.
65. საფარიძე აბდულ - მარადიდი, 27 წ.
66. მოლგანიძე დაუდ - მარადიდი, 25 წ.
67. დოლიძე მემედ - ქობულეთი, 20 წ.
68. შარაბიძე ხასან - ხელვაჩაური, 25 წ.
69. კონცელიძე ალირიზა ეფენდი - ქობულეთი, 25 წ.
70. ქარცივაძე ალი - თხილნარი, 25 წ.
71. ჯაყელი ზაბით - ჭალა, 34 წ.
72. სარაჩოლი ხასან ალა - ჩიქუნეთი, 40 წ.
73. ყარაოსმანოლი დაუდ - ხულა, 35 წ.
74. შარაბიძე იუსუფ - მახუნცეთი, 18 წ.

75. იუსეფოლლი ხასან	- მახუნცეთი, 40 წ.
76. ხალილეფენდიოლლი ისმაილ	- მახუნცეთი, 50 წ.
77. ხალილეფენდიოლლი მამუდ	- მახუნცეთი, 21 წ.
78. ბაიახტაროლლი ხასან	- მახუნცეთი, 25 წ.
79. ხასანოლლი სერდალ	- მახუნცეთი, 31 წ.
80. ხასანოლლი ომერ	- მახუნცეთი, 23 წ.
81. ხასანოლლი სულეიმან	- მახუნცეთი, 16 წ.
82. ქიბაროლლი სულეიმან	- მახუნცეთი, 20 წ.
83. ხაბაზოლლი ხუსეინ	- მახუნცეთი, 25 წ.
84. ყასემოლლი მურად	- მახუნცეთი, 19 წ.
85. შერიფოლლი ხასან	- კირნათი, 30 წ.
86. ყარაალაზადე სულეიმან ბეგ	- ბზუბზუ, 38 წ.
87. მოლლაოლლი ახმედ ალა	- მახუნცეთი, 53 წ.
88. მოლლაიდრისოლლი მუსტაფა	- მახუნცეთი, 32 წ.
89. ხაბაზოლლი მოლა მურად	- მახუნცეთი, 32 წ.
90. ხაბაზოლლი შირინალი	- მახუნცეთი, 20 წ.
91. ხაბაზოლლი დაუდ	- მახუნცეთი, 20 წ.
92. ბაიხტაროლლი იუნუს	- მახუნცეთი, 28 წ.
93. ლეზგიოლლი იბრაიმ	- მახუნცეთი, 20 წ.
94. ვეზიროლლი ახმედ	- მახუნცეთი, 18 წ.
95. ოქრიოლლი მემედ	- მახუნცეთი, 29 წ.
96. ჩიჯავაძე რეშით	- ბათუმი, 18 წ.
97. ყარსილოლლი საიდ	- ახალშენი, 35 წ.
98. ხაჯი ახმედალაზადე აქიფეფენდი	- ჭვანა, 36 წ.
99. ონბაშოლლი მემედ	- სარფი, 28 წ.
100. ლეკუროლლი მუხამედ	- გონიო
101. კოჯომანოლლი ემინახმედ	- გონია
102. პეტრიძე შუქრი	- თხილნარი, 22 წ.
103. უსტააბდიოლლი ყაია ბეგ	- სიმონეთი, 30 წ.
104. კამპუროლლი ხასან	- გონია, 30 წ.
105. ეიბოლლი ზაქარია	- გონიო, 25 წ.
106. ბებეროლლი იბრაჰიმ	- ჯოჭო, 25 წ.
107. ფერადოლლი იბრაჰიმ	- კახაბერი
108. ხალილოლლი ხასან	- ჭვანა, 23 წ.
109. რეჯებოლლი ხუსეინ	- კაპნისთავი, 40 წ.

- | | |
|--|---------------------|
| ¹¹⁰ არიფოლლი ხასან | - კაპნისთავი, 35 წ. |
| ¹¹¹ ქორიოლლი გენჯალა | - კიბე, 27 წ. |
| ¹¹² დელიბაშოლლი მამუდ | - ერგე, 20 წ. |
| ¹¹³ ინჯიოლლი ოსმან | - ქედქედი, 32 წ. |
| ¹¹⁴ მეიდანბეგზადე ჯემალ ბეგ | - ბზუბზუ, 40 წ. |

ქართველი ლეგიონერების შთამომავლებს დღესაც შეხვდებით თურქეთში. კერძოდ, იბრაჰიმ კოხოლლის შთამომავლები დღეს ატარებენ შაჰინბაშის გვარს და ცხოვრობენ ხოფის რაიონის დაბა ქემალფაშაში (ძველი სახელი - მაკრიალი/ნოლედი).



სომხური მონასტერი ტრაკპიტან



ქართული ლეგიონის დროშა (აღდგენილია ენვერ ფაშას ინსტრუქციის აღწერილობის მიხედვით).



თამარის ორდენი.
გიორგი ჯანჯღავას არქივი (1915 წ.).



თამარის ორდენი და მისი დამადასტურებელი
საბუთი. ჯანჯღლავას არქივი.



ტრაპიზონელი მხედრები მუსიკოსებთან ერთად



ლეგიონერის ოფიცრის ფორმა. აღდგენილია ენვერ ფაშას ინსტრუქციის აღწერილობის მიხედვით.

ტრაპიზონის ქართველი ებრაელობა

ზაქარია ჭიჭინაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ მთელი საქართველოს სავაჭრო ცენტრი ტრაპიზონი გახლდათ. იგი წერს: „ამიტომაც მთელ ქართველთა სავაჭრო და საქარხნო სამრეწველო ძალა აქ, ტრაპიზონში იდგამდა ფეხს და მაგრდებოდა. შენიშნულია, რომ XII საუკუნის ბოლოს ტრაპიზონში თავი მოიკრიბა ვაჭარ ქართველ ებრაელთა დიდმა რიცხვმა. ესენი აქ დასახლდნენ ერთს ქუჩაზედ, გააჩაღეს ვაჭრობა და ამით დანიანაურდნენ.“

ტრაპიზონში ებრაელებმა დაიჭირეს ერთი დიდი კუთხე, გააშენეს სახლები, სავაჭრო დუქნები და სხვა. მაშინ ქართველი ურიები უკვე ქართულ ენას ხმარობდნენ დედა ენათ და ამათგან ამიტომაც მთელ ტრაპიზონის კუთხეებში ქართულმა ენამაც მკაფიოდ იწყო გახმაურება. შემდეგ საუკუნეებში ტრაპიზონი იყო შესანიშნავ სავაჭრო ქალაქად, სადაც ქართველთა რიცხვიც დიდი იყო.“¹

ზ. ჭიჭინაძის ცნობებით, მათ არა მარტო ქართული ენა, არამედ ტანსაცმელიც კი შემოუნახავთ. მისი მონაცემებით ეს ებრაელები ტრაპიზონში ხოფიდან გადასახლებულან, სადაც მათი რიცხვი დიდი იყო (XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ამ მხარეში ებრაელები აქა-იქ კიდევ ცხოვრობდნენ).

აღსანიშნავია, რომ ჭიჭინაძე თავდაპირველად ქართველ ებრაელთა ტრაპიზონში დამკვიდრების თარიღად XVIII საუკუნეს მიიჩნევდა (იხ. ზაქარია ჭიჭინაძის „ქართველი ებრაელები საქართველოში“, 1904 წლის გამოცემა). როგორც ჩანს, შემდგომში მას დამატებითი მასალები მოუძიებია და 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიებში ებრაელთა ქალაქში მოსვლის თარიღად XII საუკუნეს ასახელებს.

¹ ჭიჭინაძე ზ., ტრაპიზონი, „საქართველო“, 20. 04. 1916.

ძველად ტრაპიზონში ქართველ ებრაელთა ქუჩას „გურჯი მაჰალე“ ანუ ქართული უბანი რქმევია. ჭიჭინაძე სწუხდა, რომ „დღეს არა ვიცით რა ამის შესახებ“. ¹ მისი მონაცემებით ქართველ ებრაელთა რიცხვი ტრაპიზონში XVII საუკუნეში 500 კომლი, მთელ ვილაიეთში კი 1000 მოსახლეზე მეტი იყო. ებრაელები ტრაპიზონში კომპაქტურად ცხოვრობდნენ და ამის წყალობით შეინახეს ქართული ენა. ტრაპიზონის გარეთ კი ისინი სოფლებში იყვნენ გაფანტულები. ამიტომ მათ დაკარგეს ქართული და შეითვისეს ოსმალური ენა.

1870 წლის შემდეგ ძირითადად სავაჭრო საქმეების გამო ქართველმა ებრაელებმა ტრაპიზონიდან გასვლა იწყეს. ტრაპიზონში მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ისინი დაიქსაქსნენ და ენაც შეირყა. შემდეგში კი ქართული ენის ხმარება მთელ ქალაქში მოიხპო. ²

ტრაპიზონში ებრაელთა არსებობას 1895 წელს ადასტურებს უცხოელი ჟურნალისტი ე. დრაოლი. ³

აღსანიშნავია, რომ ქართველი ებრაელები ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ სტამბოლში და მათაც შემონახული ჰქონდათ ქართული ენა და ადათ-წესები.

1927 წლის მოსახლეობის აღწერის ოფიციალური მონაცემების მიხედვით ტრაპიზონში მხოლოდ 3 ებრაელია ცხოვრობდა. 1935 წელს მათი რაოდენობა 9-მდე გაზრდილა. იმავე წელს მთელ თურქეთში ცხოვრობდა 211 ებრაელი, რომლებიც მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდნენ. 1945 წლის აღწერით ტრაპიზონში ებრაელები უკვე აღარ ცხოვრობდნენ, მთელ თურქეთში კი 159-მდე შემცირდა იმ ებრაელთა რიცხვი, ვისთვისაც მშობლიური ქართული ენა იყო. ტრაპიზონში 1955 წელს – 3, 1960 და 1965 წლებში კი მხოლოდ 1 ებრაელია დაფიქსირებული. მთელ თურქეთში კი 66-მდე შემცირდა იმ ებრაელთა რაოდენობა, ვინც თავის მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა. ⁴

¹ ჭიჭინაძე ზ., ქართველი ებრაელები საქართველოში, გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო ვ. ჩიქოვანმა, თბილისი, 1990, გვ. 19.

² ჭიჭინაძე ზ., ტრაპიზონი, „საქართველო“, 20. 04. 1916.

³ Gologlu M., Trabzon Tarihi. Fetihden Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 157.

⁴ Dündar F., Türkiye Nüfus Sayımlarında Azınlıklar, İstanbul, 1999, s. 159-223.

რუსული ოკუპაცია და ქართველები

1916 წელს რუსეთის იმპერიამ ორი წლით დაიკავა ქალაქი. ამ პერიოდში მრავალი საინტერესო მოვლენა მოხდა, ამიტომ მათზე შეჩერება აუცილებლად ჩავთვალეთ.

1 მსოფლიო ომის დროს ტრაპიზონის სანაპიროები მრავალჯერ დაიბომბა რუსული ფლოტის მიერ,¹ რამაც ქალაქში დიდი ნგრევა გამოიწვია.² პირველი დაბომბვა განხორციელდა 1914 წლის 17 ნოემბერს.³ ყველაზე მძიმე იყო 1915 წლის 8-11 თებერვლის დაბომბვები, რომლის დროსაც 1000-ზე მეტი კაცი დაიღუპა.⁴

რუსეთმა 1916 წლის 5 თებერვალს (ძველი სტილით 23 იანვარს) წამოიწყო კავკასიის არმიის ზღვისპირეთის რაზმის შეტევა ოსმალეთის მე-3 არმიის წინააღმდეგ. ასე დაიწყო 1916 წლის ტრაპიზონის ოპერაცია, რომელიც ქალაქის ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. შეტევას მხარს უჭერდა შავი ზღვის ფლოტის ბათუმის რაზმი (1 სახაზო ხომალდი, 2 საესკადრო ნალმოსანი, 2 ნალმოსანი, 2 საკანონერო ნავი), რომლებიც მდ. არქაბესუს შესართავს მიადგა და სახომალდო არტილერიით ჩაახშო ოსმალური ბატარეები. 6 თებერვალს (24 იანვარს) ზღვისპირეთის რაზმმა (დაახლ. 15 ათასი კაცი) მდ. არქაბესუს ზღუდიდან ტრაპიზონს შეუტია. რუსულმა ჯარმა საზღვაო დესანტის მხარდაჭერით ხელთ იგდო ათინა, რიზე, ოფომი, ხუმურგიანი და 14 აპრილს (1 აპრილს) მდინარე ქარა-დერესთან ოსმალთა გამაგრებულ

¹ Anabritannica. Genel Kültür Ansiklopedisi, Cilt 30, İstanbul, 1994, s. 179.

² Büyük Larousse. Sözlük ve Ansiklopedisi, Cilt 19, İstanbul, 1986, s. 11669.

³ Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 11.

⁴ Anabritannica. Genel Kültür Ansiklopedisi, Cilt 30, İstanbul, 1994, s. 180.

პოზიციებს მიადგა. 7-8 აპრილს (25-26 მარტს) ზღვისპირეთის რაზმის გასაძლიერებლად რიზესა და ხუმურგიანში ნოვოროსიისკიდან ზღვით გადასხეს პლატუნთა 2 ბრიგადა. ბათუმის ხაზი გააძლიერეს 1 სახაზო ხომალდითა და 1 საესკადრო ნაღმოსნით.¹ 18 აპრილს (5 აპრილს) რუსულმა ჯარმა გადალაბა მდ. ქარა-დერე და ტრაპიზონი დაიკავა. რუსეთის მე-5 კორპუსის მეთაური იყო ვლადიმერ ლიახოვი, რომელმაც შტაბი ტრაპიზონში გადმოიტანა.²

ბერძნები გამარჯვებას ზეიმობდნენ. ისინი სიხარულით შეეგებნენ რუსულ ნაწილებს ქალაქის შემოსასვლელში. დღევანდელ უზუნსოქაქზე, სადაც რუსი მეთაურის მანქანას უნდა გაეწვლინათ ოსმალეთის დროშები დაფინეს.³

რუსული ოკუპაციისას ტრაპიზონის ვალიმ ჯემალ აზმი ბეიმ (ეს ის ვალია, ქართულ ლეგიონს რომ დაუპირისპირდა) ხელისუფლება მიტროპოლ ხრისანტოს გადასცა და უთხრა: „ჩვენ ეს ქვეყანა რუმებისგან მივიღეთ და ახლა ისევ მათ ვაბარებთ. ასევე თქვენ გიტოვებთ მეჩეთებად გადაკეთებულ ეკლესიებს. თუ მიზანშეწონილად ჩათვლით ისინი კვლავ ეკლესიებად აქციეთ“. ეს ვალი თურქებმა 1919 წლის 22 მაისს სიკვდილით დასაჯეს.⁴

უშუალოდ რუსულ საოკუპაციო ჯარებს ქ. ტრაპიზონში მეთაურობდა გენერალი შვარცი, რომელმაც ქალაქში გაავრცელა ბრძანებები რუსულ, ბერძნულ და თურქულ ენებზე, რომ ამიერიდან შემოღებული იქნებოდა რუსული კანონები. ვინც ამის წინააღმდეგ იქნებოდა, მკაცრად დაისჯებოდა. ოსმალების მიერ მეჩეთებად გადაკეთებულ ეკლესიებში აიკრძალა ნამაზის შეს-

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბილისი, 1986, გვ. 41.

² Goloğlu M., Trabzon Tarihi. Fetihten Kurtuluşu Kadar, Trabzon, 2000, s. 175.

³ Tarakçıoğlu M. R., Rus İşgali ve Muhaceret, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 343.

⁴ Karagöz İ., Tarihsel Süreçte Trabzon Halkı, Trabzon, 1998, s. 120.

რულება. მუსლიმებმა გირესუნში, ორდუსა და სამსუნში გადასახლება დაიწყეს.¹

რუსებმა ტრაპიზონის სიძველეების შესწავლას სერიოზულად მოკიდეს ხელი. მათ აქ სპეციალური სამეცნიერო ექსპედიცია მიავლინეს, რომელსაც ცნობილი ისტორიკოსი უსპენსკი ხელმძღვანელობდა. მათ ბევრი საბუთი და ნივთი გადაიტანეს რუსეთში; შემდეგ კი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომები შექმნეს.²

ამ საქმეში რუსები უფრო წინაც წავიდნენ. მათ ტრაპიზონის სამხედრო ოლქის უფროსის მოადგილედ ცნობილი რუსი არქეოლოგი და მწერალი სერგეი მინცოვი დანიშნეს. მან ტრაპიზონის მხარის ისტორიის კვლევაზე უფრო მეტი დრო დახარჯა, ვიდრე სამხედრო საქმეებზე. მან ტრაპიზონში ჩამოსულ დიდ თავადს ბორის ვლადიმეროვიჩს ქალაქში სარემონტო სამუშაოებისთვის 150.000 რუბლის გამოყოფა მოსთხოვა. მთავრობამ ეს ფული ქალაქის ბიუჯეტში ერთ თვეში გადარიცხა. მინცოვი ტრაპიზონში დაახლოებით ერთი წელი დარჩა და ტრაპიზონის შესახებ საინტერესო ცნობები შეაგროვა. მან აქ სტამბაც დააარსა და ნიგნებისა და გაზეთების გამოშვება დაიწყო.³

რუსებმა ტრაპიზონში ბინების მშენებლობაც დაიწყეს. მაგალითად, დღევანდელი მუნიციპალიტეტის და „იეშილიურთის“ შენობები მათი აგებულია.⁴

1916 წლის ზაფხულში ოსმალებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ რუსების გადაძვრელმა ზომებმა ეს მცდელობა აღკვეთა.⁵

¹ Büyük Larousse. Sözlük ve Ansiklopedisi, Cilt 19, İstanbul, 1986, s. 11669.

² Emiroğlu K., Dünyadan Bakınca Trabzon, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997. s. 241.

³ Poutnikov G. A., Trabzon Tarihi Araştırmacısı Sergey Mintsov, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, 352-353.

⁴ Aksoy E., Trabzon Simgeleri, Bir Tutkudur Trabzon, İstanbul, 1997, s. 21.

⁵ www.hasanturan.8k.com, 06.06.2003.

რუსებმა მდ. ჰარშითამდე წაიწიეს. ბრძოლებში თითქმის მთლიანად დაიწვა და დაინგრა ფრონტის პირას მდებარე ქ. თირებოლუ.¹

საინტერესოა ქართველების თვალთ დანახული იმ დროის ტრაპიზონი. ქვემოთ მოგვყავს იაძის, ი. არველაძისა და გ. ბარელის სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდა იმ პერიოდის გაზეთ „სახალხო ფურცელში“.

იაძე

ტრაპეზუნთი და ჩამოსული ქართველი მუშები

ივლისის ცხელი მზე მკაცრად დაჰყურებს თეთრ ქალაქს, რომლის სახლთა ბრჭყვიალება თვალს მოსჭრიდა ადამიანს თუ არ მრავალი მწვანე კვიპაროსები. უზარმაზარნი ეგვიპტეს ობელისკებივით ჩამოქნილები, ისინი ჩუმად სდარაჯობენ მიცვალებულ ტრაპეზუნთს და მრავალი წლის მონმენი, ხანდახან საყვედურით თავს გაიქნევენ და ისევ ჩაფიქრებულნი ამაყად და უძრავად დაჰყურებენ ქალაქს. ქალაქის გარშემო, ორი-სამი ვერსით დაშორებულნი, მწვანობენ საუცხოვო ბაღჩა-ბაღები. არ მოსჩანს მხოლოდ ტყე და პონტოს მთების გამოზიდულ ტრაპეზუნთის ცხვირზე გაშენებული ქალაქით და ზედ დამყურე მთით ადამიანს მამადავითის მთას და უბანს მოაგონებს. აი მთის წვერზე თითქოს ფუნიკულერის სადგურის თეთრი კოშკებიც კი მოსჩანს, მაგრამ არა, ეს თურმე მინარეცია. შორს, ქალაქს იქით, ზღვისაკენ დაქანებულ, მთების კალთაზე მოსჩანს ტურფა პლატანა და კალაშიკი.

ქალაქი დაფნითა და ნოხებით არის მორთული, გაკეთებულია მრავალი კამარა და სამფეროვანი ბაირალები მრავლად მოსჩანან ყოველი სახლიდან. ეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მოეგონა.

¹ Tarakçıoğlu M. R., Rus İşgali ve Muhaceret, „Bir Tutkudur Trabzon“, İstanbul, 1997, s. 347-348.

ორი თვეა აქ არ ვყოფილვარ. ბევრი შეცვლილა. ნავთ-სადგურიდან მიმავალ აღმართზე უკვე აღარ სჩანს საუცხოვო თამბაქოთი გატენილი ტომრები, სამაგიეროთ თითქოს ყველა დუქანი გაულიათ. საკვირველია მხოლოდ, რომ ოსმალური თითქმის არ ისმის, ბერძნული, მხოლოდ ბერძნული. თუ წინად ქუჩებში ხალხს იშვიათად დაინახავდი დღეს ქუჩები გავსებულია. ხალხი ბლომად მოაწყდა ტრაპეზუნთს. წამ და უნუმ ისმის ქართული საუბარი და ქართველი მუშები ჯგუფ-ჯგუფად ან სადმე მიდიან ან ქუჩის განაპირას სხედან. თითქმის ყველაზე ადრე ჩამოვიდნენ ისინი აქ და საქმეში ჩაებნენ, ზოგი კი შეუდგა თავისიანების და სხვის ყვლეფას.

საუკეთესო რესტორნები ქართველებს აქვთ, როგორც კერძო პირებს, ისე ამხანაგობებს. ქართველებსვე დაუნყიათ საექვო ძეხვის კეთება და ყიდვა. შემოსავალიც, როგორც ამბობენ, ბევრი აქვთ.

ბაღში ანუ ბულვარში, რომლის ხეების სიმწვანე ნაცრის ფერ მტვერს დაუფარავს 3 ქართველს გაუმართავს ბურახის „ქარხანა“ მრავალმნიშვნელოვანი წარწერით: „რუსკი ხლებნი კვას“. ამ საშინელ სიცხეში ხალხი ბლომად ეტანება მას. ბულვარი ყოველთვის სავსეა. ეს არის ერთად ერთი ადგილი, სადაც შეიძლება ადამიანი ჰაერზე დაჯდეს და ცივი სასმელი დალიოს ან ნაყინსა და ყავას შეექცეს. მართალია სასმელების მერმე ადამიანი შეიძლება კუჭის ტკივილმა გადაიტანოს, მაგრამ ამ სიცხეში წუთიერ სიამოვნებას ამჯობინებს კაცი მომავალ ტანჯვას, ჰყიდიან საექვო მადნეულ წყალსაც, არ ვიცი მე მეპარება ეჭვი თუ მართლაც უბრალო წყალია ზღვის წყლით შეზავებული. გარშემო გაისმის ჭიქების წკარუნი და ძახილი: ნეფე! ლილორნა ნეფე! (ბიჭო, ჩქარა ბიჭო). დაჯდები თუ არა მაშინვე მოირბენს წალის მწმენდავი, რომლებიც აქ მრავლად არიან და საუბრით გართობს იქნებ წაღები გამანმენდინოსო. გიამბობს, თუ რა ხდებოდა აქ წინად, მაგრამ ერთი რამ გვიშლის ცოტათი ხელს: რუსული არ იცის და მე კი ოსმალური.

ხალხი ბევრი ზის, არ არის მხოლოდ ქალები, რაც ოსმალური ქალაქის ხასიათს არ ამახინჯებს. წინადაც კი მხოლოდ ისხდნენ

ყავითა, ყალიონითა, ცივი სასმელებით და ნარდით თავს ირ-
თობდნენ. ყავახანებში დღესაც გავრცელებულია ნარდისა და
დომინოს თამაში, მაგრამ მათთვის ეხლა მხოლოდ მხიარულ
ბერძნებს სცალიათ.

ქალაქში საშინელი სიძვირეა. გაძვირებულია ისეთი საგნებიც
კი, რომლებიც ადგილობრივ მოდის და მრავლად არის. ავილოთ
თუნდაც თამბაქო. ოსმალს ჯარის წასვლის შემდგომ ბერძნებს
დანარჩენ ნადავლთან ერთად დარჩათ ასი ათასი ფუთობით თამ-
ბაქო. აქაური თამბაქო საუცხოვოა და მხედრებიც სიამოვნებით
ყიდულობენ მას. შეამჩნიეს რა ეს ბერძნებმა დატაცებულ თამ-
ბაქოს ფასი მოუმატეს და თუ წინად საუკეთესო ხარისხისა
30 კ. ღირდა 3 მან-მდე აიყვანეს. ფასების აწევის მოსასპობად
აქაურმა პოლიცემისტერმა დაანესა ნიხრი, რომლითაც თამ-
ბაქო 1 მ. 90 კ. იყიდება. საერთოდ კი ფასების აწევაში თვით
მყიდველნიც არიან დამნაშავენი, აქაო და ოსმალეთის ქალაქში
ვართო ყველაფერი იაფი ჰგონიათ და გაიძახიან: ღმერთო, რა
იაფია, ჩვენში ხომ ორჯერ ან სამჯერ მეტი ეღირებაო. ვაჭრე-
ბიც სარგებლობენ ამით და ფასს უმატებენ. ზოგი ვაჭარი დღეს
300 პროცენტს იგებს. ზოგი კი მთელს შემოსავალს, რადგანაც
ყიდვაზე არა დაუხარჯავს და სხვის დუქანს დაჰპატრონებია.

სასმელ-საჭმლის სიძვირე ყველაზე უფრო აწვება ჩამოსულ
მუშებს, რომლებშიც მეტად გახშირდა კუჭის ავადმყოფობა. სხ-
ვათა შორის რამოდენიმე ექიმები აქაურ ციებასაც წყალს მიან-
ერენ. ყოველ შემთხვევაში წყალსადენიდან ხამი წყლის დაღევა
მავნებელია.

ბევრის გაკეთება და გაუმჯობესებაც შესაძლებელი იქნე-
ბა, რომ ტრაპეზუნთში მყოფი ქართველები შეერთებოდნენ და
რაიმე კავშირს დააარსებდნენ. ჯერ-ჯერობით კი ისინი დაქსაქ-
სულნი არიან და ერთმანეთის არა გაეგებათ რა. საჭიროა ვინმემ
ითავოს რაიმე კულტურული საქმის დაწყება და მის გარშემო
შეიერთოს შორს გადახვენილი ხალხი, რომელთაც დღეს დღეო-
ბით სულიერი სარჩო აკლია.¹

¹ „სახალხო ფურცელი“, 17. 08. 1916.

მგზავრის შთაბეჭდილება

ნაშუადღევი იყო, ტრაპიზონში რომ შევედი. სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ტრაპიზონის მეორედ ნახვამ. დიდი განსხვავება ვპოვე. პირველად ეს იყო აპრილში. უმეტესი ნაწილი მალაზიებისა და ხურული იყო და რომელიც კი იყო ღია ისიც ნახევრად მიხურულ კარებით. ქუჩებში მეტის-მეტი უსუფთაობა. თითქმის შეუძლებელი იყო ისეთი ადგილი გვეპოვა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ან მოგვესვენა ან გვესადინა. ეხლა კი რა შედარებაა! თითქმის ყველა მალაზია გაჩაღებულია, ვაჭრობა გაცხოველებული. მართლაც რომ გაცხოველებული, ვინაიდან ფასებმა მეტის-მეტად აინია. თითქმის გადააჭარბა ბათომ-ტფილისს, როგორც ამბობენ ქუჩებში რაც შეიძლება სისუფთავეა. სასტუმროები, რესტორანები, საკანდიტეროები და ხან და ხან ლალიძეს წყალიც ბლომად მოიპოვება. უმეტესი ნაწილი რესტორან-სასტუმროებისა ქართველების ხელშია. ამ მხრით, როგორც დავრწმუნდი, ჩვენ ვერვინ შეგვედრება. გაჩენილან თერძებიც და სხვა მოხელეებიც. აკლია მეთორნეები, მაგრამ ალბად რომელიმე ტფილისელ ან ქუთათურმა მეთორნემ უკვე ამოიღო ნიშანში ტრაპიზონი და სულ მალე თორნის პურსაც ვიგემებთ.

მთელს ქალაქში არის ერთი საცოდავი ბალი. არ ვიცი რა დაგვემართებოდა, ეს ბალიც რომ არ იყოს. ეს არის ერთად ერთი ადგილი, სადაც შეგიძლიან დაღალული მუხლები შეასვენო და მტვერიან ბუნების ნიაღში თათრული ყავა მიირთვა. მაგრამ ეს ბალი მართო გასართობი ადგილი არ არის. ამ ბაღში იყრიან თავს ახლად ჩამოსული მუშები, რომელთა რიცხვი ლეგიონ არს, სანამ სამუშაოს ან ახალ ბატონ-პატრონს ნახავდნენ. საოცარი სისწრაფით იზრდება ქართველ მუშათა რიცხვი ტრაპიზონის მიდამოებში. დღე არ გავა ისე, რომ რომელიმე ტრანსპორტმა არ მოიყვანოს ახალი პარტია მუშებისა. მოდიან და მოდიან შეუჩერებლივ, თითქოს რაღაც მაგნიტი იზიდავსო და ეს მაგნიტია

სამუშაოს შოვნის სურვილი, რომ აღებული ფულებით ცოტათი მაინც შეიმსუბუქონ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, მაგრამ სამსუხაროდ აქ უარეს გაჭირვებაში ვარდებიან. საქმე იმაშია, რომ როგორც ახლად და ძველად ჩამოსულმა მუშებმა გადმომცეს, ყველა მათგანი მოტყუებით არის ჩამოყვანილი. მოიჯარადრის აგენტები, რომლებიც სოფელში დაძრწიან და აგროვებენ გულუბრყვილო მუშებს, ვინ იცის რას არ ჰპირდებიან საცოდავთ. დღეში 2 მ 50 კ. სასმელ-საჭმლით, ექიმით და სხვა შეღავათებით. ჩამოდიან ტრაპიზონში და სულ სხვა სურათი ეშლებათ. დღიურ ქირას თითქმის უნახევრებენ და იმასაც არ აძლევენ თავის დროს და უმეტეს შემთხვევაში უკაპეიკოდაც უშვებენ. სად აქვს საცოდავს იმისი თავი რომ სდიოს მოიჯარადრეს. ბევრი მათგანი ვერ იტანს აქაურს ჰავას და ავად ხდება. ან როგორ არ გახდებიან ავად, როდესაც საშინელ არანორმალურ პირობებში ცხოვრობენ. ბევრი მინახავს, ციებით ძალა გამოლუული ქუჩაზე გდია; მაგრამ ერთმა სურათმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს იყო ვიღაც ზესტაფონელი მოხუცი გურგენიძე, სიმშლით გულშენუხებული დაცემულიყო და თავი გაეტეხა. ვაი ვუით წამომდგარიყო და მთვრალი კაცით სად მიდიოდა, თითონაც არ იცოდა, ბაღში სკამებს და სტოლებს გადაეჩეხა. მერმეთ მოვედით, გავიყვანეთ გამოვკითხეთ და აღმოჩნდა, რომ რამოდენიმე დღე ცოტა პურის მეტი არ ეჭამა, ფულიც არ ჰქონდა. ჩამოსულიყო სამუშაოდ რომ მოიჯარადრედან ფული აეღო და სახლში წასულიყო. ფულიც ვერ აიღო და სახლშიც ვერ წასულიყო. ასეთი მაგალითები თითზე ჩამოსათვლელი არ არის. ბევრი იმ ანგარიშით არის ჩამოსული რომ ერთი თვე ნაიმუშავებს, რაღაც ორ კაპიკს აიღებს და შემდეგ გაბრუნდება, რომ წლის სარჩო მოინიოს. ასეთი პირობა მიუცია აგენტს, ერთი თვის შემდეგ გაგიშვებთო. რომ ვერ ნახვიდე თავის დროზე, სახლში გყავს ვინმე რომ ჭირნახული შეაგროვოს, ვკითხე არაო მიპასუხა, ეს პირდაპირ ყელის გამოჭრა იქნებაო. ეს კი ასე იქნება. რადგან თავის სურვილით აქ არავის უშვებენ. ამ ნაირად აქაც გაჭირვებით იღებს კაპიკებს, იმასაც განახევრებულს და ოჯახშიდაც აკლებს ხელს.

ასეთი ბედი ბევრს ალონებს და თითქმის სასონარკვეთილებამაც აგდებს, განსაკუთრებით ხანში შესულებს. ახალგაზრდები უფრო გულმაგრად არიან. არასოდეს არ დამავინყდება შემდეგი სურათი. ახალი ნავახშმები ვიყავით. ამხანაგებთან ერთად ქუჩაში გამოვედით გასასვლელად. უეცრივ შორიდან მოგვესმა ნაცნობი სიმღერის ხმები. გავარჩიეთ ალიფაშა.

ვთქვით, ნამდვილად ბალში მღერიან და ჩვენც იქითკენ გავეშურეთ. მართლაც იმ დღეს ჩამოსული მუშები, რომლებიც ბალში დაბინავდნენ გაყოფილიყვნენ ორ ჯგუფად და ერთიმეორეს ეჯობებოდნენ სიმღერაში. ჩვენც ჩავერიეთ და ჩვენსავით ბევრ ჩვენებურ აფიცრობასაც მოეყარა თავი. სიმღერებს ლეკური ცვლიდა. ნასიამოვნები გვიან დავიშალენით. მოდილო მოედანი გავსილი იყო ჩამოსულებით, მაგრამ მეორე დღეს დილით ერთიც არ მინახავს. სამუშაოდ გავიდნენ. ჩამოსულები თითქმის მარტო ქუთაისის გუბერნიიდან არიან.¹

გ. ბარელი

ტრაპიზონი და მისი მიდამოები პირველი შთაბეჭდილებანი

მოუთმენლად ველოდით ტრაპიზონთან მიახლოებას და ბოლოს მივედით კიდეც. პატარა გემს ნაფოტივით ათამაშებდა აბობოქრებული ზღვა. გემის ბაქანიდან ეხედავდით, როგორ ეხეთქებოდა ხოლმე მთასავით აგორებული ტალღა ნაპირს და როგორ ბრუნდებოდა უკან აქაფებული.

მთაზე ტერასებად გაბნეული ტრაპიზონი, რომელიც შორიდან ეხლაც კი ამწვანებულ ხეებშია ჩამალული, მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. გავცქერით ქალაქს და ველით მიახლოებას,

¹ „სახალხო ფურცელი“, 23. 08. 1916.

მაგრამ იმედი გვიცრუვდება. ლელვა ისეთი დიდია, რომ ვერც ერთი ნავი ვერა ბედავს ზღვაში გადმოსვლას. კაპიტანი ცოტა ხანს ებრძვის გააფთრებულ სტიქიონს, ტრიალებს ზღვაშიდა ბოლოს იმ დასკვნას ადგება, რომ ტრაპიზონში გადასვლა ვერ მოხერხდება, მიუვივართ პლატანაში, რომელიც ტრაპიზონიდან 12 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

პლატანა, ტრაპიზონთან შედარებით, პატარა ქალაქია, მაგრამ უფრო ლამაზი და უფრო ამნვანებული. ისიც ტერასით არის აშენებული მთაზე, პლატანას ნაპირებთან ზღვა გაცილებით უფრო წყნარი და მშვიდი აღმოჩნდა, ასე რომ გადასვლა მოვახერხეთ.

სად ნავიღეთ? აი პირველი კითხვა, რომელიც ყველას დაებადა. მოვძებნეთ „საკვები პუნქტი“ ქალაქების კავშირისა და გავემართეთ იქითკენ. „პუნქტში“ მასპინძლობა გაგვინია ქალმა-ზედამხედველმა დაგვაღევირა ჩაი, გაგვიმასპინძლდა ვახშმით და მოგვცა ოთახი, სადაც მშვენივრად შეიძლებოდა მოსვენება მოგზაურობის შემდეგ.

გადავდგით თუ არა ფეხი ახლად დაპყრობილი ადგილების ნაპირზე, მაშინვე ვიგრძენით, რა სარგებლობა მოაქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დანესებულებებს ბრძოლის ასპარეზზე. ამასა ჰგრძნობენ არა მარტო გამვლელ-გამოვლელნი, არამედ სამხედრო პირნიც, რომელთაც უკვე არა ერთხელ განუცხადებიათ, ვერ წარმოგვიდგენია როგორ უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია ჩვენი „ზურგისა“, საზოგადოებრივი ორგანიზაციები რომ არ მუშაობდნენო.

პლატინიდან მეორე დღეს ტრაპიზონში მივედით, წვიმა იყო და ამიტომ ქუჩაზე მთლად ატალახებული იყო. პირველის შეხედვით ტრაპიზონი ძალიან ჭუჭყიანი ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ, თუ დააკვირდებით, უსათუოდ დარწმუნდებით, რომ ყოველთვის ასე არ უნდა ყოფილიყო. ტრაპიზონში ყოველ სახლში არის წყალ-სადენი და კანალიზაცია. ეს კი პირველი პირობაა: სისუფთავის დასაცავად. მიუხედავად ამისა, მაინც ქალაქში ჯერ კიდევ ბევრი ჭუჭყია, ჩემის აზრით, ეს იმით უნდა აიხსნას რომ ქალაქში ეხლა გაცილებით მეტი

ხალხია, ვიდრე ქალაქს შეუძლიან დაიტიოს. მიუხედავად ამისა, ზომებია მიღებული ქალაქის გასასუფთავებლად და ისიც თანდათან სანატრელ სახეს იღებს.

გარეგნულ ქალაქს უკვე სავსებით რუსული სახე მიუღია. ქუჩები რუსულად არის გადანათლული, მაღაზიები რომელთა რიცხვიც დღითი-დღე იზრდება, რუსული წარწერებით არის. რაიც შეეხება მცხოვრებლებს, უმრავლესობას ბერძნები და თურქები შეადგენენ. შეძლებული ნაწილი თურქებისა, რა თქმა უნდა, ოსმალეთის ჯართან ერთად წასულა, ღარიბი ნაწილი კი დარჩენილა. ქალაქების კავშირის ფურნესთან ყოველ დღე შექმნვდებით ამ ღარიბ ბერძნებსა და თურქებს, რომლებსაც გამომცხვარ პურს ურიგებენ.

ქართველები აქ ცოტანი ყოფილან წინად, ახლა კი მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება. მოდიან როგორც მუშები, ისე კომერსანტები და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავენი. მუშებს ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ ცხოვრება. არავითარი განსაკუთრებული ზედამხედველობისა და მფარველობის ქვეშ არ არიან. სწორედ ამიტომ დაიბადა აზრი ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ფილიარული განყოფილების დაარსებისა. როდესაც გამოირკვევა, როგორ შეხედავენ ამ საკითხს ადგილობრივი სამხედრო წრეები, სათანადო შუამდგომლობა აღიძრება. მაგრამ ამასთანავე ერთად არ შეგვიძლიან არ დავუმატოთ, რომ ტრაპიზონში მხოლოდ მოსული ქართველები არიან. მაჩვენეს მხოლოდ ერთი ლაზი, რომელიც კარგად ლაპარაკობს ქართულად და ჩვენი ქვეყნის ავ-კარგიც ეინტერესებაო...

